



A handwritten signature in Georgian script, likely belonging to the author of the book or a related figure, is placed below the museum's logo.

Originally published under the title BIR ÇERKES PRENSESİNIN HAREM HATIRALARI

by Leyla Açıba-Ançabatze

Copyright © TİMAŞ Basim Ticaret Sanayi AŞ, 2007 İstanbul Türkiye www.timas.com.tr

გარეკანისთვის გამოყენებულია  
ჟან-ლეონ ჟერომის ნახატი ჩერქეზი ქალი პირბადით

ფორზაც ზე გამოყენებულია  
*Plan d'Ensemble de la Ville de Constantinople, 1922*

## მთარგმნელი სალომე ბერაია

ქართული თარგმანი და გამოცემა © გიორგი ლეონიძის სახელობის  
ქართული ლიტერატურის სახელწიფო მუზეუმი  
თბილისი 2011

[www.literaturemuseum.ge](http://www.literaturemuseum.ge)  
ტელ.: +995 32 293-20-45  
info@literaturemuseum.ge

გამომცემელი ლაშა ბაქრაძე  
რედაქტორი ია ლადუა  
კომპიუტერული მომსახურება დიმიტრი შალუტაშვილი

ლიტერატურის მუზეუმი მადლობას უხდის კომპანია მაგთიკომს  
გამოცემის დაფინანსებისთვის

ლიტერატურის მუზეუმი მადლობას უხდის



საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის  
სამინისტროს წიგნის თარგმანისა და რედაქტირების  
დაფინანსებისათვის;

გიორგი ანჩაბაძეს, როინ ყავრელიშვილსა და ზაზა ფურცელაძეს  
განეული კონსულტაციისა და დახმარებისთვის

დაიბეჭდა სტამბაში პეტიტი

ISBN 978-99940-28-69-6



ჩვენ ეართულ საქაოს ვაკეთაბო



ლეილა აჩბა-ანჩაბაძე

## აფხაზი თავადის ქალის მოგონებები პარამსანაზე

შემდგენელი ჰარუნ აჩბა



თბილისი  
2011



ეს წიგნი დიდი მონატრებით  
ეძლვნება მამიდაჩემს, ქალბატონ ლეილას,  
ქალბატონ ნაზიქედას, დედაჩემს,  
მამაჩემსა და ჩემს უფროს ძმას, მუსტაფას.



## ნინასიტყვაობა

„ოჰ, ეს ბედისწერა! ვიღაცას პატივსა და დიდებაში, ვიღაცას შიმშილსა და სიღარიბეში აცხოვრებს, ვიღაცას კიდევ განშორების ტკივილით სტანჯავს“, – იტყოდა ხოლმე თავისითვის ჩემი დიდი მამიდა ლეილა. მისი ბაგები ამ სიტყვებს ლექსივით წარმოთქვამდა მაშინ, როცა სასახლის ცხოვრება უკვე წარსულს ჩაბარებოდა და მხოლოდ ტკბილ წარმოსახვას ჰეგვდა.

ქალბატონ ლეილას, უფრო სწორად თავადის ქალ ლეილა აჩბა-აჩჩაძეს, იმის გამო, რომ სასახლეში შსახურობდა და ოსპანთა დინასტიას ენათესავებოდა, სასახლესთან მუდმივი კავშირი ჰქონდა. თურქეთის იმპერიის ბოლო ფადიშაპის, სულთან ვაჰიდედინ ხანის, პირველი მეუღლის, ქალბატონი ნაზიქედას სუფექსალი იყო. 5 წელი, კონკრეტულად 1919-1924 წლებში, ქალბატონს ემსახურა. სულთნის დინასტიის გადასახლების დროს კი იძულებული გახდა სტამბული და ტეროვებინა. მამიდა გადასახლებულებს შორის არ ყოფილა, იგი ახლობლებთან ერთად ანატოლიის ყველაზე შორეულ ქალაქ სივასში დასახლდა. სივასის ღარიბულ, რთულ ცხოვრებას დიდ ხანს ვერ გაუქდო და ახალგაზრდა გარდაიცვალა. თუმცა, მშვიდად დახუჭავდა თვალებს იმის ფიქრით, რომ სიკვდილის წინ დაწერილი მემუარები, თუნდაც წლების შემდეგ, თავისი ოჯახის წევრთა ხელში მოხვდებოდა.

სასახლის ქალის მიერ მემუარების დაწერა იშვიათი შემთხვევაა. ლეილა საზის, საფიფ უნუვარისა და პრინცესა აიშე ოსმანოლუს გარდა, სასახლის ქალის მიერ დაწერილ არც ერთ მემუარს ჩვენამდე არ მოუღწევია. ზემოხსენებულთაგან პირველმა მხოლოდ ბავშვობა გაატარა სასახლეში, ამიტომაც სასახლის სრული წევრი არ გამხდარა. მეორე მასწავლებელი იყო. პატარა უფლისწულისთვის განათლების მისაცემად მიიყვანეს სასახლეში. უკანასკნელმა კი, როგორც ოსმალეთის პრინცესამ, მხოლოდ საკუთარი გრძნობების გამოხატვა შეძლო.

ერთ ხაზინადარს, სეფექალს ან მსახურს როგორ არ მოუვიდა აზრად ჩანაწერების გაკეთება? ამ კითხვაზე პასუხის ძებნას დიდი დრო შევალიე, ბოლოს დავასკვენი, რომ ეს დუმილი სასახლეში მიღებული აღზრდიდან მომდინარეობდა. თითქოს სასახლის წესი იყო, რომ სასახლეში მოშხდარი სასახლეშივე უნდა დარჩენილიყო. ერთხელ ჩემმა ნათესავმა, რომელიც მამიდას მსგავსად სასახლეში მცხოვრები ქალი იყო, მითხრა – სასახლე საიდუმლო სკივრია, მისი გახსნა შეუძლებელია.

ნამდვილად საიდუმლო სკივრია სასახლე. მისი იდუმალებისა და მისტიკურობის გამო მრავალი ამბავი ითხვებოდა. ყველაზე გავრცელებული ჭორი იყო ის, რომ თითქოს სულთანი სასახლის ყველა გოგო-

ნასთან იყოფდა სარეცელს. ისლამის წესები მკაფიოდ გადმოსცებს მსგავსი საკითხის შეუძლებლობას, ოსმალები კი სასახლეში ამ წესებს ზედმიწევნით იცავდნენ.

ნააღმდევი სიკედილის გამო მამიდამ ჩანაწერებში ნახსენები პიროვნებების ბიოგრაფია სრულად ვერ შეავსო. ამიტომ საჭირო ინფორმაცია სქოლიოში შევავსე. თუმცა, ამ ინფორმაციის მოპოვებას წლები დასჭირდა. რადგანაც პერიოდი, რომელსაც ეს წიგნი ასახავს, არც ერთ ისტორიულ წიგნში არ არის გამოკვლეული და გადმოცემული. რომ არა ჩემი ძვირფასი ოჯახი, ცნობების მოპოვება შეუძლებელი იქნებოდა. ქალბატონი ემინე ნაზიქედა დედაჩემის მამიდა გახლდათ. ესე იგი, დედაჩემი ოსმალეთის იმპერიის ბოლო დედოფლის, უფრო მეტიც, ბოლო სულთნის მეუღლის ძმისშვილი იყო. ეს ფაქტი კი ჩემთვის, რა თქმა უნდა, მეტად საამაყოა.

ცხოვრება უცნაური ამბების ჯაჭვია. როცა ქალბატონი ლეილა ქალბატონ ნაზიქედასთან მსახურობდა, რას ნარმოიდენდა, რომ წლების შემდეგ ეს ორი ოჯახი ერთმანეთს შეერწყმებოდა.

იმედი მაქვს, რომ ამ კუთხით ჩემ მიერ წლების განმავლობაში ჩატარებული მუმაობა თურქი და კავკასიელი ხალხის ისტორიაში მცირედ წვლილს მაინც შეიტანს და მხოლოდ მამიდაჩემისა თუ სასახლის ქალების სულის დაამებით არ შემოიფარგლება.

*პარუნ აჩბა-ქულთუქთუერქან  
e-mail: inshirah@gmx.de*

პირველ რიგში, მადლობას ვუხდი იმ ადამიანებს, რომელთაც  
დახმარება, მხარდაჭერა და სიყვარული არ დაუშურებიათ: ჩემს  
უფროს დას, თავადის ქალ მიასე იღლირიმსა და დედაჩემს, თავა-  
დის ასულ ნურიეს. გარდა ამისა, ვანსაკუთრებული მადლობა მი-  
ნდა გადავუხადო ჩემს მეორე დას, რემზიეს, ჩემს საყვარელ ბი-  
ძაშვილს, სელვინაზ ალქინარს, ბიძაჩემს, თავად ომერ მარშანიას.  
თავადის ქალს ედადილს, ლეილა აჩბას, ჩემს უფროს ძმას, აპმეთ  
აჩბასა და რძალს, ფატმა აჩბას. დანარჩენი ნათესავების – თურქ-  
ან ათეშოდლუს, აითენ ქესქინის, ოზლემ აჩბას, თავად ჰასან ინალ-  
იფას, თავად ალი არედბას, თავადის ქალ ლულუფერის, თუვანა  
ემხვარს, განსვენებულ თავადის ქალ მულკიჯიპან აჩბასა და პერვ-  
იზფელექ აჩბას ძალიან მადლიერი ვარ.

მოწოდებული ინფორმაციისა და დახმარებისათვის დიდ მადლ-  
ობას ვუხდი ძვირფას ომერ სონბეზს, ადვოკატ ჰულუსი უსთუნს,  
ქალბატონ ზანდერს, ლევენთ ქულუსა და, რა თქმა უნდა, განსვე-  
ნებულ ზეპრა ბოსტანოლლუს.

ჰარუნ აჩბა-ქულთუქთუერქან


„მე ვარ ოსმალეთის იმპერიასთან ერთად გაუბედურებული, ჩემს კეთილისმყოფელ ადამიანებთან განშორებული, მრავალი უსამართლობის მსხვერპლი, ფიზიკურად და სულიერად ვანადგურებული ადამიანი. მემუარების ნერას უდავოდ რაღაც მიზეზი გააჩნია, მაგრამ მისი ახსნა მეტად რთულია. სასახლემ, რომელშიც ცხოვრების უმეტესი ნანილი გავატარება და მრავალი ისტორიული მოვლენის მომსხრე გავხდი, ყველაზე მნიშვნელოვანი – საიდუმლოს შენახვა მასწავლა. მხოლოდ ჩემი დედოფლისა და მისი უდიდებულესობა სულთნის უდიდესი პატი-კისცემით აღსავსემ, ამ გადასახლების ნლებში ფურცლებზე გადავიტანე ნანახი და განცდილი. მათ მიმართ დაბამცირებული, შეურაცხმულელი დამოკიდებულება მტანჯავს, მანადგურებს. ვფიქრობ, თუ მოვითხრობთ, ბოლოს მოვუდებ უსაფუძვლო ბრალდებებს. ამიტომ აც ვწერ ამ მემუარებს და პირველ რიგში ჩემს ოჯახს, შეძღვებ ქვეყანას და ამ მინაზე მცხოვრებ ადამიანებს ვუტოვებ. დაუ, გახდნენ ჩემი ცხოვრების მონშენი.

მაღალმა ღმერთმა ჩვენს ძვირფას ბატონსა და მის უდიდებულესობა ქალბატონს (თუკი გარდაცვლილია) სამოთხეში დაუმკვიდროს ადგილი. სასახლის იმ ნევრებს კი, რომლებიც ცოცხლები არიან, ბედნიერ მომავალს ვუსურვებ“.

ლეილა, თავად რეფიქის ასული, აჩბა

## | 1020 | ჩემი ოჯახისა და ცარსულის შესახებ

„...არასოდეს დამიკარგავს იმედი, არასოდეს  
გამიტეხავს მიცემული ფიცი, გამუდმებით  
თან ვატარებ ფიქრებს ჩემს პატონებზე...“  
ლეილა აჩბას ნერილიდან



სოხუმი, 1855

## ჩემი ოჯახი

დავიბადე ჩვენი წელთაღრიცხვით 1898 წლის 10 აგვისტოს.

მამაჩემი, ბატონი თავადი რეფიქ აჩბა, სულთან აბდულჰამიდ II ხანის მწიგნობარი იყო. მისი თანამდებობა კონსტიტუციური მონარქიის პერიოდში გაუქმდა, მას შემდეგ სახელმწიფო სამსახურში არ უმსახურია.


დედაჩემი, ქალბატონი მაჟშერეფი, ემხვარის გვარის თავადის ქალი იყო. გარდა ამისა, იგი იყო ნეტარხსენებული სულთან აბდულაზიზ ხანის სეფექალი, საკმაოდ ლამაზი და პატივცემული ქალბატონი. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროს დაავადმყოფდა და ჯერ კიდევ ახალგაზრდა გამოეთხოვა წუთისოფელს.

სახლი, რომელშიც დავიბადე, საქმაოდ დიდსა და ლამაზ პარკში აშენებული ორმოცოთახიანი საზაფხულო სასახლე იყო. ბაბუაჩემმა, ბატონმა ომერმა, იგი ქალაქ სტამბულში, ჰორჰორის უბანში ააგებინა. ეს არის ადგილი, სადაც ცხოვრების ყველაზე ლამაზი და მშვენიერი წლები გავატარე. სამწუხაროდ, 1922 წელს გაუგებარი მიზეზით გაჩენილმა ხანდარმა მთლიანად დაწვა და ფერფლად აქცია იგი.

ჩვენს სახლში გამუდმებით ხალხმრავლობა იყო. ოჯახის წევრების გარდა, მოსამსახურები, ჩვენი მხევლები ჩვენთან ერთად ცხოვრობდნენ. ჩვენებური წარმოშობის ახალგაზრდა და ლამაზ გოგონებს კი განსაკუთრებულად ვეპყობოდით – როგორც საკუთარ დებს და არა როგორც მსახურებს. ყველა მათგანი სასიამოვნო, კარგად აღზრდილი და თავაზიანი გახლდათ. ერთ-ერთი მათგანი ორი წლის ასაკში დაობლდა და უპატრონოდ დარჩა. რაც შეეხება დილბერს... იგი მამამ მე მომამაგრა. იმ დღიდან მოყოლებული დილბერი ჩემი სულიერი მეგზური გახდა<sup>1</sup>.

ოჯახში მეოთხე შვილი და მეორე გოგო ვარ. ჩემზე უფროსი ორი ძმა და ერთი და მყავს. ასაკის მიხედვით მათი თანმიმდევრული ჩა-

1 ქალბატონი დილბერი (1901–1972) – 1921 წელს ბატონ წუმანზე იქორწინა და ორი შვილი ეყოლა. 1940 წელს ოჯახთან ერთად პარიზში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც 1972 წელს გარდაიცვალა.



აჩბას საგვარეულო გერბი  
მხატვარი ლეო შერვაშიძე

მონათვალი ასეთია: ბატონი აპმედი, ქალბატონი ნურბანუ და ბატონი ქემალედდინი.

ჩემი დაბადებიდან ერთი წლის შემდეგ ქვეყანას ჩემი პატარა და, ფერიდე, მოევლინა.

ხუთი წლიდან მოყოლებული კერძო მასწავლებლებისგან ვიღებდი ცოდნას. ისინი ინგლისურად და ფრანგულად ლაპარაკს მასწავლიდნენ. ასევე, დავეუფლე პინინოზე დაკვრასა და ზეთის საღებავებით ხატვას. გარდა ამისა, ბავშვობაში ცხენოსნობა მიტაცებდა. ზოგჯერ მამას მე და ჩემი და სოფიაში, მამულში მივყავდით და იქ საათობით ვჯირითობდით.

მამას მოგზაურობა ძალიან უყვარდა. ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში ეპროპის ნახევარი შემოიარა. 1905 წელს ორი კვირით მთელი ოჯახი ვენაში წავედით. იქ ყოფნისას ბევრ გერმანელ დიდგვაროვანს შევხვდით და გავიცანით. დედაჩემის იქაური მეგობარი, გრაფინია ტრაუტმანსდორფი, ყველაზე მომხიბვლელი უცხოელი ქალია ჩემს ნაცნობებს შორის.

## აჩბას გვარის თავადები

მამაჩემი აფხაზთა ყველაზე ძველი და წარჩინებული გვარის წარმომადგენელია. უფრო მეტიც, აფხაზეთის სამეფოს დამაარსებლის, აჩბას გვარის შტოს ეკუთვნოდა. პაპაჩემი (დიდი ბაბუა) თავადი აპმედ აჩბა ერთ-ერთი პირველი აფხაზი მუჰაჯირია, რომელიც ვერ შეეგუა კავკასიაში რუსთა ძალადობასა და უსამართლობას და ოჯახთან ერ-



სულთანი აბდულმეჯიდი

თად 1842 წელს სტამბულში გადასახლდა. იმდროინდელ მმართველს, სულთან აბდულმეჯიდ ხანს, პაპაჩემისთვის სოფიას შემოგარენში მინა მიუცია და იქ დაუბინავებია.

ბატონმა აპმედმა მიღებულ მინაზე მამული გააშენა და დარჩენილი ცხოვრება იმ მამულში გაატარა. იგი 1856 წელს გარდაიცვალა. ბაბუაჩემი ომერი 20 წლის ყოფილა, როცა მამა დაკარგა. დედამისის, თავადის ქალ ეშბას<sup>1</sup>, შვილი ოჯახისთვის შესაფერისი განათლების მისაღებად სტამბულში გაუგზავნია.

ბაბუა სტამბულში ჩავიდა და სწავლას შეუდგა. მაგრამ ჯერ კიდევ სკოლის დამთავრებამდე, სანამ დიპლომს აიღებდა, დედამისი, ქალბატონი ეშბა გარდაიცვალა<sup>2</sup>. ბაბუამ სტამბულში, ჰორპორის უბანში სახლი იქირავა და თავისი დებიც სოფიადან იქ ჩამოიყვანა. დედაქალაქის ამ ძვირადლირებულ, მაგრამ ლამაზ ადგილად მიჩნეულ უბანში დაინტეს ახალი ცხოვრება. საბოლოოდ ომერმა სკოლა წარმატებით დაასრულა და პროფესიულ საქმიანობას მიჰყო ხელი. უფლისწულმა აბდულაზიზმა<sup>3</sup> ბატონი ომერი გრამატიკისა და მართლწერის კარგად ცოდნის გამო მდივნად დანიშნა. აბდულაზიზს ბაბუაჩემი იმდენად უყვარდა, რომ მისი ქვისლობა მოინდომა. ამიტომაც ომერი უფლისწულის პირველი მეუღლის – ქალბატონ დურრინევის<sup>4</sup> დაზე, ქალბატონ ქემალიფერზე დაინიშნა.

1 თავადის ქალები ძირითადად მხოლოდ ქალიშვილობის გვარებითაა მოხსენიებული, სახელები ნახსენები არაა.

2 თავადის ქალი ეშბა 1860 წელს გარდაიცვალა.

3 შემდგომში ფადიშაპი.

4 შემდგომში ბაშ ქადინეფენდი.



ქემალიფერ ძიაფშ-იუა

სულთან აბდულმეჯიდის გარდაცვალების შემდეგ, 1861 წელს, ბატონი აბდულაზიზი ფადიშაპი გახდა. მან ბაპუაჩემს სასახლის მთავარი მდივნობა შესთავაზა, მაგრამ ომერმა ამ თანამდებობაზე უარი განაცხადა, რადგან კარგად იცოდა, რომ სასახლის ინტრიგებით სავსე ცხოვრებას ვერ შეეგუებოდა. მოგვიანებით, 1884 წელს, აბდულაზიზის გარდაცვალებით დადარდიანებული თავადაც აღესრულა.

## ბებიაჩემი – ქალბატონი ქემალიფერი და ბაშ ქადინეფენდი<sup>1</sup> დურრინევი

ბებიაჩემი (მამაჩემის დედა), ქალბატონი ქემალიფერი, 1838 წელს ბათუმში დაიბადა. მამამისი, თავადი მაჰმუდ ბეი ძიაფშ-იუა, კავკასიონდან გადასახლებული აფხაზი იყო. სოხუმიდან ბათუმში დასახლებულმა მაჰმუდმა ერთ დღეს სამივე ქალიშვილი სტამბულში წაიყვანა და სასახლეში დატოვა.

ბებიაჩემის უფროსი და, ქალბატონი მელექი, იგივე დურრინევი, მოგვიანებით აბდულაზიზის ჰარამხანაში ხვდება და მალე მისი ცოლიც ხდება. ეს ამბავი შემდეგნაირად მოხდა: სამი დიდან ორი და სუ-

1 სულთნის პირველი ცოლი (გამ. შენ.)



სულთანი აბდულჰემიდ II

ლთან აბდულმეჟიდ ხანის პირველ ცოლს, ქალბატონ სერვეთსეზას<sup>1</sup>, ემსახურებოდნენ. სულთნის ცოლი კულტურული და განათლებული ქალბატონი იყო. ევროპელი დედოფლების მსგავსად ცხოვრობდა. ცდილობდა, მასთან მომუშავე მხევლებისთვისაც სათანადო განათლება მიეცა, ამიტომაც შეასწავლა მათ უცხო ენა და პიანინოზე დაკვრა. ერთ მშვენიერ დღეს ბატონმა აბდულაზიზმა დურრინევი ბიცოლამისის სახლში ნახა, მოენონა და მისი თავი ითხოვა. მაგრამ სერვეთსეზა მკაცრად შეენინააღმდეგა და ასეთი პასუხი გასცა:

– ჩემო ბატონო, ეს გოგონები საკუთარი შვილებივით, ევროპელი ქალბატონების მსგავსად აღვზარდე. ამის შემდეგ ერთ-ერთი მათგანი ხარჭად როგორ უნდა მოგცეთ?

რასაკვირველია, მსგავსმა პასუხმა უფლისნული მეტად დააღონა. მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ ბიცოლას წერილი მისწერა, რომ ამჯერად დურრინევის ცოლად შერთვა სურდა. ამ წინადაღების საპასუხოდ სერვეთსეზამ დურრინევს თავისუფლება აჩქა და უფლისნულს გააყოლა ცოლად. მათი ქორწილი 1856 წლის 20 მაისს, დოლმაბაჰჩეს სასახლეში, დიდი ზარ-ზეიმით შედგა.

ბეპიამ ბაბუასთან ქორწინების შედეგად ხუთი შვილი გააჩინა. მათ შორის პირველი შვილი მამაჩემია, თავადი მეჰმედ რეფიქ აჩბა. სამი წლის ვიყავი, როცა ქალბატონი ქემალიფერი გარდაიცვალა. იგი იაპია ეფუძნდის დერვიშის სავანეშია დაკრძალული.

1 სერვეთსეზა ბაშ ქადინეფენდი (1823 – 1878) – კავკასიაში განთქმული ჩერკესების გვარის წარმომადგენელი, სულთან აბდულმეჟიდ ხანის პირველი ცოლი იყო.



ბიჭვინთა

## დედაჩემის შესახებ

დედაჩემის ნამდვილი სახელია ემინე. იგი 1871 წელს აფხაზეთში, ქალაქ ბიჭვინთაში, დაიბადა. თავად ოსმან ემხვარისა და თავადის ქალ ჰესნა ჩაბალურხვას ქალიშვილია.

ბატონმა ოსმანმა 93 წლის ომის დროს<sup>1</sup> ოჯახი გემით ფოთის გავლით სტამბულში წაიყვანა. სტამბულში ერთადერთი ადგილი, სადაც მისვლა შეეძლო, ქალბატონ ჰესნას ბიძაშვილის, ბატონ დავუდის სასახლე იყო. ოსმანმა მთელი ოჯახი დავუდის სახლში დააბინავა. თვითონ კი აფხაზეთში დაბრუნდა და ომში დაიღუპა.

დაქვრივებული ქალბატონი ჰესნა, დავუდის ცოლის, მერიემის, ლაპარაკით ძალიან შეწუხდა. ქალბატონი მერიემი სასახლის ცხოვრებაში კარგად ჩახედული ქალი იყო. ჰესნას აქეზებდა, რომ ქალიშვილები დაუყოვნებლივ სასახლისთვის მიებარებინა. დილიდან საღამომდე ერთი და იმავე სურვილით შეპყრობილი მერიემი გაიძახოდა:

1 იგულისხმება 1877-1878 წ.წ. რუსეთ-ოსმალეთის ომი, რომელსაც თურქები მუსლიმური კალებადრის მიხედვით 1293 წლით ათარიღებენ და შესაბამისად, 93 წლის ომს უწოდებენ (გამ. შენ.).

– გოგონები სასახლეში გაუშვი. სახლში თუ დასხდებიან, რა გამოვლენ? სასახლეში კი განათლებას მიიღებენ, ცხოვრებას აიწყობენ და მომავალში შენც დაგეხმარებან.

მაგრამ ქალბატონი ჰესნა გაჯიუტებულა: ჩემს შვილებს სასახლეში არასოდეს გავუშვებ, მათი ადგილი ჩემ გვერდით არისო, – უთქვას და არ დათანხმებულა.

მერიემმა ჰესნას დასარწმუნებლად ყველა ღონე იხმარა, ტკბილ სიტყვებად დაიღვარა, მაგრამ მაინც ვერ დაიყოლია. ერთ დღესაც დრო იხელთა, ჰესნა ქალიშვილებთან ერთად სასახლეში წაიყვანა და თავის ბიძაშვილს, ქალბატონ ნაზიქედას, წარუდგინა. ქალბატონი ნაზიქედა<sup>1</sup>, სულთან აპდულპაშიდ || ხანის პირველი ცოლი, მეტად ზრდილობიანი, სათონ და გულკეთილი დედოფავალი იყო. იგი სასახლეში სულთნის დედის, ფარესთუს, შემდეგ ყველაზე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

ქალბატონს დედაჩემი და ჩემი დეიდები ნაცვისთანავე მოსწონებია და ქალბატონ ჰესნასთვის უთქვამს: ესენი აქ დარჩნენ, ჩემი სეფექალები იქნებიან.

ჰესნა კვლავ გაჯიუტებულა. თუმცა, ქალბატონის დაუინებულ თხოვნას ვერ შეეწინაალებდება და შვილები ქალბატონ ნაზიქედას ჩააბარა.

ამის შემდეგ დედაჩემმა და დეიდაჩემმა ქალბატონ ნაზიქედასთან დაინყეს მსახური. ერთხელ, ვახშმობისას, სულთნის ქალიშვილს, სალიპას, დედაჩემი უნახავს და ბიცოლასთვის უთხოვია, მისთვის დაეთმო. ნაზიქედამაც დედაჩემი სალიპა სულთანს<sup>2</sup> გადასცა. დედამ სულთნის სასახლეში შვიდი წელი დაპყო<sup>3</sup>. ამ შვიდი წლის განმავლობაში მან სალიპა სულთნისგან ბევრი რამ ისწავლა. აღსანიშნავია, რომ ქალბატონ ნაზიქედას მსგავსად, სალიპაც მსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა. დედამაც ამით ისარგებლა და ფრანგულად ლაპარაკი ისწავლა<sup>4</sup>. უფრო მეტიც, 1889 წელს, როცა გერმანიის იმპერატორი ვილჰელმ || და მისი მეუღლე ავგუსტე ვიქტორია სტამბულს ეწვივნენ, დედამ სასახლეში სტუმრად მოსულ იმპერატორის მეუღლეს თარჯიმნობა გაუწია.

მამაჩემმა დედაჩემი სალიპა სულთნის კარზე ნახა, მოეწონა და სულთანს მისა ხელი სთხოვა. ქორწილი 1887 წელს ისთინიერი, საზაფხულო აგარაკზე გადაიხადეს.

1 ნაზიქედა ბაშ ქადინიფენდი (1848–1895) – ეს ქალბატონი ემინე ნაზიქედაში არ უნდა აგვერიოს.

2 სულთნის ოჯახის ნევრ ქალებს – დედას, ცოლს, დასა და ქალიშვილს სულთანი ენოდებათ (გამ. შენ).

3 აქ ნახსენები სასახლე ფერიეს სასახლეა. იმ წლებში სულთნის ასული სალიპა გათხოვილი არ იყო და დედამისთან, დურრინევთან, ერთად ცხოვრობდა. მხოლოდ გათხოვების შემდეგ გადაეცა პირადი სასახლე.

4 ქალბატონ მაპშერეფს ფრანგული ენა პირადად სულთან სალიპასგან უსწავლია.



გერმანიის იმპერატორი ვილჰელმ II და მეჰმედ V, კონსტანტინოპოლი, 1917

## გერმანიის დედოფლის სტუმრობა პარემში

ჩემს მოვალეობად მიმაჩნია მოგითხოვთ შეხვედრა, რომლის შესახებაც დედა ხშირად მიყვებოდა და რომელიც მე ძალიან მომწოდა.

გერმანიის იმპერატორმა ვილჰელმ II-მ და მისმა მეუღლემ ქალაქ იერუსალიმის შემოვლის შემდეგ სტამბულის ნახვის სურვილ-იც გამოითქვეს. იმ პერიოდში დედა მამაზე ახალი დაქორნინებული იყო. მიუხედავად ამისა, სასახლესთან კავშირი არ გაუწყვეტია. კვირაში სულ მცირე სამჯერ მაინც სტუმრობდა იქაურობას. იმხანად ჩემს დეიდებს შორის მხოლოდ ქალბატონი ფეივესტე მსახურობდა სასახლეში. მეორე დეიდა დაქორნინებული იყო.

მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, დედამ როგორც კი შეიტყო, გერმანიის იმპერატორი სტამბულს ეწვია და იმპერატორის მეუღლეს პარამხანაში სტუმრობა სურსო, დაუყოვნებლივ სასახლეს მიაშურა და სამზადისს შეუდგა. საბოლოოდ იმპერატორის მეუღლემ სამი მოახლის თანხლებით ჯერ სულთნის დედა ფეივესტე, შემდგომ კი ქალბატონი ბიდარი გაიცნო. ქალბატონი დურრინევის შემდეგ ოსმალეთის იმპერიის დედოფლის სტატუსით უცხოელი სტუმრის ნინაშე ქალბატონი ბიდარი წარდგა. მან თავადვე იკისრა

სტუმრებისათვის რჩეული ქალბატონების წარდგენა. ეს შეხვედრა, სულთან აბდულჰამიდ II-ის სურვილით, მაბეინის პატარა ვილაში შედგა. ქალბატონები, რომელებიც დედოფალ აუგუსტე ვიქტორიასთვის უნდა წარედგინათ, რამდენიმე დღით ადრე შეირჩა. მოგვიანებით, 1889 წლის 31 სექტემბერს, კვირა დღეს, სადამოს 8 საათზე, სულთანმა ავგუსტე ვიქტორია და მისი მსახურები ჰარამხანაში მიიყვანა და ისინი, როგორც ზემოთ აღვინშნე, პირველად სულთნის დედას – ფერესთუს შეხვდნენ. დედამ დაწვრილებით მიამბო, თუ როგორ გამოიყურებოდა ვალიდესულთანი<sup>1</sup>. მას ლია ცისფერი აპრეშუმის ჩასაცმელი ეცვა. თავზე ლალისთვლიანი გვირგვინი ეკეთა, მკერდს კი ორდენები უმშვენებდა.

დარბაზში შესულ ავგუსტე ვიქტორიას სულთნის დედა დიდ დივანზე მჯდარი დაუხვდა. სტუმარს ადგილიდანვე თავაზიანად მიესალმა. ვალიდესულთნის თვალ-მარგალიტების დანახვაზე ვიქტორიას მხევლებს თვალები გაუფართოვდათ. ალბათ, მსგავსი ძვირფასულობის ნახვას არ ელოდნენ. მცირებნიანი საუბრის შემდეგ დედოფალმა გვერდით ოთახში გადაინაცვლა, სადაც მას ქალბატონი ბიდარი ელოდებოდა. ბიდარს თეთრი აბრეშუმის გრძელი, კოჭებამდე სამოსი ეცვა, თავს ალმასისთვლიანი გვირგვინი და მკერდს ორდენები უმშვენებდა. უცხოელი დიდგვაროვნის წინაშე ნამდვილი დედოფლის მსგავსად ეჭირა თავი. მშვიდი და მტკიცე გამომეტყველება ჰქონდა. დედა ქალბატონი ბიდარის ამგვარ გამოსვლას დიდი ხნის განმავლობაში ხოტით იხსენებდა.

ავგუსტე ვიქტორიამ ქალბატონ ბიდარს ჰარამხანის ცხოვრების შესახებ ჰკითხა.

– ღმერთმანი, რა უნდა ვთქვა? გემრიელი საჭმელებით გასუქებული უამრავი ქალი, რომელთაც პარიზის მოდაზე შეკერილი კაბები საერთოდ არ უხდებათ, – ბიდარის ამგვარმა ჰასუბმა დედოფალს სიცილი მოჰვარა.

იმ დროს სულთან აბდულჰამიდ II-ის დებმაც გაიცნეს ავგუსტე ვიქტორია. მაგრამ, როგორც დედამ მიამბო, მათ უადგილო კისკისს დედოფლის გაკვირვება გამოუწვევია.

– პრინცესები გამუდმებით რატომ იცინან? იქნებ ეს სტუმრის დახვედრის ერთგვარი წესია? – ამ შეკითხვით გამოხატა თავისი გაოცება. თუმცა, ქალბატონების სიცილის მიზეზი სულთნის ერთერთი ცოლის, ქალბატონი ნაიმეს, უცნაური მოქმედებები იყო. იგი გამუდმებით თავისი ძვირფასი თვალ-მარგალიტების წარმოჩენას ცდილობდა. დედოფალს კი ეს საიდან უნდა სცოდნოდა?

1 სულთნის დედა (გამ. შენ).



ილდიზის სასახლე და ჰამიდიეს მეჩეთი

## დეიდაჩემი, ქალბატონი ფეივესტე – სულთნის მეორე ხარჭა

დეიდაჩემი მაღალი, მწვანეთვალება, ლია წაბლისფერთმიანი, ძალიან ლამაზი და მოხდენილი ქალი იყო. მისი ნამდვილი სახელი რაბიაა. ხუთ დას შორის ყველაზე უმცროსი გახლდათ.

1873 წელს ბიჭვინთაში დაიბადა. 1890 წელს სულთან აბდულჟამიდ II გაიცნო. 1893 წლის დასაწყისში ხანზე დაინიშნა და მისი უდიდებულესობის საყვარელი ცოლებიდან პირველი გახდა. მათი ქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ ქვეყანას მათი ვაჟიშვილი, აბდურრაჰმიმი<sup>1</sup>, მოევლინა. იმის გამო, რომ ვაჟი აჩუქა, ფალიშაპმა დეიდას ლამაზი შენობა გამოუყო და უთვალავი თვალ-მარგალიტი უწყალობა.

აბდურრაჰმიმის დაბადების შემდეგ, 1897 წელს, დეიდა მეორედ დაფეხმდიმდა, მაგრამ ერთმა ქალბატონმა (არ მინდა მისი სახელი გავამხილო) დეიდაჩემი მოაწამვლინა და, შესაბამისად, მუცელიც

1 უფლისწული აბდურრაჰმი (1894–1952) – 1919 წელს ქავალელი თვადის ქალ ემინეზე იქორწინა და ერთი შვილი შეეძინათ. ცოლს 1923 წელს გაეყარა. გადასახლების წლებში პარიზში იმყოფებოდა. იქაურ ცხოვრებას ვერ გაუძლო და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.



ფეივესტე (რაბია) ემხვარი

მოეშალა. ამ ინციდენტის შემდეგ რაბია დაავადმყოფდა და არც ერთხელ არ დაფეხმდიმებულა. აბდულჰამიდ II-ის სულთნობის პერიოდში დეიდა ილდიზის პარკში არსებულ საზაფხულო სასახლეში ცხოვრობდა. სულთნის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ შიშლის სასახლეში გადაბარგდა და გადასახლებამდე იქ ცხოვრობდა. ერთხელ ყური მოვკარი, რომ საფრანგეთში გადასახლებულა და პარიზში დაბინავებულა. მაგრამ რა ბედი ეწია, არ ვიცი, რადგან მიწერ-მოწერის საშუალება არ გვქონია. ამ სტრიქონებს დადარღიანებული ვწერ<sup>1</sup>.

## ჩემი ბიძაშვილი, ქალბატონი ფატმა – სულთნის მესამე ხარჭა

ჩემი ძვირფასი ბიძაშვილი, ქალბატონი ფატმა, მამაჩემის ბიძის, ბატონი სამის ქალიშვილი იყო. იგი დეიდაჩემ ფეივესტეს შემდეგ მოხვდა სულთან აბდულჰამიდ II-ის პარამხანაში. ის 1876 წელს პორპორში, ჩვენი ოჯახის ვილაში, დაიბადა. დედამისი, ქალბატონი ფატმა, თათარი თავადის, ისმაელ ბეი მამლევის, ქალიშვილია.

1 ქალბატონი ფეივესტე 1944 წელს პარიზში გარდაიცვალა.



სტამბული, 1876

ქალბატონი ფატმა, როდესაც მე დავიბადე, უკვე ჰარამხანაში იმყოფებოდა. არ შემიძლია, ეს ამბავი არ გიამბოთ:

ჩემი უფროსი ბიძა, ბატონი სამი, ჯერ უფლისწულ იუსუფ იზზე-დინს, შემდეგ კი უფლისწულ სელიმს ემსახურებოდა.

ერთ დღეს ბატონი სელიმის დედამ, ბედრიფელექმა, სამის მე-ულე, ქალბატონი ფატმა სასახლეში დაპატიჟა. ბიცოლაჩემბაც ვიზიტისას თან ორი ქალიშვილი გაიყოლა. სასახლეს მიუახლოვ-დნენ თუ არა, მანქანებიდან გადმოვიდნენ და გზა ფეხით განაგრ-ძეს. ქალბატონის ბინისკენ გზად ის შენობაც გაიარეს, სადაც სუ-ლთანი ცხოვრობდა. სწორედ იმ დროს სულთანს მათივის თვალი მოუკრავს. ქალბატონი ფატმა ერთ ხანს შეჩერებულა და ირგვლივ მყოფთათვის ფანჯრიდან მოცქირალი კაცის ვინაობა უკითხავს. თანმხლებმა მოახლეებმა ბატონის დანახვაზე თქვეს: ღმერთმანი, ჩუმად, ჩემო მშვენიერო, ის კაცი მისი ბრწყინვალება სულთანიაო და გზა განაგრძეს. ქალბატონი ფატმა სულთანს თავის დახრით თავაზიანად მიესალმა და გზა განაგრძო.

სულთან აბდულჰამიდ II-ს ახალგაზრდა გოგოს ეს საქციელი ძა-ლიან მოეწონა. მაშინვე მთავარი ხაზინადარი თავისთან იხმო და დაავალა გოგონას ვინაობა კარგად გაეკითხა. საბოლოოდ გაირკვა, რომ ბატონი სელიმის სამსახურში მყოფი სამის ქალიშვილი იყო. რა-მდენიმე დღის შემდეგ სულთანმა ბატონი სამი თავისთან დაიბარა და ფატმას ხელი სთხოვა. ბიძაჩემიც სიხარულით დასთანხმდა და ქალიშვილი სულთანს ჩააბარა. ქორწილი 1896 წლის 20 ივლისს, ილ-დიზის სასახლეში შედგა.

ქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ ფატმამ ჰარამი, მაგრამ, რამდენადაც მახსოვს, ბავშვი რვა თვის ასაკში ავად გახდა და გა-რდაიცვალა. საბრალო ფატმას სახეს ქალიშვილის გარდაცვალე-ბის შემდეგ ღიმილი არ მიჰკარებია. ბავშვობაში, როცა სასახლეში დეიდას ვსტუმრობდით, ფატმასაც შევუვლიდით და ვნახულობ-დით ხოლმე.



არასოდეს დამავიწყდება ფატმას მუდამ მოწყენილი და ნაღვლიანი სახე. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ლამაზი ქალი იყო, დარღისგან ფერი დაკარგა და ჩამოხმა. ადრეულ ასაკში გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების ზუსტი თარიღი 1924 წლის 5 ნოემბერია, ოსმალეთის დინასტიის საზღვარგარეთ წასვლიდან რვა თვის შემდეგ. ღმერთმა აცხონის მისი სული.

აღსანიშნავია, რომ ქალბატონი ფატმა „ჰამიდიე ეთფალის“<sup>1</sup> საავადმყოფოს საქმეებითაც იყო დაკავებული. ეს საავადმყოფო სულთანმა ჰამიდმა ჰათიჯეს სახელზე ააშენებინა. ფატმა კვირაში სულ მცირე ორჯერ მაინც აკითხავდა იქაურობას. საავადმყოფოს მდგომარეობას აკვირდებოდა და პირადად ხვდებოდა ავადმყოფებს. ისინიც ფატმას სახელზე ლოცულობდნენ და სულთანს მოკითხვებს უთვლიდნენ. მეც ჩემს ბიძაშვილთან ერთად რამდენჯერმე ვენვიე საავადმყოფოს. მართლაც, ისეთივე სუფთა და მოწესრიგებული შენობა იყო, როგორც აღნერდნენ. მოგვიანებით, სამწუხაროდ, დაბინძურდა. მისი ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ არაფერი ვიცი.

## ჩემი დის – ნურბანუს – უფლისწულთან ქორწინება

ჩემი დის, ქალბატონ ნურბანუს, ტახტის მემკვიდრესთან ქორწინება უიღბლო გამოდგა. არ შემიძლია არ გიამბოთ წლების წინ მომხდარი ეს მწარე და მტკივნეული ამბავი.

ჩემი და ძალიან ლამაზი და მოხდენილი ქალი იყო. თეთრი, თაფლისფეროვალება, მაღალი ტანის, შავი გრძელი თმებითა და წვრილი წელით.

1 დღევანდელი შიშლის ბავშვთა საავადმყოფო.



უფლისწული ბურჰანედდინი

ილდიზის სასახლეში სტუმრობისას ჩვენი ნათესავების გარდა, სხვა ქალბატონებსაც შევუვლიდით ხოლმე. ერთხელაც, ამგვარი ვიზიტისას, ქალბატონი მეზიდი-მესთანის<sup>1</sup> სასახლეში სადილზე დაგვპატიჟეს, სადაც ჩემი და ბატონ ბურჰანედდინს ძალიან მოეწონა და მამაჩემს მისი ხელი სთხოვა. თუმცა, მამა არ დათანხმდა, რადგან ეს კავშირი შეუძლებლად მიაჩნდა. იმ პერიოდში ბატონიშვილები ხშირად ქორწინდებოდნენ და ეს ფაქტი მამაჩემისთვის მიუღებელი იყო. მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ბატონიშვილი ჩემს დასაც აინტერესებდა, მამა მათ აღარ შენინააღმდეგებია. ქორწილი მალევე, 1907 წელს 15 ივლისს, სასახლე ილდიზში, მაბეინის ვილაში გაიმართა.

სასახლეში გადასვლის შემდეგ ჩემმა დამ სახელი შეიცვალა და ჰიდაიეთი დაირქვა. დაქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ დაფეხმდიმდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ავტოკატასტროფის შედეგად მუცელი მოეშალა. ამ შემთხვევის შემდეგ გარკვეული პერიოდი ბავშვი არ ჰყოლია. 1911 წელს ფაპრედდინი შვა, რამაც ყველა გაგვახარა<sup>2</sup>.

1909 წელს ბატონმა ბურჰანედდინმა მეორედ იქორწინა. საბრალო ჩემი და დანაღვლიანდა. ბურჰანედდინის მეორე მეუღლე, ჩე-

1 მეზიდი-მესთანი (1869–1909) – სულთან აბდულჰამიდ II ხანის მეუღლე და უფლისწულ ბურჰანედდინის დედა.

2 უფლისწული მეჰმედ ფაპრედდინი (1911–1968) დავთარში ქალბატონი ნაზლიარის შვილად არის ნაჩვენები, მაგრამ არასწორია. ფაპრედდინი ნიუ-იორკში გარდაიცვალა.



ნურბანუ აჩბას  
თურქეთის  
რესპუბლიკის  
დროინდელი  
პირადობის  
მოწმობა

რქებზე ჰუსეინ ბეის ქალიშვილი – ქალბატონი ნაზლიარი<sup>1</sup>, სასახლეში ნარმოქმნილი ყველა უთანხმოების მიზეზი იყო. უფრო მეტიც, მისი „წყალობით“ ბატონი ბურპანედდინი ყველასთვის მოულოდნელად ევროპაში გადავიდა. ჩემი დაც იძულებული გახდა, ბატონიშვილის მეულლეებისთვის განკუთვნილი სახლი დაეტოვებინა. მიუხედავად ამისა, ბურპანედდინი ჩემს დას არ გაეყარა. 1924 წელს, როცა ოსმალთა ნარჩინქებული გვარი საზღვარგარეთ გადაიხვენა, ჩემი საპრალო დაც უცხო ქვეყანაში გადასახლდა<sup>2</sup>. მცირებნიანი მიწერ-მოწერის შემდეგ მისგან არაფერი შემიტყვია. ეს ამბავი ისე მაღარდებს, რომ ახლაც გული მუაზე მეპობა და თვალთაგან ცრემლები მდის.

- 1 ქალბატონი ალექს მელექ ნაზლიარი (1892–1976) – ბურპანედდინის მეორე ცოლი და უფლისწულ ოსმანის დედა. 1919 წელს ბურპანედდინს გაეყარა და მეტმედ ჯავაიდზე იქორნინა. 1926 წელს მეტმედ ჯავაიდა ანკარაში სიკედილით დასაჯეო. ქალბატონი ნაზლიარი მას შემდეგ არ დაქორნინებულა. იგი ანკარაში გარდაიცვალა.
  - 2 ქალბატონი ნურბანუ ჰიდაიეთი (1891–1946) – ბურპანედდინი ქალბატონ ჰიდაიეთს კოდის გაეყარა, ცონბილი არ არის. სავარაუდო, 1915–1919 წლებში უნდა მომხდარიყო, რადგან უფლისწულს ნაზლიართან განქირნინების (1919) სხვა (ცოლი არ ჰყოფდა. უცნობია, თუ რატომ არის ქალბატონი ჰიდაიეთის ვაჟი, ფასრედდინი, ქალბატონი ნაზლიარის შევილად ნაჩენები. მიუხედავად იმისა, რომ ნურბანუ ჰიდაიეთს ბურპანედდინთან არ უქორნინა, მამიდა ლეილა ნერს, რომ მის დას ბურპანედდინი არ გაყრია. ალბათ, ქალბატონი ჰიდაიეთი ვაჟის ინიციატინ ყოფნის მიზნით, თავისი სურვილით წავიდა გადასახლებაში. ის თურქეთში კარგა ხასს არ დაპრუნებულა. ბულგარეთში მამამისთან, თავად რეფიქ აჩბასთან, წავიდა. ბულგარითის მოქალაქეობა მიიღო, სახელი შეიცვალა და თურქეთში დაპრუნდა. სივასში თავისი უფროსი ძმის, თავად აპმედ აჩბას, გეერდით გარდაიცვალა.



სოხუმი, 1866

## || ၁၃၁ || ပြန်စတိတ်ဖွေ့ဖော်ရုံ မြေနှုန်းမြေးချုပ်မြေးချုပ်

„ဒါန်ဖွေ့ဖော်ရုံ၊ လျှော်စားအဲ ဒာရာပြုချော်...  
ဒွေးဖွား၊ စာသာမဏေ မြောက်တွေ ပြောမြော်မာ၊  
ဦးရှေ့လျော်မာ၊ အလုပ်အောင်လျော်မာ နှင့် မြောက်အောင်  
အောင်းပါ။ ဒါ မြောက်လျော်စား စာသာမဏေရှိ စွာအလိုက်  
ဒေါ်လျော်...“

စာသာမဏေ၏ ပုဂ္ဂန်မြောက်လျော်စား အိပ်အောင် ပြောမြော်မာ



სოხუმი, 1877

## ილდიზის სასახლის გაძარცვა

1908 წელს კონსტიტუცია დამტკიცდა. ამ მოვლენიდან ერთი წლის შემდეგ ჩვენი დიდი სულთანი აბდულჰამიდ II ტახტიდან ჩამოაგდეს და გადასახლეს. ამ არასასიამოვნო მოვლენის თვითმხილველი თავად გავხდი.

31 მარტის, ჩვენი წელთაღრიცხვით 1909 წლის 13 აპრილის, ალი ქაბულის შემთხვევიდან ცოტა ხნის შემდეგ, დედამ სასახლეში წასვლის სურვილი გამოოქვა, მძიმე დღეებში დეიდაჩემის გვერდით ყოფნა სურდა. სწორედ ამიტომ დაუინებით სთხოვდა მამას, მისთვის სასახლეში წასვლის უფლება მიეცა. „ჩემი და ცუდ დღეშია, აუცილებლად მის გვერდით უნდა ვიყო“, – ეუბნებოდა.

საბოლოოდ მამა დათანხმდა და გადაწყვიტა, დედა სასახლეში მამიდაჩემისა და ჩემი უფროსი დის თანხლებით გაეგზავნა. მეც არ დავაყოვნე და ხვენა დავუწყე – მეც მინდა წასვლა, გთხოვ, ნება მომეცი, მეც წავიდე-მეთქი.

სანამ დედ-მამას დავარწმუნებდი, რამდენი ხვენნა-მუდარა და ტირილი დამჭირდა, ვერ გეტყვით. როგორც იქნა, დამთანხმდნენ. ყველანი ერთად ილდიზის სასახლეში უნდა წავსულიყავით...

18 აპრილს დილაადრიან გავედით სახლიდან. ერთ საათში სასახლეში ვიყავით. მამა ილდიზის დიდ ჭიშკრამდე მიგვყვა, კარებთან გამოგვემშვიდობა და წავიდა.

სასახლეში შესვლა არ გაგვძნელებია. საბრალო დეიდაჩემის ბინაში შევედით. დედა და დეიდა ერთმანეთს ტირილით გადაეხვივნენ და დარდი განიქარვეს. იმ დროს მხოლოდ თერთმეტი წლის ვიყავი. დეიდას მოსამსახურეთაგან ერთ-ერთმა წამიყვანა, შარბათები შემომთავაზა და ტკბილ სიტყვებად იღვრებოდა. მამიდაჩემი საიდე და ჩემი უფროსი და ნურბანუ დეიდაჩემთან შეხვედრის შემდეგ ჩემი ბიძაშვილის, ქალბატონ ფატმას, სამყოფლისკენ გაეშურნენ.

სასახლეში ყოფნის პირველმა დღემ სამართლი მშვიდად და უშფოთველად ჩაიარა. თუმცა, 19 აპრილს დილიდან სასახლეში სროლის ხმები და მამაკაცთა საცხოვრებლიდან შეძახილები გაისმა. ყველანი გამოუვალ მდგომარეობაში ვიყავით, შეშინებულები და თავზარ-



კონსტიტუციის  
ახლიდან ძალაში შესვლა  
სულთან აბდულჰამიდ II-ის  
დროს, 1908

დაცემულები. საწყალი აბდულრაჟიმი დედამისის ოთახში ხშირად შედიოდა, მაგრამ ჩვენებს არაფერს ეუბნებოდა. ერთხელ მის დანახვაზე ატირებული დეიდა შეევედრა: ჩემო ლომო, ძალიან გთხოვ, მითხარი, ჩვენს ბატონს რა სჭირს, ან ეს სროლის ხმები რა არისო. მაგრამ აბდულრაჟიმს არაფერი უთქვამს. ჩვენთვის არც კი შემოუხედავს, სულთნის სასახლისაკენ გაეშურა.

ჰარამხანაში ქალები დღეების განმავლობაში საჭმლისა და წყლის გარეშე იყვნენ. ჩვენც დიდ გასაჭირში ჩავვარდით. გარე სამყაროსთან კავშირი მთლიანად გაგვიწყვიტეს. მაგრამ ყველაზე ცუდი ის იყო, რომ ამდენი ქალი საჭმლისა და წყლის გარეშე დარჩა.

მისი უდიდებულესობის, ჩვენი ბატონის თხოვნით, უსინდისო მკვლელებმა მოწყალების სახით ერთი ტომარა პური გამოგზავნეს. გამხმარი და ძველი პურები მოხუცთათვის დასარიგებლად იყო განკუთვნილი. ამასთან, სულთნებისა და ქალბატონების რეზიდენციებშიც უნდა დაერიგებინათ. სასახლეში სულთნის ასულებიდან შადიე, აიშე და რეფია, უფლისნულებიდან აბდულრაჟიმი, ნურედღინი და 4 წლის აბიდი იყვნენ დარჩენილნი. დანარჩენებმა სასახლე დატოვეს. ქალბატონები კი სრული შემადგენლობით სასახლეში იმყოფებოდნენ.

18 აპრილიდან 27 აპრილამდე მეტად მტკიცნეული და დარდიანი დღეები გადავიტანეთ. 27 აპრილს, საღამოს, ყველაფერი დასრულდა.

# Die Revolution in der Türkei.



Rampf vor der Taxismauerne in Konstantinopel. (Erich Seitz 8.)

რევოლუცია თურქეთში, 1909

დეიდას რამდენიმე დღის განმავლობაში გული მისდიოდა, დასუსტებული და ღონემიხდილი კრუნჩხვებში ვარდებოდა. ექიმის გამოძახება ამ თავზარდამცემი რევოლუციის დროს, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო. ბოლოს დეიდა ცოტა ხნით გონს მოეგო და დედაჩემს სთხოვა: ჩვენი ბატონის სამყოფელში წამიყვანეთ, ჩემს ლომთანო. დედამ და მამიდამ დეიდაჩემი ხელკავით წაიყვანეს სულთნის რეზიდენციაში. მე და ჩემი და კი ფატმასთან უნდა წავსულიყოთ. დანაბარები შევასრულეთ, მაგრამ ფატმა სახლში არ დაგვხვდა. ჩემმა დამერთ-ერთ მსახურს ჰკითხა, ქალბატონი სად არისო. მან ტირილით უპასუხა: „ეჱ, მისი ბრძყინვალება სულთანთან წავიდა. რაც ჩემს ბატონს მოუვა, მეც იგივე უნდა გადამხდესო, ასე თქვა“.

სხვა გზა არ გვქონდა, დედას და დანარჩენებს უნდა დავლოდებოდით, მაგრამ ერთ ადგილზე მოცდა შეუძლებელი იყო. იარაღის ხმები, ზარბაზნების ხმაური, აჯანყებულთა შეძახილები ჰარამხანის კედლებში ატანდა და ჩვენამდეც აღწევდა. ამგვარ სიტუაციაში ადამიანი ვერ დაჯდებოდა და ვერც მშვიდად შეძლებდა ლოდინს.



TRAMS AS AMBULANCES: PLACING MEN KILLED IN THE FIGHTING ON A CAR.

## სცენა კონსტიტუციონობლის ქუჩაში რევოლუციის დროს

რამდენიმე დღის უძილო და უჭმელი ვიყავი. თუმცა, ყველა იმავე მდომარეობაში იყო. საბრალო ჩემი დის ნამტირალევი თვალებისა და აკანკალებული ხელების გახსენებაზე ცრემლად ვიღვრები. თქვენ დედაჩემი, მამიდა და დეიდაჩემი უნდა გენახათ. ისინი ყველაზე ცუდ დღეში იყვნენ. განსაკუთრებით კი დეიდაჩემი, რომელიც გამუდმებით გონიერას კარგავდა.

ერთხელ ქალბატონი ბიდარი ვნახე, ჰაერის ჩასაყლაპად და გონიერ მოსასვლელად ხუთი მსახურის დახმარებით ბალში გამოეყვანათ. ქალბატონი საკუთარ თავს არ ჰგავდა. ცალი თვალი გახელილი, ცალი კი დახუჭული ჰქონდა. ფეხზე დადგომას ცდილობდა. მის ამგვარ ყოფას რომ ვიხსენებ, ჟრუანტელი მივლის.

მზეც ჩანაიდა. ჩვენები ჯერ კიდევ არ ჩანდნენ. მე და ჩემი და ფატმას სახლში ვიცდიდით. უცრად სამეფო ზარბაზნების გასროლის ხმა გავიგეთ. ადგილიდან ნამოვხტი, თავიდან ვერ მივხვდი, რისი ხმა იყო. მსახურს დავუყვირე: ეს რა არის, ნუთუ სასახლეს ესხმიან თავს? „ჩემო პატარავ, ეს სამეფო ზარბაზნებია“, – მაპასუხა მსახურმა. მაშინვე მივხვდი, რაც ხდებოდა. ჩემს დას მოვეხვიე და ორივემ ტირილი დავიწყეთ. სწორედ ამ დროს გარეთ ვიღაცამ ყვირილი ატესა. ფანჯრებთან მივირბინეთ. მოახლეები სასახლის ბალში აქეთ-იქეთ დარბოდნენ. „ჩვენი ბატონი ნაუყვანიათ, მეამბოხები სასახლეს ესხმიან თავსო“, – გაიძალდნენ. იმ ნამს მღელვარებამ შეგვიპყრო. „ღმერთო, ჩვენი ხელმწიფე ნავიდა“ – ეს იყო პირველი, რაც ჩემმა დამ თქვა.

ქალბატონი ფატმას განკარგულებაში მყოფი ქალები მისი სახლიდან გამოდიოდნენ და ქალბატონ ბედრიფელეკთან მიდიოდნენ. ჩვენც მათ შევუერთდით და უფროსი ქალბატონის ბინაში მოვიყარეთ თავი.

ჰარამხანის ხალხი ბედრიფელეკის ბინაში იყო შეკრებილი. ფერდაკარგული ბედრიფელეკი მტკიცედ იდგა და ირგვლივ მყოფთ ეუბნებოდა: დამშვიდდით, ნუ გეშინიათ, ოფიცირები არაფერს დაგვიშავებენ. მთავარია, არასწორად არ მოიქცეთ.

სულთან აბდულჰამიდ II-ის სხვა ცოლებიც იქ იყვნენ. მხოლოდ მუშფიკა, ჩემი ბიძაშვილი, საზქარი, ნაჯიე და დეიდაჩემი არ იყვნენ. პირველი, ვინც თვალში მომხვდა, ქალბატონი ბეჭიჯე იყო. შვილი, ბატონი ნურედდინი, გულში ჩაეკრა, ტიროდა და გარშემო შეშინებული თვალებით იცქირებოდა. – ჩვენი ხელმწიფე სად არის, სად წავიდა, რამე იცით? – მსგავს შეკითხვებს უსვამდა იქვე მდგომ მსახურს. აშკარა იყო, რომ ნერვიული აშლილობა ჰქონდა.

ყველანი გამოუვალ მდგომარეობაში ვიყავით. უეცრად კარი გაიღო. აჯანყებულები შემოვიდნენ, შევშფოთდით. ზოგი აჩქარებით წელზე მოხვეულ შალს თავზე ითარებდა, თმის გამოჩენა არ სურდათ. ზოგმა კი ვერაფერი იპოვა და თავშიშველი დარჩა. ჩემმა დამ თეთრი, მაქმანებიანი შარფი შემოიხვია. მეც თავისკენ მიმწია და გამაფრთხილა, ჩუმად ვყოფილიყავი და არაფერი მეთქვა.

აჯანყებულთა მეთაურმა ხმამაღლა დაიყვირა:

- თუ იმას გააკეთებთ, რასაც გეტყვით, საფრთხე არ გემუქრებათ. ქალბატონი ბედრიფელეკი ოდნავ წინ გადგა და თქვა:
- ბატონო, აქაურობა ახლავე დატოვეთ, ეს სულთნის ჰარამხანა. აქ თქვენი ფეხის დადგმაც კი დანაშაული და დიდი ცოდვაა.

კაცს ხასიათი გაუფუჭდა. მერე მკაცრი ტრნით დაიყვირა: ხმა ჩაინყვიტე, სიცოცხლე მოგბეზრებიაო. ამის თქმაზე მსახურთაგან რამდენიმეს გული წაუვიდა. საბრალო ბედრიფელეკმა, როგორც ჰარამხანის უფრო სმა ქალბატონმა, გადაწყვიტა, თავი გაეწირა და თამამად შეჰყვირა:

- ბატონო, არ გრცხვენიათ? თუ გსურთ დამარტყათ, დამარტყით, ჩემი სისხლი მინას არც დაემჩევა.

მეამბოქებმა იარაღი შეისწორეს და მზად იყვნენ, ბედრიფელეკი მოექლათ, მაგრამ ამ დროს ქვედა სართულიდან ვიღაცამ დაიყვირა: მოდით, ნახეთ, სხვა შენობებში რამდენი ძვირფასეულობააო. ამბოქებულებმა ეს გაიგეს თუ არა, მაშინვე სირბილით დაეშვენენ და ჩვენც თავი დაგვანებეს. ღმერთმა ჩვენი ვედრება შეისმინა, ქალბატონი ბედრიფელეკიც დაიფარა შეიარაღებული მკვლელებისგან და ჩვენც გადაგვარჩინა.

იმ საღამოს ილდიზის სასახლეს დილამდე დარცვავდნენ. ლირებულ ნივთებს თავი მოუყარეს და გაზიდეს. ყველაფერი რამდენიმე საათის განმავლობაში მოხდა. მაგრამ ნამდვილი უბედურება 28 აპრილს, ოთხშაბათ დღეს დაიწყო.

## ჰარამხანის გაძარცვა

28 აპრილს, ოთხშაბათ დღეს, დილაადრიან დაიწყეს სასახლიდან უფროსი წევრების გაძევება. ქალებს კი შემოწმების შემდეგ ათავ-ისუფლებდნენ. ქალბატონებს თან ერთი ჩანთის წალების ნებასაც არ აძლევდნენ. აჯანყებულებმა ყველანი მაბეინის პატარა ვილაში შეგვკრიბეს. იქ დედასა და მამიდას შევხვდით. შემზარავი შეხვედრა იყო. დედამ ტირილით გვამცნო, რომ სულთანი სალონიც გაუმგზავრებიათ და დეიდაც მას გაჰყოლია თან.

შოგვიანებით ოფიცრების ცოლები მოიყვანეს. ქალები ხუთ-ხუთად დაჯავუფებული შეჰყაყდათ ოთახში. ამონმებდნენ, ჰქონდათ თუ არა ძვირფასეულობა ტანსაცმლის ქვეშ. მხოლოდ ამის შემდეგ აძლევდნენ გარეთ გასვლის უფლებას.

ის, რაც ილდიზის სასახლის შესასვლელთან ხდებოდა, შეიძლება ითქვას, განკითხვის დღეს მოგვაგონებდა. მოსამსახურეთა ოჯახები მათ წასაყვანად სასახლის კარებთან შეკრებილიყვნენ.

მე, დედა, მამიდა, ჩემი უფროსი და და ორი ახალგაზრდა გოგონა გასასინჯ ოთახში შეგვიყვანეს. შიგნით ოთხი საშუალო ასაკის ქალი დაგხხვდა. ყველაზე მოდურად ჩაცმულმა ქალმა დედას მკლავზე შეავლო ხელი და უხეშად უთხრა:

— გაიხადე ეს, თქვენც გაიხადეთ! მიდით, გვეჩარება.

მეორე ქალმა კი საბრალო მამიდაჩემს თავიდან თავსაბურავი მოხადა. გაუაზრებლად ტანთ გავიძვრეთ. გახდილი ტანისამოსი საგულდაგულოდ შეამონებს და ჩაცმის ნება დაგვრთეს. შემდეგ სასახლიდან გავედით, ამბოხებულთა შორის გავიარეთ და განთავისუფლებულ მოახლეებს უკან გავყევით. ზუსტად სასახლის კართან ვიყავით, როცა არასასიამოვნო შეხედულების ახალგაზრდა კაცებმა ჩვენები იბრუნეს პირი. მამიდაჩემისა და დედაჩემის დაუინებული თხოვნის მიუხედავად თავი არ დაგვანებეს. ბოლოს დედამ, მამიდამ და ჩემმა დამ ყურიდან ძვირფასი საყურეები მოიხსნეს და მკვლელებს მისცეს. ისინიც გაგვეცალნენ. ჩვენ კი სასახლის გარეთა კარამდე სირბილით მივედით. იქ მამას შევხვდით. საბრალო თურმე რამდენიმე დღის განმავლობაში სასახლესთან მოდიოდა, მაგრამ „ახალგაზრდა თურქები“ შიგნით შესვლის უფლებას არ აძლევდნენ და შეწუხებული უკან ბრუნდებოდა.

მანქანაში ვსხდებოდით, როცა ყვირილის ხმა გავიგეთ. მამა ამბის გასაგებად წავიდა. ოცი წუთის შემდეგ დაბრუნდა და გვითხრა: უფროსი ქალბატონისთვის თავსაბურავი წაურთმევიათ, საბრალო ქალი თავშიშველი დარჩენილა და მოთქვამდა. ვიღაც მისულა, მანქანაში ჩაუსვამს და წაუყვანიაო. ყველანი დავნაღვლიანდით....

# Die Ankunft des abgesetzten Sultans in Saloniki.

(Blätter Seite 4.)



სულთან აბდულჰემიდ II-ის სალონიკში გადასახლება

ამ ამბიდან ოთხი დღის შემდეგ ქალბატონს თავისი ვაჟის, სელი-  
მის, სასახლეში ვესტუმრეთ. ქალბატონი სევდიანი იჯდა და ჩინდა.  
რა გვეთქვა, ან რითი გვენუგეშებინა, არ ვიცოდით. ტირილით გუ-  
ლი ვიჯერეთ და იქაურობა დავტოვეთ.

შემდეგ ქალბატონი ბიდარი, ემისალინური და ბეჰიჯე მოვინახუ-  
ლეთ. სამწუხაროდ, ყველაზე ცუდ დღეში ბეჰიჯე იყო. თავის ვაჟშვ-  
ილთან, ნურედინთან, ერთად სახლი უქირავებია, მაგრამ ფინანსურ  
კრიზისს განიცდიდნენ და არ იცოდნენ, თავი როგორ გაეტანათ. ბეჰი-  
ჯეს და – ქალბატონი თასვირეც იქ იყო. თასვირემ დედაჩემს შესჩივლა:

– ჩემო ქალბატონი, ასეთი მდგომარეობა თუ დიდხანს გაგრძელდა,  
ღმერთმა დაიფაროს და ჩემი ლამაზი და ხელიდან გამოგვეცლება.

ისინიც ვერაფრით ვანუგეშეთ და დამწუხრებული დავბრუნდ-  
ით სახლში.

\* \* \*

მკვლელებმა სულთანი სალონიკში გაგზავნეს. მოგვიანებით შე-  
ვიტყვეთ, რომ იქ ერთი ეპრაელის თუ ბერძნის სახლში გამოუმწყ-

ვდევიათ. დეიდა და მათი ვაჟიშვილი აბდურრაპიმი სულთანს თან ახლდნენ. იქ ზუსტად ერთი წელი დაკყვეს. ერთი წლის შემდეგ ფადიშაპთან ერთად ნასული სულთნის ასულები და ზოგიერთი მისი ცოლი უკან ნამოვიდნენ. დეიდა და ჩემი ბიძაშვილი ფატმაც ამ ჯგუფთან ერთად სამშობლოში დაბრუნდა. მთელი ოჯახით სირქეფიშის სადგურში დავხვდით და ყველანი ერთად ჩენს სახლში დავბრუნდით. დეიდას და აბდურრაპიმს საკუთარი სახლი არ გააჩნდათ და სანამ ბინას გამოუყოფდნენ, ჩვენთან ცხოვრობდნენ.

ფატმა მამასთან, ბატონ სემთან, ნავიდა და სიცოცხლის ბოლომდე მშობლებთან დარჩა.

სალონიკიდან უკან დაბრუნებულებს შორის ქალბატონი საზკარიც, ქალბატონი ბეჭიჯეს ბიძაშვილიც ერია. ის უიღბლო და სევდიანი ადამიანი იყო. ქალიშვილის, რეფიას, გათხოვების შემდეგ მასთან ერთად დაიწყო ცხოვრება, მაგრამ სიძეს ვერ შეეგუა და ცოტა ხნის შემდეგ ბეჭიჯესთან, მასლაკის სასახლეში, გადავიდა საცხოვრებლად. იქ ცოტა ხანს იცხოვრა, შემდეგ დეიდაჩემთან გადაბარგდა. იმ დროისთვის (1918 წელს) დეიდას შიშლში ლამაზი ბალის შიგნით აშენებული სახლი ჰქონდა ნაყიდი. გადასახლებამდე ორივემ იქ იცხოვრა.

ქალბატონი საზკარი ძალიან მიყვარდა. ყოველთვის ტკბილად მესაუბრებოდა და დედობრივი გულისხმიერებით მეპყრობოდა. გადასახლების დროს ქალიშვილთნ ერთად საზღვარგარეთ წავიდა. შემდგომში რა მოხდა, არ ვიცი!

## ქალბატონი ბეჭიჯე – ლირსეული აფხაზი თავადის ქალი

ქალბატონი ბეჭიჯე ყველაზე ლამაზი, არისტოკრატული და ჯიუტი ქალბატონთაგანია, რომლებიც კი ცხოვრებაში მინახავს. თეთრი, ლურჯთვალება, მაღალი, ღია ნაბლისფერი გრძელი თმებით – განსაკუთრებული სილამაზის ქალი იყო. დეიდაჩემი, ჩემი ბიძა

1 ქალბატონი საზკარი 1873 წელს ადაფაზართან ახლოს მდებარე აფხაზურ სოფელ ქაიალარში დაიბადა. მამამისი აფხაზი დიდგვარვანი ბათა მანი იყო. სასახლეში მცირებლოვანი მიიყვანეს. მოგვიანებით სულთან აბდულებამიდ II-ის ცოლი გახდა. რეფიას გარდა შვილი არ ჰყოლია.

1924 წელს, გადასახლების დროს, ქალიშვილთან ერთად ქალაქ ბეირუტში ნავიდა და იქ 1945 წელს აღესრულა.



ბეჭიჯე მაანი

შვილი ფატმა და ბეჭიჯე ერთი ქმრის ცოლები იყვნენ. ბეჭიჯე აფხაზი არისტოკრატისა და თავისი სიქველით სახელგანთქმული ალბუს მაანის უფროსი ქალიშვილი იყო. ბეჭიჯეს დედა, ქალბატონი ნაზლი, ასევე დიდგვაროვანი ოჯახის – ქუჩბას – წარმომადგენელი გახლდათ.

ქალბატონი ბეჭიჯე 1882 წელს ბეინუვიდში<sup>1</sup> დაიბადა, 1889 წელს მამამ ილდიზის სასახლეში მიიყვანა და საპატარძლოდ სულთანს წარუდგინა<sup>2</sup>. ფადიშაპი ახალგაზრდა გოგოს სილამაზით მოხიბლულა და მაშინვე დაუნიშნავს. ქორწილი 1900 წლის 10 მაისს ილდიზის სასახლეში, ჰიუნქიარის რეზიდენციაში, შედგა. დედა ქორწილს პირადად ესწრებოდა, ამიტომაც საქორწინო ცერემონიის შესახებ დაწვრილებით გვიამბო.

ბეჭიჯეს ქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ ტყუპი – ბურედდინი და ნურედდინი – ეყოლა, რის გამოც სულთნის ავტორიტეტიან ცოლებს შორის დაიკავა ადგილი.

1 სოფელ ბეინუვიდის ამჟამინდელი სახელწოდებაა ალთინდერე.

დებს ადაფაზარს ეკუთვნის.

2 ქალბატონი ბეჭიჯე პირველად სულთან აბდულჰამიდ II-ის ვაჟიშვილის – ბურპანედდინისთვის შეირჩა საპატარძლოდ. მაგრამ სულთანი იმდენად მოიხიბლა მისი სილამაზით, რომ თავად დანიშნა იგი.



ალბუს მაანი

იმ დროს, როცა სულთანი აბდულჰამიდ II ტახტიდან ჩამოაგდეს და სალონიკში გადაასახლეს, ბეჰიჯე სტამბულში დარჩა. როგორც ადრე აღვნიშნე, ვაჟიმშვილთან ერთად იქირავა სახლი და საკმაოდ რთულ პირობებში მოუწია ცხოვრება. რადგან ის, რაც ნურედდინს უწყალობეს, ძალიან მცირე იყო. ამის გამო საბრალო ბეჰიჯემ სულთანს წერილი მისწერა. წერილში ყოფილი სულთნისთვის განკუთვნილი მასლაკის სახლის მისთვის გადმოცემას ითხოვდა. სულთან რეშად ხანის თქმით, ბეჰიჯეს ენვერ და თალაათ ფაშებისათვის უნდა მიემართა. ბეჰიჯემაც მისწერა ზემოთ ხსენებულ პირებს, მაგრამ მათ ყურიც არ შეიბერტყეს. ბეჰიჯეს 1912 წლამდე წერილებისა და მიმართვების წერა არ შეუწყევებია. 1912 წელს ყოფილი სულთანი სალონიკიდან სტამბულში დაბრუნეს და ბეილერბეის სასახლეში გამოამწყვდიეს. მმართველი წრეები ბეჰიჯეს დაუსრულებელი თხოვნით ძალიან შეწუხდნენ. ამიტომაც მას უთხრეს, რომ სულთანი ავად იყო და რომ მან ბეილერბეის სასახლეში დაბრუნება ისურვა. ბეჰიჯე ამ ამბავმა ძალიან ააღელვა. თავის დასთან, თასვირეს-თან, ერთად მაშინვე ბეილერბეიში წავიდა. სასახლეში მისულს სულთანი სრულიად ჯანმრთელი დახვდა. მის დანახვაზე ბეჰიჯეს აღმოხდა: „ღმერ-თმანი, ჩემო ბატონო, ავად არ ხართ?“

ბეჰიჯე მიხვდა, რომ იგი ენვერ და თალაათ ფაშას ხრიკების მსხვ-ერპლი გახდა და სასახლიდან გაღწევას ვერ შეძლებდა. მთელი სამი თვე სასახლეში გამოკეტილმა გაატარა. ერთ დილით აბდულჰამიდ-

ის ოთახში შევიდა და ქმარს შეევედრა: ჩემი ვაჟისაგან მოშორებით ყოფნა არ შემოძლია, გთხოვთ, აქედან მისხსნითო. მაგრამ მეუღლემ აუხსნა, რომ მის სიტყვას უკვე ძალა არ ჰქონდა და ვერაფერს მოიმოქმედებდა. მაშინ მე ვიცი, რაც უნდა გავაკეთოო, – თქვა გაფიცხებულმა ბეჭიჯემ და წამოხტა. აბდულპაშიდის ოთახი დატოვა, ჯარისკაცებით სავსე დარბაზში შევიდა და დაიყვირა:

– აქედან დაუყოვნებლივ გამიშვებთ! თუ არადა, ჰარამხანაში საერთოდ არ დავბრუნდებიო.

სამხედროები გაოცდნენ და ვითარება ენცერ ფაშას ამცნეს. ენცერ ფაშას განკარგულებით ბეჭიჯემ ბეილერბეი დატოვა და მასლაკის სასახლეში დაბინავდა. იქ გადასახლებამდე მშვიდი ცხოვრებით იცხოვრა<sup>1</sup>.

## ქალბატონი ბიდარი

ბიდარი მაღალი, გამხდარი, თაფლისფერთვალება, ქერა, გრძელთმიანი, მომაჯადოვებელი სილამაზის პატრონი იყო. თავისი სილამაზით ყველას ხიბლავდა. ბიდარი სულთან აბდულპაშიდ II-ის ყველაზე საყვარელ ცოლად ითვლებოდა. იგი თავად ჰუსეინ ინალ-იფას ენათესავებოდა.

ჩემი ნიშნობის დღეს ხელზე მეამბორა, „კეთილი იყოს შენი მობრძანება, ჩემო გოგონა. ლმერთმა ქნას, ბედნიერი იყოო“, – მითხრა და სულთანის ნაჩქარი ბრილიანტისთვლიანი ქინძისთავი დამაბნია.

ბიდარი უზომოდ ერთგული, ბედის უკულმართობისგან დაჩაგრული და გაუბედურებული ადამიანი იყო. „ახალგაზრდა თურქების“ მიერ სიკვდილით უსამართლოდ დასჯილ ძმაზე, ჩერქეზ მეჰმედ ფაშაზე<sup>2</sup>, გლოვობდა და დარდობდა.

1 ქალბატონი ბეჭიჯე გადასახლების შემდეგ, 1924 წელს, თავის ვაჟიშვილთან, ნურედფინთან, ერთად იტალიაში, ქალაქ ნეაპოლში დასახლდა. მას შემდეგ, რაც ზურედფინი პარიზში გადავიდა, ბეჭიჯე მარტო დარჩა. 1944 წელს,

შვიდის მრყოლობელად გარდაცვალების შემდეგ, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი ბეჭიჯე იძულებული გახდა, პატარა ბინაში ეცხოვრა. 1969 წელს ოჯახმა იგი თურქეთში ჩამოიყარანა. ბეჭიჯე საყვარელ სტამბულს კვლავ ეწვია, მაგრამ სტამბულში ჩამოსვლიდან სულ რაღაც შვიდი თვის შემდეგ გარდაიცვალა.

2 ჩერქეზი მეჰმედ ფაშა (1856 – 1909) – ზედმეტსახელად სქელნვერა, ბიდარის უფროსი ძმა იყო. სულ ორჯერ იქორნინა. პირველად აბდულმეჯიდ ხანის ქალიშვილზე, ნაილებზე; მისი გარდაცვალების შემდეგ კი სულთან აბდულაზიზ ხანის უმცროს ქალიშვილზე, ესმაზე დაქორწინდა. 1909 წლის 24 მაისს უდანაშაულო მეჰმედ ფაშა „ერთობისა და პროგრესის კავშირმა“ სიკვდილით დასაჯა.



მეტედ ფაშა

მე და დედა ბიდარს გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ვესტ-უმრეთ. მიუხედავად იმისა, რომ უმძიმეს მდგომარეობაში იყო, ჩვენს დასახვედრად ფეხზე წამოდგა. მისმა საქციელმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ჩვენი საუბარი დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა. ბოლოს ქალბატონმა შემდეგი სიტყვებით დამლოცა:

– ბედი უსამართლოდ და შეუბრალებლად მომექცა. ვიმედოვნებ, რომ შენ ბედნიერი და ლამაზი ცხოვრება გექნება.

ეს აღმოჩნდა ის სიტყვა, რომელიც ქალბატონი ბიდარისგან უკან-ასკნელად მოვისმინე. ჩვენი სტუმრობიდან ერთი კვირის შემდეგ, 1918 წლის 13 იანვარს, ბიდარი გარდაიცვალა. იგი იაპია დერვიშის სავანეში, უფლისწულ ქემალედდინის მავზოლეუმშია დაკრძალული. ლმერთმა გაანათლოს მისი სული.

## სულთან აბდულჰამიდ II-ის გარდაცვალება

ოსმალეთის იმპერიის ერთ-ერთი უბედური სულთანი აბდულჰამიდ II ყველას კარგად ექცეოდა, არავისთვის არაფერი დაუშავებია, მიუხედავად ამისა, დიდ უსამართლობას გადაეყარა. რევოლუციის



სულთანი აბდულჰამიდ II

შედეგად იგი ტახტიდან ჩამოაგდეს. მისი გარდაცვალების ჟამს მეც ბეილერბეის სასახლეში ვიყავი. მინდა, ეს სამწუხარო ამბავი გიამ-ბოთ:

1918 წლის 10 თებერვალი, კვირა დღე იყო. ჩემი უფროსი დეიდა, ნურპაიათი, აღელვებული მოვიდა ჩვენთან. დედას უთხრა: ფეივეს-ტემ დამირეკა, ჩვენი ბატონის მდგომარეობა გაუარესებულა. მე და შენ თავისთან გვიხმობს, ბეილერბეიში ერთად მოდითო, ამბობს.

დედამ ეს გაიგო თუ არა, საჩქაროდ მანტო ჩაიცვა და მეც მითხრა, მოვმზადებულიყავი. ყველანი ერთად დეიდა ფეივესტესთან წავედით.

დეიდას სახლს მივუახლოვდით. იგი კარგა ხნის წინ მომზადებულიყო და ბაღში გველოდებოდა. მაშინვე მანქანიდან ჩამოვედით და დეიდას გადავეხვიეთ.

დეიდამ დედას უთხრა:

– ჩემო დაიკო, სწრაფად უნდა წავიდეთ. სელიმმა დარეკა, სულთნის მდგომარეობა სავალალოა. დაუყოვნებლივ ბეილერბეიში უნდა წავიდე.

კვლავ მანქანაში ჩავსხედით და სანაპიროზე ჩამოვედით. იქიდან კი წავით მოპირდაპირე მხარეს გადავედით, სადაც ბატონი აბდურრაპიმი დაგვხვდა. ძალიან მოწყენილი იყო. ბევრი არაფერი გვით-

ქვამს, სხვა მანქანაში გადავსხედით. როგორც იქნა, 20 წუთის შემდეგ ბეილერბეგიმდეც მივალნიერ.

სასახლის ეზოში შესულები ჯარისკაცებმა მანქანიდან გადმოგვსვეს და აპდურრაპიმს ჰკითხეს:

— ეს ქალები ვინ არიან?

— დედაჩემი და დეიდაჩემები არიანო, — უპასუხა.

უფროსმა ხმამალლა თქვა:

— არ შეიძლება, თქვენ ყველანი შიგნით ვერ შეხვალო.

შემდეგ კი ისევ აპდურრაპიმს მიუბრუნდა:

— თქვენ დედათქვენთან ერთად შედით, დანარჩენები აქ დარჩებიან.

ჩვენც იძულებული გავხდით ბალში მოგვეცადა. დეიდა და აპდურრაპიმი სასახლეში შევიდნენ. დაახლოებით თხუთმეტი წუთიც არ იყო გასული, რომ შიგნიდან ყვირილისა და კივილის ხმა მოისმა. გაოცებით გადავხედეთ ერთმანეთს. ამასობაში ოფიცრები გამოცვიდნენ და დაიყვირეს: „ყოფილი სულთანი გარდაიცვალა.“

იმ წამს თითქოს სამყარო თავზე დაგვენგრა. შიგნით შესვლა მოვინდომეთ, მაგრამ ამჯერადაც სამხედროებმა დაგვაბრკოლეს. ვერ შეხვალთო, გვითხრეს.

სასონარკვეთილებმა არ ვიცოდით, რა გვეთქვა, ან რა გვეკეთებინა. ჩვენს ბედად ჯარისკაცების მეთაური იმ დროს ბალში იყო. ჩვენთან მოვიდა და თავის ხალხს უთხრა:

— შეეშვით, შევიდნენ, კაცი მოკვდა და ანი ყველას შეუძლია შესვლა.

ამ სიტყვების მემვეობით სასახლეში უცებვე შევედით. ჰარამხანას მიღუახლოვდით, ქალები ხმამალლა მოთქვამდნენ, ადგილს ვერ პოულობდნენ. ვცდილობდით, სიმტკიცე არ დაგვეკარგა. დეიდას ძებნას შევუდექით და ვიპოვეთ კიდეც. საბრალო ფეივესტე კიბის თავში ჩამუხლულიყო, ნახევრად გონიმიხდილი მინაზე იჯდა. ირგვლივ მსახურებიც იყვნენ, მაგრამ ვის ჰქონდა ვინმეს დახმარების თავი?! დედა და დეიდა ნურპაიათი ფეივესტეს მივარდნენ, დახმარებას ცდილობდნენ. მეც ვტიროდი და თვალებით სულთნის საწოლ ოთახს ვეძებდი.

რამდენიმე საათის შემდეგ ბეილერბეგიში სულთნის სხვა ცოლები და შვილებიც მოვიდნენ. ყველანი გარდაცვლილი ბატონის ოთახში შევედით. ოთახის ერთ კუთხეში მტირალი ნაჯიე მივიდა და სულთანს გულზე დაემხო. საბრალო ძლიერ მოაშორეს მიცვალებულს.

ოთახში სამი ჯარისკაცი შემოვიდა. სულთნის ბინა ყველას დაგვატოვებინეს, გარეთ გაგვიყვანეს და თან გვეუბნებოდნენ — ამდენს ნუ ტირით, ცოდვააო.

საბრალო მოხუცებული ბედრიფელეკი თავის თავს არ ეკუთვნოდა. ოთახში შეიყვანეს, იქ ერთ-ერთმა ექმდმა გასინჯა. სელიმი შიშობდა,



ავსტრიის იმპერატორი კარლ I და დედოფლი ზიტა კონსტანტინოპოლში

მამის დაკარგვის შემდეგ დედაც არ დაეკარგა. ძალიან შეწუხებული სახე ჰქონდა.

ყველანი ვისხედით და გათენებას ველოდებოდით. ბოლოს ერთმა ოფიცერმა სულთნის ოთახში ორ-ორად შესვლის ნება მოგვცა. ჯერ ტახტის მემკვიდრეები, შემდეგ კი ქალბატონები და ქალიშვილები რიგორიგობით შევიდნენ. მე ჩემს ბიძაშვილთან, ფატმასთან, ერთად შევედი. ოთახში შესვლისთანავე ტირილი დავიწყეთ. თითქმის ნახევარი საათი სულთნის თავთან ვისხედით და ლოცვებს ვკითხულობდით. შემდეგ კი ტირილით დავტოვეთ იქაურობა.

მეორე დღეს სულთანი ბოლოჯერ ვნახეთ. ოფიცრებმა მიცვალებული სასახლიდან გამოასვენეს. გარეთ ჯარის კაცებმა პატივი მიაგეს. ქალები სასახლეში დავრჩით, მამაკაცები კი ნავიდნენ. ჩვენი ბატონის ბეილერპეიდან გადასვენების შემდეგ გლოვა-ტირილმა ისევ იმატა. მოგვიანებით ხალხი ნელ-ნელა დაიშალა. ყველა სახლში დაბრუნდა. დეიდა ფერებსტე და აბდურრაჟიმი ჩვენთან ნამოვიდნენ. ჩვენს სახლში რამდენიმე დღე დარჩნენ სტუმრად. ჩემი ბიძაშვილი ფატმა კი მამამისთან, ჩემს უფროსს ბიძასთან, სამისთან, ვანიქონის საზაფხულო სახლში წავიდა.

სულთან აბდულჰამიდ II უკანასკნელად ამგვარ არასასიამოვნო ვითარებაში ვიხილე.



**Das Kaiserpaar in Konstantinopel.**

Kaiser Karl, der Sultan, Kaiserin Zita und Kriegsminister Enver Pascha schreiten die Ehrenkompanie ab.  
Foto Brüder Schuhmann.

ავსტრიის იმპერატორ კარლის სტუმრობა კონსტანტინოპოლში

## ავსტრიის დედოფლის სტუმრობა ჰარამხანაში

სასახლეში გავრცელდა ამბავი, რომ გერმანიის იმპერატორის ვიზიტის შემდეგ სტამბულში ავსტრიის იმპერატორიც აპირებდა ჩამოსვლას. იმ დროს ტახტზე რეშად ხანი იჯდა. ეს სტუმრობა ფადიშაპის (აბდულჰამიდ II) გარდაცვალებამდე ერთი თვით ადრე მოხდა.

1918 წლის 25 მაისს იმპერატორი კარლი და მისი მეუღლე ზიტა<sup>1</sup> სტამბულში ჩამოვიდნენ. მათ სულთანი და ენვერ ფაშა დოლმაპაჰჩეს სასახლეში გაუმასპინძლდნენ, რამდენიმე საათის შემდეგ ილდიზის სასახლეში გადაინაცვლეს.

დედოფალმა ჰარამხანის მონახულების სურვილი გამოთქვა. სულთნის ბრძანებით 30 მაისისათვის ჰარამხანაში სამზადისი და-

1 დედოფალი ზიტა (1892–1989) – ავსტრიის ბოლო დედოფალი.

იწყო. დედა, დეიდა ფეივესტე, ჩემი უფროსი და უმცროსი დები და  
მე იმ დღეს სასახლეში სტუმრად ვიყავით მინვეული.

30 მაისს დილაადრიანად დავიწყეთ მზადება და სასახლეში წავე-  
დით. ზიტას სანახავად სასახლეში უფლისნულის ცოლები და დაქო-  
რნინებული ასულებიც მოსულიყვნენ. ქალბატონ ნაზიქედას, ჩემს  
მომავალ პატრონს, პირველად იქ შევხვდი. იმ დროს ქალბატონის  
ტიტულს ატარებდა, როგორც ტახტის მემკვიდრის ცოლი.

შეხვედრა ილდიზის ჰარამხანის ერთ-ერთ რეზიდენციაში, ე. წ.  
„საგანგებო ოთახში“ შედგა. სულთან რეშადს ზიტასთვის წარსად-  
გენად ერთი რომელიმე ცოლი არ შეურჩევია. მან დედოფალს თა-  
ვისი ყველა მეუღლე წარუდგინა. ზიტას განსაკუთრებით ქამურესი  
და მიპრენგიზი მოენონა, ხოლო ფრანგულად მოსაუბრე ქალბატ-  
ონმა ნაზფერვერმა მისი გაოცებაც კი გამოიწვია.

– თქვენი უდიდებულესობა თუ ფრანგულად საუბრობდა, არ ვი-  
ცოდიო, – თქვა მან.

შემდეგ ზიტამ დეიდა ფეივესტეს ჰკითხა:

– ღრმად პატივცემული დედოფალი სად არის, გერმანიის დედო-  
ფალ ვიქტორიას ბიძარის სახელით რომ გაეცნო?

დეიდამ უპასუხა, მისი უდიდებულესობა, სამწუხაროდ, რამდენიმე  
თვის წინ გარდაიცვალა.

ზიტა ამ ამბავმა ძალიან დაამწუხრა.

ახალგაზრდა და სილამაზით გამორჩეულმა ქალბატონმა დილფ-  
ირიბმა ზიტას მოწონება დაიმსახურა.

შემდეგ დედოფალს ყავა მიართვეს. ზოგიერთმა ახალგაზრდა  
მხევალმა თურქული და ჩერქეზული ცეკვები შეასრულა. ბოლოს  
განშორების დროც მოვიდა. მთავარმა ხაზინადარმა, ნერმინდი-  
ლმა, ზიტას მთელი ჰარამხანის სახელით ძალიან ლამაზად მოქა-  
რგული თავსაბურავი აჩუქა. ზიტამ საჩუქარი მოწინებით აიღო.  
დედოფალი საზეიმო ცერემონიით გააცილეს.

ამგვარად ვიხილე პირველად ჩემს ცხოვრებაში უცხოელი დე-  
დოფალი. რომ არ დამავიწყდეს, აქვე გეტყვით, რომ დედოფლის  
თანმხლებმა მსახურმა, გრაფინია ესტერპაზიმ მითხრა:

– თქვენნაირ ლამაზ კავკასიელ პრინცესას ჩემს სასახლეში სი-  
ამოვნებით მივიღებდი სტუმრად. ერთ მშვენიერ დღეს ვენაში თუ  
ჩამოხვალთ, ჩემს სახლში გელოდებითო.

გახარებულმა სიტყვა მივეცი, რომ თუ იქითკენ მოვხვდებოდი,  
აუცილებლად ვესტუმრებოდი. სამწუხაროდ, ვერ წავედი...



ფერვესტე ემხვარი

## დეიდას შემოთავაზება

ჩემი საქმროს<sup>1</sup> გარდაცვალებიდან რამდენიმე თვის შემდეგ დე-იდა ფერვესტე ლალელის სახლში გვესტუმრა და ისეთი რამ შემო-მთავაზა, რაც ჩემს ცხოვრებას მთლიანად ცვლიდა.

— ჩემი გოგონა, შენი დაწყევლილი ბედის შემყურეს ღამეები არ მძინავს. შენზე ფიქრმა თავი ამატკივა. მაგრამ მჯერა, რომ გამო-სავალს ვიპოვო.

დეიდას ეს სიტყვები არა მარტო ჩემს გონებას, სულსაც ჩასწვდა. მაშინვე ტირილი დავიწყე. იმ წუთამდე მეგონა, რომ ტკივილსა და დარდს ჩემში ვმალავდი. ვერ ვამჩნევდი, თუ სხვებსაც ვტანჯავდი. ძვირფასი დეიდის ამ სიტყვებმა თვალები ამიხილა და სინამდვილის დანახვა შევძელი.

ყელში ბურთი მომაწვა. მაპატიეთ, თქვენი დამწუხრება არ მინდოდა-მეთქი, დიდი გაჭირვებით მოვახერხე თქმა.

1 თავადი ჰუსეინ ინალ-იფა (1888–1918) სტამბულში დაიბადა. პირველი მეულელის, ქალბატონი ვუსლათის, გარდაცვალებიდან (1914) ორი წლის შემდეგ ლეილა აჩბაზე დაინიშნა. ჰუსეინი დროის უმეტეს ნანილს საზღვარგარეთ ატარებდა. ამიტომაც მათი ქორწინება 1918 წლის 23 ივნისამდე გადაიდო. მაგრამ ბატონი ჰუსეინი 1918 წლის 3 ივნისს ეტლის ქვეშ მოჰყვა და გარდაიცვალა.

– მომისმინე, შვილო, შენ ჩემი ნაწილი ხარ. შენი დარდი ჩემი და ოჯახის დანარჩენი წევრების დარდია, – ეს მითხვა, ღრმად ამოისუნთქა და განაგრძო:

– ამას წინათ ჩვენი ახალი სულთნის ჰარამხანას ვესტუმრე. თან სულთნის პირველ ცოლს ვიცნობ, ჩემი ერთ-ერთი ძველი მეგობარია. შენზე ველაპარაკე და ავუხსენი, რა მდგომარეობაშიც ხარ. უფრო მეტიც, ვთხოვე, სასახლეში მიეღე. ქალბატონი მაშინვე და-მთანხმდა.

გაკვირვებული დავრჩი. სასახლეში მსახურება ჩემთვის ახდენილ სიზმარს ჰგავდა. მაგრამ ვერ წავიდოდი, სახლს ვერ მივატოვებდი. გარდა ამისა, ჩემს სულიერ მეგზურს, დილბერს და მზარეულს, კეზბან ბაჯის, რა ენეოდათ? ამაზე დავფიქრდი და დეიდას ვუთხარი:

– დეიდა, თქვენს წინადადებას მივიღებდი, მაგრამ თუ წავალ, სახლსა და მოსამსახურეებს რა ელით?

დეიდამ მიპასუხა:

– რას ამბობ, ხომ იცი ჩვენი მდგომარეობა. სახლსაც მივხედავთ და მსახურებსაც, საკმარისია, შენ თანხმობა განაცხადო და ქალბატონთან არ შემარცხვინო.

დავფიქრდი, შემდეგ დილბერსა და კეზბან ბაჯის დაველაპარაკე. როგორ გაუხარდათ, ვერ აღგინერთ. მითხვეს, რომ აუცილებლად უნდა დავთანხმებულიყავი და რომ მსგავსი შანსი მეორედ არ მომეცემოდა.

მეც მივიღე დეიდას წინადადება...



პეტრე ვერეშჩაგინი. სოხუმი

## III თავი | სასახლის ცხოვრება

„მხედალი გოგონები ქალბატონს თმის  
დასავარცხნად გარს შემოხვეოდნენ,  
მის ირგვლივ ფარვანასავით ტრიალებდნენ.  
ერთი ვარცხნიდა, მეორე უწნავდა, მესამე კი  
მბზინავ წაბლისფერ თმებს უკრავდა.  
იმდენად დიდებული სანახაობა იყო,  
რომ მსგავსი ცხოვრებაში არაფერი  
მინახავს...“

თავადის ქალ ღურლა აჩას დედისადმი  
მიწერილი ნერილიდან



№ 1092. Абхазцы. 616

აფხაზები.

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, დიმიტრი ერმაკოვის ფოტოარქივი

## სასახლეში მისვლა

1919 წლის 5 იანვარს სასახლის არაჩვეულებრივ ორადგილიან კარეტაში ჩავჯექი და პირველი ნაბიჯი გადავდგი სასახლის ცხოვრებისაკენ.

ის დღე ჩემი ახალი ცხოვრების დასაწყისი იყო. ის დილა რომ მასესნდება, თვალთაგან ცრემლები მდის და ვტირი. ჩემი სულიერი მეგზურის – დილბერის გამოსამშვიდობებელი სიტყვები ახლაც ჩამესმის ყურში: „ჩემო ლამაზო დაო, შორსაც რომ იყო, ჩვენი გულები ყოველთვის ერთად იქნება, ეს კარგად დაიმახსოვრე!“

– შორს ხომ არ მივდივარ, მუდამ თქვენთან ახლოს ვიქნები, – ვუპასუხე.

დილბერის სიტყვებს ამგვარი პასუხი დაუფიქრებლად გავეცა. მაგრამ იმ დროს არც ბედნიერი ვიყავი და არც ის ვიცოდი, რომ თავზარდამცემი ბოლო მელოდა.

ჩემს გასაცილებლად დედა, დეიდა, ჩემი დები და ბიცოლა მოვიდნენ. ყველას სათითაოდ გადავეხვივე, გამოვემშვიდობები და ეტლში ჩავჯექი. იქ კი საკმაოდ ლამაზსა და გამხდარ ქალბატონს შევხვდი.

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, მე ჩვენი ქალბატონის მსახური ნეზაქედა ვარ. ქალბატონის სახლში თქვენი მიყვანა მაქვს დავალებულიო, – მითხრა ქალმა.

ცოტა მომეშვა, რადგან მარტო მგზავრობას ჩვეული არ ვიყავი.

ლალელიდან ილდიზამდე, თუ სწორად მახსოვს, ერთ საათში ჩავედით. სასახლის დიდ ჭიშკარში გავლისას შევამჩნიე, რომ სულთნის მსახურები სალამს გვაძლევდნენ, მაშინვე ქალბატონ ნეზაქედას ვკითხე, რატომ მესალმებიან-მეთქი.

– იმიტომ, რომ ეს ეტლი ქალბატონისაა, – მიპასუხა მან.

ილდიზის სასახლის ჰარამხანაში რომ შევედი, იქაურობამ დიდი ხნის წინ ნანახი გამახსენა. კონსტიტუციის შემოლებამდე მე და დედა იქ ხშირად მივდიოდით, დეიდას ვატუმრობდით. ის ბედნიერი და ლამაზი დლები წარსულში დარჩენილი ლამაზი მოგონებების ნაწილი იყო. სარქმლიდან ვიცქირებოდი, ღრმა და ტკბილ ფიქრებში ჩაფლულმა ეტლის გაჩერება ვერც კი შევამჩნიე. ნეზაქედას ხმამ მომიყვანა გონზე.



დილბერი

ეტლიდან გადმოვედით. ზანგი უფროსი საჭურისი შემოგვეგება. მასთან ერთად უფროსი ქალბატონის სახლში შევედით. ქვედა სართულზე ქალბატონის მესამე მოსამსახურეს შევხვდით. მან ზედა სართულზე, იმ სალონში ამიყვანა, სადაც ქალბატონი იმყოფებოდა. დარბაზში შევედი. ქალბატონი დიდსა და ძალიან ლამაზ ტახტზე მე- დიდურად იჯდა. ქალბატონს პირისპირ შევხვდი. მიწამდე დავიხარე, მსურდა მივსალმებოდა. „ღმერთმანი, არ გინდა“ – ნაზი ხმით შემე- ნინააღმდეგა. შემდეგ კი მარაოთი სკამზე მიმითითა. მეც დავჯექი.

შაჰესერმა ტახტს ჩაუარა და ფეხზე დადგა. ქალბატონმა გამი- ლიმა, კეთილი იყოს შენი მობრძანებაო, მითხრა და თან დასძინა: – აქამდე მოსვლით გაისარჯეთ, მადლობას გიხდით, რომ ჩემი ნება აასრულეთ. ღმერთმა ქნას, ბედნიერი მოახლე იყოთ. შემდეგ შაჰე- სერს უთხრა, მეგობარს თავისი ოთახი უჩვენეო და ისევ მე მომი- ბრუნდა: – ცოტა მოისვენეთ, შემდეგ კავლავ შევხვდებით. მეც თა- ვაზიანად მადლობა გადავუხადე და წავედი.

შაჰესერთან ერთად ქალბატონის დარბაზიდან გავედით, იმავე სართულზე გრძელი კორიდორი გავიარეთ და მეორე კორიდორის ბოლო ოთახში შევედით.

შაჰესერმა მითხრა, ეს შენი ოთახიაო. ოთახი ძალიან ლამაზად იყო მოწყობილი. ჩემი ყველა სურვილის მიხედვით გაელამაზებიათ. დიდი სანოლის გვერდით სანერი მაგიდა იდგა, თითქოს წერისადმი ჩემს სიყვარულს ეხმიანებოდა. პატარა, მაგრამ სასიამოვნო ოთახი



ემინე ნაზიქედა

სასახლეში ყოფნის წლებში თბილი და მყუდრო ბუდის მაგივრობას მიწევდა.

ჩემი საცხოვრებელი ადგილის ნახვის შემდეგ საქმე სასახლის ხალხის გაცნობაზე მიდგა.

— თქვენი ნებართვით ერთ მსახურს მოგამაგრებენ. მისი სახე-ლია ფერზანი. სასახლის ეტიკეტს გაგაცნობთ. თუ რამე პრობლემა შეგექმნებათ, მას მიმართავთო, — მითხრა შაჰესერმა.

ამ დროს ფერზანიც შემოვიდა. მისი ოთახი ჩემი ოთახის გვერდით იყო. მუდამ მოღიმარი, საშუალო ასაკის ქალი გახლდათ. მასთან ერთად ძალიან კარგ დროს ვატარებდი.

ამგვარად მოვეწყვე სასახლეში... ბოლო ოსმალო ქალბატონის მეზუთე სეფექალად. მას შემდეგ მრავალი ისტორიული მოვლენის მოწმე გავხდი. იმპერიის ნგრევა კი საკუთარი თვალით ვიხილე.

## პაშ ქადინეფენდი ემინე ნაზიქედას შესახებ

მისი უდიდებულესობა ქალბატონი მაღალი, ღია თაფლისფერთვალება, გრძელი ღია წაბლისფერი თმებით, თეთრი და ხორცსავსე, ძალიან ლამაზი ქალი იყო.



III. Алахадзъ изъ Пиблы. 736

წებელდელი აფხაზი  
საქართველოს ეროვნული მუზეუმი,  
დიმიტრი ერმაკოვის ფოტოარქივი

სასახლის ყველა ქალის მსგავსად, ჩემი ქალბატონიც კავკასიე-  
ლი აფხაზი დიდგვაროვანი გახლდათ. წებელდელი თავადის, ჰასან  
ალი ბეი მარშანიასა და ადლერელი თავადის ასულ ფატმა არედბას  
უფროსი ქალიშვილი იყო.

1877-1878 წლის რუსეთ-თურქეთის ომამდე ერთი წლით ადრე,  
ანუ 1876 წელს, ჰასან ალი ბეიმ სამი ქალიშვილიდან ორი, თავიანთ ძი-  
ძებთან ერთად, სტამბულში წაიყვანა და თავის დას, ქალბატონ სუზი-  
დილს, ჩააბარა. სუზიდილი სულთან ჯემილესთან მსახურობდა.

სულთან ჯემილეს სასახლეში შესვლის შემდეგ ჩემმა ქალბატ-  
ონმა ნამდვილი სახელი შეიცვალა და ნაზიქედა დაირქვა.

პირველ წლებში ნაზიქედა მამიდამისის, სუზიდილის, მოსამსახ-  
ურედ მუმაობდა, შემდგომში კი ჯემილეგ თავის უმცროს ქალიშვილს,  
ფატმას, მიამაგრა და ნაზიქედა მისი სეფექალი გახდა.

ჩემი ქალბატონი ზუსტად 5 წელი ემსახურა პატარა სულთან ფა-  
ტმას. ზაფხულის ერთ დღეს სასახლის ბაღში სეირნობისას უფლისნ-  
ულმა ვაჰიდედდინმა ნახა და მოეწონა. როცა ვაჰიდედდინმა ჯემი-  
ლეს ნაზიქედას ხელი სთხოვა, შენთვის მოსაცემი გოგო არ მყავსო,  
– უპასუხა მან და ძმის სურვილს წინ აღუდგა.

ქალბატონმა ნაზიქედამ ამ ამბის შესახებ არაფერი იცოდა. თა-  
ვისი უშფოთველი და მშვიდი ცხოვრება პატარა ქალბატონ ფატმას  
მიუძლვნა. მასთან თამაშობდა, საუბრობდა და ძალიან კარგ დროსაც  
ატარებდნენ ერთად.

ნაზიქედაზე შეყვარებული ბატონი ვაჰიდედდინი კი მისი ცოლად შერთვის სურვილით იწვოდა. ერთი წლის განმავლობაში თავის დასთან მიდიოდა, ეხვეწებოდა, მაგრამ ვერაფრით შეძლო დის დაყოლიება.

საბოლოოდ, 1885 წლის გაზაფხულზე, ჯემილემ გადაწყვიტა, ნაზიქედა ვაჰიდედდინისთვის მიეცა ერთი პირობით: „ნაზიქედას გარდა სხვა ქალს არ შეირთავ, ის იქნება შენი ერთადერთი კანონი-ერი მეუღლე. მას ისე არ მოექცევი, როგორც ხარჭას“, – ეს უთხრა და სიტყვაც მიაცემინა. ვაჰიდედდინმა ფიცი დადო და დის ნამოყენებულ პირობას დასთანხმდა.

მათი ნიშნობა და ქორწილი 1885 წლის 18 ივნისს სულთან აბდულჰამიდ II-ის ორგანიზებით და ქალბატონ ჯემილეს სურვილით ფერიეს ერთ-ერთ სასახლეში ბრწყინვალე ცერემონიით შედგა<sup>1</sup>.

ქორწინების პირველი წლები ფერიეში გაატარეს და ბავშვებიც ამ სანაპირო სასახლეში გააჩინეს.

მის უდიდებულესობა ქალბატონს პირველი შვილი 1888 წელს ეყოლა, მაგრამ გოგონამ მხოლოდ ორი კვირა იცოცხლა და გარდა აიცვალა<sup>2</sup>. 1892 წელს ულვიე, ორი წლის შემდეგ კი საბიჟა გაუჩნდა.

მესამე გოგოზე ორსულობის შემდეგ ნაზიქედა ავად გახდა. რამდენიმე კვირის განმავლობაში გონს არ მოსულა. ამ ავადმყოფობის შემდეგ მან ბავშვის გაჩენა ვერ შეძლო.

ჩემმა ქალბატონმა კარგად იცოდა სულთნის წარჩინებული გვარის ზნე. ამიტომაც მზად იყო, რომ ერთ დღესაც მეუღლე მასთან მივიდოდა და კიდევ ერთხელ ქორწინების ნებას სთხოვდა. მას ხომ უფლისნულის-თვის ტახტის მემკვიდრე არ გაუჩენია. ოსმალეთის დინასტიის ტრადიციის მიხედვით კი უფლისნულს სულ მცირე ერთი ვაჟი მაინც უნდა ჰყოლოდა.

სიმართლე რომ ვთქვათ, ვაჰიდედდინმა ქორწინებიდან მცირე ხნის შემდეგ სასახლის ლამაზმანთან – ნევგულთან, გააბა რომანი. ეს ამბავი ჩემი ქალბატონის ყურამდეც მივიდა. მან ქმრის ყველა სასიყვარულო თავგადასავლის შესახებ იცოდა, თუმცა, დუმილს არჩევდა.

1 ოფიციალურ წყაროებში ქორწინების თარიღად 1885 წლის 8 ივნისია აღნიშნული. მამიდაჩემის, ქალბატონი ლეილას, მიერ დასახლებული თარიღი პატარძლის მეუღლის სახლში გადაყვანის თარიღია

2 ზემოთ ნახსენები ბავშვი ფერიერეა. სულთან ვაჰიდედდინ ხანს კიდევ ერთი გოგო, მუნირე, ჰყოლია, რომელიც, ასევე, ჩვილი გარდაცვლილა.



მეჰმედ VI ვაჰიდედდინი

## ფიცის გატეხა

მას შემდეგ ოცი წელი გავიდა, მდგომარეობა არ შეცვლილა. ვაჰიდედდინს კიდევ ერთხელ შეუყვარდა. მამამისის ერთ-ერთი ცოლის, ქალბატონი შაესთეს სახლში 17 წლის ლამაზ გოგოს, ინშირაჰს<sup>1</sup>, და-ადგა თვალი.

ამ გოგონაზე დაქორწინების სურვილით შეპყრობილმა ვაჰიდედდინმა შაესთეს გაუმხილა, რომ ინშირაჰის ცოლად შერთვა სურდა.

—კი მაგრამ, ჩემო ლომო, როგორ? თქვენ ხომ კანონიერი მეუღლე გყავთ, სანამ ის ნებას არ დაგრთავთ, ვერ იქორწინებთ, — მიუგო ქალბატონმა.

ამჯერად ვაჰიდედდინმა ნაზიქედასთან მიირბინა და თანხმობა სთხოვა. ქალბატონმა თავი დახარა და დასთანხმდა. იმ მომენტში უფლისნულმა ვაჰიდედდინმა წლების წინ ხვეწნა-მუდარით მოყვანილი

- 1 ქალბატონი ინშირაჰი (1887–1930) – ჩერქეზი არისტოკრატი, ვოჯიბეს ოჯახიდან იყო. აზიზ ვოჯიბეს ქალიშვილი 1887 წელს იზმითთან ახლოს მდებარე სოფელ მაშუქიეში დაიბადა. სასახლეში ნათესავებმა მიიყვანეს, სადაც 1905 წელს ბატონ ვაჰიდედდინზე იქორწინა და იმავე წელს გაეყარა. ინშირაჰის უფროსი ძმა, ზექი, ვაჰიდედდინ ხანის სიკვდილამდე მის გვერდით იმყოფებოდა. ქალბატონი ინშირაჰი კი 1924 წელს კაიროში გადასახლდა. 1930 წელს მდინარე ნილოსში თავი დაიხრიო. ცხედარი სტამბულში გადმოასვენეს და ემირ სულთანის სასაფლაოზე დაკრძალეს.

ნაზიქედა დაამცირა და სულთან ჯემილესთვის მიცემული პირობა დაარღვია.

ჩემი ქალბატონი ტკივილს სხვისგან შეუმჩნევლად გულში იკლავდა. ეს ყოფილა ჩემი ბედისწერა, – ამასლა იტყოდა ხოლმე.

ინშირაჲმა ვაჲიდედდინთან ქორწინების შემდეგ ქმარზე ზღვა-რგადასული ეჭვიანობა დაიწყო. ის ბატონი ვაჲიდედდინის ირგვლივ მყოფ ყველა მსახურზე ეჭვიანობდა, გამუდმებით საყვედურობდა და ის საბრალოები მოთმინებიდან გამოჰყავდა.

ვაჲიდედდინი ამ ქალის ეჭვიანობამ დაღალა და სხვა ცოლის ძებნა დაიწყო. მით უმეტეს, რომ ინშირაჲისგან შვილი არ ჰყოლია.

იმ ჰერიოდში ვაჲიდედდინი ფერიედან დიდი ხნის გადასული იყო. ჩენგელქოის სასახლეში ცხოვრობდა. ის სასახლე ჩემს ქალბატონ-საც ძალიან უყვარდა. ამბობდა, რომ ჯირითის სიყვარულს მხოლოდ იმ სასახლის დიდ პარკში იკლავდა. ფერიეში ცხოვრების დროს მსგავსი შესაძლებლობა არ ჰქონია. აღსანიშნავია, რომ ფერიეში ყველა სასახლე დაიწვა.

ჩემი ქალბატონი ჩენგელქოიში დილით ადრე დგებოდა, არც ისაუზმებდა, ისე მოახტებოდა თეთრ ცხენს, იექფარეს და საღამო-მდე სეირნობდა. ამ საქციელით ავსტრიის დედოფალს მახსენებდა. ისიც ჯირითით იყო გატაცებული, უფრო სწორად, შეყვარებული იყო ჯირითზე.

ქალბატონ ინშირაჲს სურდა, სასახლეში მომხდარი ყველა მოვლენის შესახებ ჰქონოდა ინფორმაცია. ამ მიზნით მოსამსახურეს, გევჰერიმულქს, დაავალა, ვაჲიდედდინის ყოველი ნაბიჯი მისთვის ეცნობებინა.

ერთ დღეს გევჰერიმულქი მეტად სერიოზული ახალი ამბით ქალბატონის ოთახში შევიდა და უთხრა:

– ქალბატონო, ქალბატონო, რომ იცოდეთ, რა ვნახე!

– რა ნახე, მითხარი, – ინტერესით ჩაეკითხა ქალბატონი ინშირაჲი. გაგონილმა ის ძალიან გაანერვიულა, რადგან უგუნური მსახურის ნაამბობი სასიამოვნო სულაც არ იყო.

– ქალბატონო, მისი უდიდებულესობა ბატონი ერთ-ერთ ახალბედასთან ერთად ვნახე, გადახვეული სეირნობდნენ, ნამდვილად გღალატობენ, – ამცნო მსახურმა.

ინშირაჲმა ეს ამბავი მოისმინა თუ არა, მაშინვე უფლისწულის სამყოფლისკენ გავარდა. ვაჲიდედდინი რომ სასახლის ლამაზ გოგოსთან, ფერირუსთან, ერთად ნახა, ყვირილი ატეხა. ფერირუს თმებში სწვდა და მიწაზე ათრია. საწყალი გოგო კიბიდან დაგორდა. თავად ინშირაჲმა კი ნერვიული შეტევის ნიადაგზე გონება დაკარგა.

გონს მოსული ინშირაჲი კვლავ განერვიულებული იყო. მაშინვე ჩემოდნების ჩალაგება ბრძანა და სასახლიდან მივდივარო, – განა-

ცხადა. ამის გამგონე მსახურები ვაჰიდედდინთან მივიღნენ და შექმნილი ვითარება აცნობეს. მან კი მშვიდად მიუგო: გაუშვით, წავიდეს, მაინც ვერ შეაჩერებთო.

და ასეც მოხდა. იმავე სალამოს ინშირაჰი ჩენგელქო დატოვა და უკან არ დაპრუნებულა. ორი დღის შემდეგ ვაჰიდედდინი ინშირაჰს გაეყარა. ეს ამბავი მეორე კონსტიტუციის დამტკიცების წელს<sup>1</sup> მოხდა.

## სულთნის სხვა ცოლები

ქალბატონი ინშირაჰის წასვლის შემდეგ ვაჰიდედდინი გარკვეული პერიოდი სასახლის არც ერთ გოგონაზე არ დანიშნულა.

ინშირაჰის შემდეგ ვაჰიდედდინს თავისი უფროსი დის, სენიჰას, სასახლეში ერთი ქალი – ჯანფერვერი მოეწონა. მაგრამ ის უეცრად ავად გახდა და გარდაიცვალა. მისმა გარდაცვალებამ ვაჰიდედდ ინი ძალიან დააღონა.

ამ ახალგაზრდა და ლამაზი გოგოს გარდაცვალების შემდეგ ვაჰიდედდინის სასიყარულო თავგადასავლები შეწყდა. პირველ ცოლს დაუბრუნდა და დროს მასთან ერთად ატარებდა. იმ პერიოდში შაესთემ დოლმაბაჰეს სასახლიდან სამი მსახური წამოიყვანა. ამ სამ გოგონას შორის ლამაზი აფხაზი გოგო, მუვედდეთიც, იყო. ვაჰიდედდინმა მუვედდეთი შაესთესთან ნახა. ინშირაჰთან დაშვებული შეცდომები რომ არ გაემეორებინა, ჯერ გოგოს ხასიათი შეისწავლა და მხოლოდ ამის შემდეგ დანიშნა. მათი ქორწილი პატარა ცერემონიით 1911 წელს შედგა. სიტყვით არ შემიძლია გადმოგცეთ ის ტანჯვა და ტკივილი, რომელიც ჩემს ქალბატონს ამ ქორწინებამ მიაყენა.

ქალბატონი მუვედდეთი მორიდებული და გულკეთილი ადამიანი იყო. ის იყო ქალი, რომელიც არასოდეს ერეოდა სხვის საქმეში, ცდილობდა, ადამიანებისთვის არ ეწყენინებინა და ყოველთვის მეტისმეტად კარგად იქცეოდა. ამიტომაც ქალბატონი ნაზიქედა და მუვედდეთი კარგად შეეწყვნენ ერთმანეთს და მეგობრობდნენ კიდეც.

მუვედდეთის ჩენგელქოში მისვლა ფეხბედნიერი აღმოჩნდა. წლების მანძილზე ნანატრი ტახტის მემკვიდრე მოევლინა ქვეყანას. რასაკვირველია, ვაჟის გაჩენის შემდეგ მუვედდეთის ავტორიტეტი კიდევ უფრო გაიზარდა.

1 კონსტიტუცია ახლიდან 1908 წელს შემოიღეს (გამ. შენ).



მუვედდეთ ჩიპბა

1918 წელს უფროსი ძმის, სულთან მეჰმედ რეშად ხანის, გარდაცვალების შემდეგ ვაჰიდედდინმა სულთნის შერყეული ტახტი დაიკავა. იგი იყო ოსმალეთის იმპერიის 36-ე მმართველი. ვაჰიდედდინმა თავის პირველ ცოლს, ნაზიქედას, პირველი ქალბატონის, მუვედდეთს კი მეორე ქალბატონის ტიტული უბოძა.

ქალბატონი მუვედდეთი მაღალი, თეთრი, ლურჯთვალება, ღია წაბლისფერთმიანი ქალი იყო. ის აფხაზი ჩიპბა დავუთისა და აიშეს ქალიშვილი გახლდათ. 1893 წელს დერბენთში დაბადა. როგორც კი შეუსრულდა ცხრა წელი, მამიდამისის, ქალბატონი ჰაბიბეს მითითებით, დოლმაბაჰეს სასახლეში მიიღეს. იმავე გზით მოხვდა სასახლეში ქალბატონი ნევვარე – ქალბატონი მუვედდეთის ბიძაშვილი. წლების შემდეგ იგი ვაჰიდედდინის მესამე მეუღლე გახდა. ეს ამბავი შემდეგნაირად მოხდა – მას შემდეგ, რაც მუვედდეთი ტახტის მემკვიდრის მეუღლე გახდა, თავისი ბიძაშვილი დოლმაბაჰეს სასახლიდან ჩენგელქოიში წამოიყვანა და სეფექალად დაისვა. ახალგაზრდა ნევვარე რომ ერთ დღეს ვაჰიდედდინის ყურადღებას მიიპყრობდა, აშკარა იყო, რადგან ენით ალუნერელი სილამაზის პატრონი გახლდათ. ეს მუვედდეთმა კარგად იცოდა, ამიტომაც ნევვარე დოლმაბაჰეში დააბრუნა. თუმცა, ნევვარეს ჩამოშორების მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა. აფხაზ ლამაზმანს კარგა ხნის წინათ დაუტყვევებია ვაჰიდედდინის გული. სულთანს მისი ცოლად შერთვა სურდა.



ნევვარე ჩიპჩა

როცა მუვედდეთმა ეს ამბავი შეიტყო, შეიშალა. მაშინვე ვაჰი-დედდინთან მიირბინა, ფეხებში ჩაუვარდა და უთხრა:

— ჩემო ბატონო, ნევვარეს ნუ შეირთავთ. ისიც თუ თქვენი ცოლი გასდება, ძველებურად პატივს ვერ ვცემ, ძველებურად ვერ მეყვარებაო.

მიუხედავად საბრალო მუვედდეთის ხვეწნა-მუდარისა, სულთნის ტახტზე ასვლამდე თოთხმეტი დღით ადრე ვაჰიდედდინმა ნევვარე დოლმაბაჰეში ცოლად შეირთო.

ძალიან კარგად მახსოვს გულკეთილი, მაგრამ ქედმალალი ნევვარე — მაღალი, თეთრი კანის, მწვანეთვალება, შავი გრძელი თმებით, განსაკუთრებულად ლამაზი ქალი იყო. 1901 წელს დერბენთში დაიბადა, ილდიზის სასახლის ერთ-ერთ სახლში ცხოვრობდა. იგი მუსტაფა ჩიპჩასა და ქაფუ-იფას<sup>1</sup> ჰაფიზეს ქალიშვილი გახლდათ.

1 შესაძლოა, აქეცულისხმობდეს ქაფბას გვარს (გამ. შენ.).



خاقان سابق عزیز و ملک ندن عبدالنادر اندی حضرتی  
اپڈیل پاٹو دیور مارشاندا

## ქალბატონი ნაზიქედას ოჯახი, ქვეშევრდომები და ახლობლები

ბატონი ვაჰიდედდინის ცოლობის პირველ წლებში ქალბატონ ნაზიქედას გარემოცვას ცოტა, მაგრამ სანდო ადამიანები შეადგენდნენ. მთავარი სეფექალი მისი ბიძაშვილი რუმეისა იყო; ოსტატი – მასთან ერთად აფხაზეთიდან ჩამოსული ძიძა ბეჭიჯე; მსახური კი – ქალბატონი შემსინური, რომელიც ნაზიქედას სასახლის ნესებს აცნობდა. ამ სამი გამოცდილი ქალბატონის გარდა, მას სხვა დამხმარე არ ჰყავდა. მოგვიანებით რამდენიმე გოგო დაიმატა, მაგრამ ისინიც მხოლოდ ნათესავებს შორის შეირჩა. რადგან ნათესავებს შევეხე, ქალბატონის ოჯახის შესახებაც მინდა დავწერო.

ჩემს ქალბატონს ორი უფროსი ძმა და ორი უმცროსი და ჰყავდა. მამამისი, თავადი ჰასან ალი ბეი მარშანა, 1877-1878 წლების ომში დაიღუპა. დედამისის გარდაცვალების შესახებ ზუსტ ინფორმაციას არ ფლობდა.

მისი უფროსი ძმა აპდულქადირი, ასაკოვანი, მაგრამ საკმაოდ სიმპათიური, მაღალი, ღია ყავისფერთვალება, წაბლისფერთმიანი



ასულბიჯან მარშანია და მისლიმელექი

ბატონი იყო. მისი უფროსი ქალიშვილები, ნაზიქედას ძმისწულები, სასახლეში მამიდასთან მსახურობდნენ. ქალბატონის მეორე ძმის შესახებ არაფერი ვიცი.

აბდულქადირის უფროსი ქალიშვილი, ასუბიჯანი<sup>1</sup>, ქალბატონი ნაზიქედას ერთ-ერთი სეფექალი იყო. ამ საკმაოდ ლამაზმა ქალმა მოვა-იანებით იქორწინა და სასახლე დატოვა ქალბატონის მეორე ძმისშვილს, ქეჩბანს, სასახლეში შაჰინდე დაარქვეს. სამწუხაროდ, შაჰინდეს არ გაუმართლა. მისი ბედი რომ მახსენდება, თვალები ცრემლებით მევსება.

ბატონ აბდულქადირს სამი ვაჟიშვილი ჰყავდა. უფროსი ვაჟი ისმა-ილი, უმცროსი ვაჟები – ალი და რეშიდი. ისმაილი ისე დაიღუპა, რომ დაქორწინება ვერ მოასწრო. ალიმ მანთა ოჯახის გოგოზე – ზურიეზე, რეშიდმა კი გეჩბას გვარის ლამაზ თავადის ასულ ზუბეიდეზე იქორწინა.

ქალბატონის დები, ნაჯიე და დარიალი, ნაზიქედაზე რამდენიმე წლით უმცროსები იყვნენ. ქალბატონმა ნაჯიემ ქალაქ სივასის შეძლებულ ოჯახისშვილზე იქორწინა. ქალბატონმა დარიალმა კი ნაზიქედას ვაჰიდედინთან ქიორწინების შემდეგ ქალბატონი ჯემილეს სასახლე დატოვა და დოლმაბაჰჩეში გადავიდა. იქ უფლისწული მეჰმედ სელიმი გაიცნო და მოგვიანებით მასზე იქორწინა. დარიალს სელიმისგან ერთი ქალიშვილი ეყოლა. მას ემინე ნემიქა დაარქვეს.

1 ჰათიჯე ასუბიჯან მარშანია (1891–1955) – თავადის ქალი

ბავშვის გაჩენის შემდეგ დარიალს დიდხანს არ უცოცხლია. მისი სუსტი და მგრძნობიარე ორგანიზმი ვერც ერთ დაავადებას ვერ უმკლავდებოდა. ბოლოს საბრალო ქალბატონი ჭლექით დაავადდა და საკმაოდ ახალგაზრდა გარდაიცვალა.

სელიმმა დარიალის გარდაცვალების შემდეგ სამჯერ იქორწინა. მეორე ცოლი, ქალბატონი ეფლაქარი, ჩვენი ოჯახის ახლობელი – ბატონი გაზი მუჰამედის ქალიშვილი იყო. მას პირადად ვიცნობდი. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ქალბატონის ხვედრიც მწარე აღმოჩნდა. იგი გადასახლებაში მოჰყვა.

საბრალო ნემიქა ძიძებსა და ბებიებს შორის გაიზარდა. ძალიან ლამაზი გოგო იყო. როცა გათხოვების უამი დადგა, მამამისმა იგი იბრაჟიმ ედემ ფაშას ვაჟზე, ალი ქენაზე, დააქორწინა.

\* \* \*

პატივცემული ქალბატონის მამაცი ძმისშვილის – ბატონი ისმა-ილის შესახებაც მინდა ვუამბო ძვირფას მკითხველს.

ეს კაცი ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში დაიღუპა.

ბატონი ისმაილი, სამწუხაროდ, არ მინახავს, მაგრამ მის საცოლეს, ქალბატონ ჰანდეგულს, ვიცნობდი. იგი სულთან საბიჰას სასახლეში ცხოვრობდა. მას ყველა „გელინ ჰანიმ“-ად<sup>1\*</sup> მოიხსენიებდა. ამ სტრიქონების ნერისას ქალბატონი ჰანდეგულის სახე თვალინინ წარმომიდგა. ძალიან ლამაზი გოგო იყო. თუმცა, რამდენადაც ლამაზი იყო, იმდენად საშინელი ბედი ჰქონდა.

ერთ დღეს ისმაილმა ნაზიქედასა და ჰანდეგულს მისწერა და აცნობა, რომ გადაწყვეტილი ჰქონდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში მონაწილეობის მიღება და ანკარაში აპირებდა გამგზავრებას. საბრალო გოგომ შენინააღმდეგება სცადა, მაგრამ უშედეგოდ. ვერაფერი რომ ვერ გააწყო, ჰატარა ბალიში შეკერა და ისმაილს სამასოვროდ თან გაატანა. ისმაილმა ბალიში გამოართვა და ფრონტზე წავიდა. იგი ამ ბალიშს მუდამ თან ატარებდა. ერთ-ერთი შეტევის დროს მტერმა ის ბრძოლის ველზე განგმირა.

ქალბატონმა ჰანდეგულმა ისმაილის გარდაცვალების შემდეგ სასახლე დატოვა და ცოტა ხნის შემდეგ თვითონაც გარდაიცვალა<sup>2</sup>.

\* \* \*

ისმაილის უმცროსი ძმის, ბატონი ალის მეუღლეს, ქალბატონ ნურიესაც კარგად ვიცნობდი. იგი სულთან აბდულჰამიდ II-ის ცო-

1 ქალბატონი რძალი (გამ. შენ.).

2 ალი ჰანდეგული (1895 – 1922) აფხაზი შვამბას ოჯახიდან იყო.

ლების, ბეჭიჯესა და საზქარის, ბიძაშვილი იყო. ჩემს ქალბატონს ნურიე ძალიან უყვარდა და ენდობოდა. 1919 წლამდე მოწყობილ წევულებებზე ქალბატონი ნურიე ყოველთვის მისი ბრწყინვალების გვერდით იმყოფებოდა. მის ქალიშვილ ნადირეს ქალბატონის ბრწყინვალე კაბის კუდი ეჭირა ხელში და უკან მიყვებოდა.

ქალბატონის უფროსი ძმა, ბატონი აბდულქადირი, სივასში ცხოვრობდა. მას სივასთან ახლოს დიდი მამული ჰქონდა. მხოლოდ იმ ადგილებში შეეძლო ჯირითის სურვილის დაკმაყოფილება. მარშანიების ოჯახი აბდულქადირის მამულში ცხოვრობდა. სამწუხაროდ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დაწყების შემდეგ სტამბულთან კავშირი მთლიანად გაწყდა. ბატონი აბდულქადირი დის უნახაობამ დაამწუხრა. ავადმყოფობისაგან 1928 წელს გარდაიცვალა.

\* \* \*

როცა ქალბატონზე ვსაუბრობ, აფხაზეთიდან მასთან ერთად ჩამოსული ქალბატონი ბაბუჯეს დავინყება უპატივცემულობა იქნება ჩემი მხრიდან. ეს კარგად აღზრდილი და ლირსეული ქალბატონი სიცოცხლის ბოლომდე ჩემს ქალბატონს მხარში ედგა. მას მხოლოდ სურათებიდან ვიცნობ, რადგან 1910 წელს გარდაიცვალა. ჩემი ქალბატონი თავის ძმის „ჩემი ძვირფასი დედაო“ – ასე მოიხსენებდა ხოლმე.

თუ სწორად მახსოვს, აფხაზეთიდან ჩემს ქალბატონთან ერთად ჩამოსულებს შორის კიდევ ერთი ადამიანი იყო. ეს ბევრჯერ მაქვს გაგონილი ცხონებული ქალბატონი შემსინურისგან. ეს ახალგაზრდა გოგო, სახელად სეთენი,<sup>1</sup> ნაზიქედას დედის ძმისწული ყოფილა. იგი ენით აღუნერელი სილამაზის პატრონი იყო. ქალბატონ ჯემილეს ამ გოგონასთვისაც ნაზიქედა დაურქმევია და დოლმაბაზჩეს სასახლეში გაუგზავნია. სასახლის მსახურებს სეთენი ბატონი იზზედდინის სასახლეში დაუბინავებიათ. როცა გოგონა გაიზარდა, იზზედინმა იგი ცოლად შეირთო.

ბატონი იზზედინის სასახლეს ხშირად ვსტუმრობდით, რადგან უფლისწული და მამა დეიდაშვილები იყვნენ. ამიტომაც მის ყველა ცოლს ვიცნობდი. ჩვენებს განსაკუთრებით ქალბატონი ჯავიდანი, ნაზიქედა და თაზნედე უყვარდათ. მხოლოდ ქალბატონ ლემანს ვერ შეეგუა ვერავინ. ამის მიზეზი დღესაც ვერ გამიგია.

1 გოგონას ნამდვილი სახელი ამინე იყო. სასახლეში ჩერქეზი მსახურები სეთენს ეძახდნენ, მოგვინებით კი სულთნის დამ, ჯამილებ, მას ნაზიქედა დაარქვა. უფლისწულ იზზედინთან ქორნინების შემდეგ ოფიციალურად ამინე ნაზიქედას ნაცვლად ემინე ნაზიქედად დარეგისტრირდა. უფროს მამიდაშვილში რომ არ არეოდათ, ქალბატონ ნაზიქად მოიხსენებდნენ.



შუმეისა არედპა

ქალბატონ სეთენს ერთ-ერთი შეხვედრის დროს ვთხოვე, ჩე-  
მთვის ცხოვრებისეული შეხედულებები გაეზიარებინა. მან ქა-  
ლბატონი შემსინურის ნაამბობი გაამართლა. სეთენი მართლაც  
რომ ძალიან ლამაზი და კარგი ხასიათის ადამიანი იყო. როდესაც  
ოსმალოთა დინასტიის წარმომადგენლები გადაასახლეს, სეთე-  
ნი სტამბულში დარჩა. გარკვეული პერიოდი თავის მეგობართან  
ცხოვრობდა. შემდეგ სივასში აბდულქადირთან წავიდა და იქ მო-  
ეწყო.

ჩემი ქალბატონის სეფექალები იერარქიის მიხედვით შემდეგ-  
ნაირად ვიყავით განლაგებულნი: მთავარი სეფექალი რუმეისა, მე-  
ორე სეფექალი შაჰინდე, მესამე ბაილა, მეოთხე შაჰესერი და მეხუ-  
თე მე გახლდით.

ჩვენი უსტა<sup>1</sup> ქალბატონი შემსინური იყო. ეს დალოცვილი ქალი  
სულთან აბდულაზიზის ეპოქას მოესწრო. გამოცდილი, გულკეთ-  
ილი ადამიანი გახლდათ. ყველას დედობას გვიწევდა. ჩვენები აზ-  
რს მას ეკითხებოდნენ, ცხოვრებისეულ რჩევა-დარიგებებს მისგან  
იღებდნენ. საკმაოდ დიდხანს იცოცხლა. ოსმალეთის იმპერიის და-  
ცემის წლებში, უფრო ზუსტად კი 1923 წლის 22 ივლისს, გარდაი-  
ცვალა.

გადავიდეთ სასახლის ოსტატებზე: მთავარი ოსტატი, როგო-  
რც აღვნიშნე, ქალბატონი შემსინური იყო. მეორე ოსტატი – ქა-  
ლბატონი მელექნური, მესამე – ქალბატონი ფეირევი, მეოთხე –

1 ოსტატი (გამ. შენ).



მეპმედ VI ვაჰიდედდინი

ქალბატონი დილფირიბი, საოცრად ეჭვიანი, ამპარტავანი და უხასიათო ქალი<sup>1</sup>.

ახლა მსახურებს გაგაცნობთ რიგის მიხედვით: უფროსი მოსამსახურე ქალი ნეზაქედა; მეორე მსახური, ქალბატონი ნალეზენი<sup>2</sup> მცირენლოვანი მიიყვანეს სასახლეში. გაუჩერებლივ ტიროდა და ოხრავდა, ამიტომაც დაარქვეს ეს სახელი. მესამე მსახური – ქალბატონი ჰათიორნევაზი, მეოთხე – ქალბატონი დილნაზი<sup>3</sup>. იგი თავის სახელს კარგად იხდენდა, ვინაიდან გაპრანჭული და კეკლუცად საუბარი იცოდა. ამ მსახურების გარდა, კიდევ სამი მოსამსახურე გოგონა იყო. ისინი ქალბატონის ოთახს აწესრიგებდნენ, თმებს ვარცხნიდნენ და ჩაცმაში ეხმარებოდნენ. ესენი იყვნენ 17-20 წლის ახალგაზრდა მომხიბლავი და კარგი ხასიათის გოგონები: ჰუსნუავერი, დილრუბა და მაჯიდე. ამ ქალების გარდა, ქალბატონს ორი მომუსაიფე ჰყავდა. ისინი გარე სამყაროსთან კომუნიკაციის ერთადერთ წყაროს წარმოადგენდნენ.

- 1 პილარი მარიე ნაზმიე „დილფირიბი“, ბარონესა (1891–1927) რუსული წარჩინებული გვარის ნარმომადგენელი იყო.  
1912 წელს ისლამი მიღლო და მუსლიმი გახდა. მიგვიანებით ოჯახმა სასახლეში მიიყვანა და იქ ქალბატონი ნაზიქედას სამსახურში ჩადგა.  
ოსმალეთის დინასტიის საზღვარგარეთ გადასახლების შემდეგ პუდაპეშტში წავიდა და ხანძარში დაიღუპა.
- 2 მტირალა (გამ. შენ.).
- 3 კეკლუცად მოსაუბრუ (გამ. შენ.).



ემინე ნაზიქედა

## ქალბატონი ნაზიქედას და მახასიათებელი თვისებები

მისი უდიდებულესობა ქალბატონი დილით ძალიან ადრე დგებდა, თავისი საძინებლის მომიჯნავე ოთახში მცხოვრებ რუმეისას მოიხმობდა და მასთან ერთად საუზმობდა. შემდეგ პატარა ქალი-შვილის, საბიჭას, სანახავად გაეშურებოდა. საბიჭა გათხოვებამდე დედასთან ცხოვრობდა. მისი ოთახები სასახლის ქვედა სართულზე იყო განლაგებული.

სეფექალების ოთახები, რანგის მიხედვით, ერთმანეთის გვერდით იყო ჩამწკრივებული. ვინაიდან მე ბოლო სეფექალი გახლდით, ჩემი საცხოვრებელი გრძელი კორიდორის ბოლოში სამ პატარა ოთახს მოიცავდა.

ჩემი მსახური ფერზანი ყოველ დილით ტკბილი ხმით მაღვიძებდა – მისი აღმატებულება ქალბატონი ამდგარა. თქვენი საუზმეც მზადაა, მიირთვითო.

მეც მაშინვე ვდგებოდი, მსახურის დახმარებით ვიცვამდი. შემდეგ ვსაუზმობდი და ქალბატონის ოთახისკენ მივეშურებოდი, სადაც ჩემს მოვალეობას ვასრულებდი. მოკლედ ჩემი მოვალეობის შესახებაც გიამბობთ.



*Portrait*      *W*      *Salon*

სულთნის ასულები –  
ულვის და საბიჟა

სეფექალების მოვალეობა ძირითადად ქალბატონის გვერდით ყოფნას, მასთან საუბარს, ქალბატონის მნიშვნელოვანი ამბებითა და ჭორებით ინფორმირებას, წვეულებებსა და ხალხის თავშეყრის ადგილებში მასთან ერთად ყოფნას გულისხმობდა.

ქალბატონი ნაზიქედას ერთ-ერთი თავისებურება ფრინველებისა და ცხოველებისადმი გადაჭარბებული სიყვარული იყო. განსაკუთრებით თუთიყუშები უყვარდა. დიდ გალიებში სვამდა, აჭმევდა, საათობით უცქერდა და ღრმა ფიქრებში იძირებოდა. თუთიყუშების გარდა, ერთი მაიმუნიც ჰყავდა, სახელად ბედიდი. პატარა, საყვარელი, მაგრამ ძალიან ცელქი ბედიდის მოსვენება არ იყო. კარადების თავზე ძვრებოდა, დიდი ლარნაკებიდან ყვავილებს ძირს ყრიდა. ჩვენ კვალდაკვალ დავდევდით, რაც მას სიამოვნებას ანიჭებდა. ქალბატონის დანახვაზე მისკენ გაიქცეოდა, მის მხარზე მოკალათდებოდა და არც კი გაიძრეოდა.

ქალბატონის ამ ცხოველისადმი მიჯაჭვულობა ვერ აეხსნა შემსინურს. აპ, ეს ცხოველი რა შესაყვარებელიაო, — იტყოდა ხოლმე.

მოხუცი მოსამსახურეებიც შემსინურის აზრს იზიარებდნენ. — ღვთის გულისათვის, ქალბატონო, ჩვენები ძალიან წუხდებიან, ძალიან გთხოვთ, სასეირნო ადგილას წაიყვანეთ და იქ დატოვეთ, — ეუბნებოდნენ.

ქალბატონი მომზივნებს ღიმილით პასუხობდა: „ჩემო კარგო, ამ პატარა ცხოველმა რა უნდა გავნოთ, ცოდვა გარეთ, მოიწყენს, მოვენატრები. არასოდეს დავტოვებ მარტო“.

ერთ დღესაც ბედიდმა მოხუცი და გადალლილი თვალები დახუჭა და აღარ გაუხელია. ნარმავალი ქვეყანა დატოვა და წავიდა. 1923 წლის მარტის პირველი კვირა იდგა. ქალბატონი ძალიან დანაღვლიანდა. ბევრი იტირა და დიდხანს იგლოვა.

ქალბატონ ნაზიქედას ცხოველების მსგავსად ფრინველებიც უყვარდა. ილდიზის სასახლის ეზოში ყვავილების ბალსაც ნაზიქედა პატრონობდა. მერასიმის საზაფხულო სახლის გარშემო ჩვენებს ტიტებს არგვევინებდა და თან ახსენებდა, რომ ტიტა თურქული ყვავილი იყო.

— ესეც ჩემი ტიტების ეპოქა<sup>1</sup>, — იტყოდა.

სამშობლოსა და ერის სიყვარული ნაზიქედას ერთ-ერთი ალსანიშნავი თვისება გახლდათ. პირველი მსოფლიო ომის და მას შემდეგ დაწყებული განმათავისუფლებელი ბრძოლის დროს სულთნის შემდეგ ნაზიქედა იყო ის ადამიანი, რომელიც სამშობლოზე ყველაზე მეტად დარდობდა.

არასოდეს დამავინუდება, ბერძნებმა იზმირი რომ დაიპყრეს, ქალბატონმა გონება დაკარგა და დაავადმყოფდა. საბრალო როგორი დანაღვლიანებული იყო. რა თქმა უნდა, ჩვენებიც წუხდნენ, ტიროდნენ, მაგრამ სულ სხვა იყო ქალბატონის ტკივილი. თითქოს სამშობლოსადმი მისი სიყვარული ჩვენსას აღემატებოდა. შესაძლოა ასეც იყო, რადგან დედოფლის გადამეტებული მწუხარება აბსოლუტურად ნორმალური მოვლენაა.

ქალბატონს თავისი სარწმუნოება, ისლამი, მთელი გულით უყვარდა. გამუდმებით ალაპს ახსენებდა. ხშირად ლოცულობდა, მარხვას იცავდა, ყურანს კითხულობდა, ჰათიმის ცერემონიალს<sup>2</sup> ასრულებდა. ქვეშევრდომებს ალაპის სიყვარულს უხერგავდა და მუდამ ახსენებდა, თუ რაოდენ კარგი სარწმუნოება იყო ისლამი. რამდენადაც დიდი პიროვნება იყო, იმდენად დიდი იყო მისი რეპუტაციაც. სასახლეში სტუმრად მოსული დესპანები, უცხოელი პრინცესები, ქალბატონის უპირატესობას აღიარებდნენ.

დედოფლალს ინგლისის საოკუპაციო ძალების მეთაურმა, გენერალმა ჰარინგტონმაც<sup>3</sup> კი მისწერა წერილი, მისი ნდობის მოპოვება სურდა.

1 ივულისხმება 1718 – 1730 წლები, რომელიც ოსმალეთის იმპერიაში ცნობილია, როგორც განცხრომის, უდარდელობისა და დროსტარების უამი, ამიტომაც ამ პერიოდს ენოდა „ტიტების ეპოქა“ (გამ. შენ.).

2 ყურანის თავიდან ბოლომდე კითხვა (გამ. შენ.).

3 გენერალი ჩარლს ჰარინგტონი (1872 – 1940)



მოსეირნე ქალები სტამბულში

ერთ-ერთი ამგვარი წერილი ქალბატონმა მე წამაკითხა.

— ვერ გამიგია, ეს კაცი რატომ მწერს. პირფერობა ინგლისელებისთვის ადვილი საქმეა. მათი მოხერხებულობა უახლოეს წარსულში ვიხილეთ. მზაკვრობისა და ღალატის მეტს არაფერს ჩადიან. დაწვით ეს წერილი, დაწვით! — მითხრა და მეც წერილი ბუხარში დავწვი.

## სასახლის ჩაცმულობა

ოსმალთა სასახლეში მცხოვრები ქალები მე-19 საუკუნის პირველ ნახევრამდე თურქული ყაიდის ტანსაცმელს ატარებდნენ. მეორე ნახევრიდან კი უფრო დასავლურ, ანუ ევროპულ, ტანსაცმელს ანიჭებდნენ უპირატესობას. სასახლეში თავდაპირველად სულთნის დედები, სულთნის ცოლები და ფადიშაპის ხარჭები ატარებდნენ ამ სტილის ტანისამოსს. მოგვიანებით, სულთან მურადის ეპოქის შემდეგ, მსახურებმაც მოირგეს. სასახლის წვეულებებზე მყოფი ქალბატონების უმრავლესობას ფრანგულ სტილზე შეკერილი კაბები ეცვათ. კონსტიტუციის შემოღების შემდეგ თურქული ჩასაცმელი მთლიანად იქნა ამოღებული ხმარებიდან. ჩემი სასახლეში შესვლის დროს, მახსოვს, რომ მხოლოდ ზოგიერთ

ასაკოვან მსახურს ეცვა თურქული ტანსაცმელი. ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ტრადიციებს ვერ ღალატობდნენ.

სასახლეში განსაკუთრებით ფრანგულ მოდას მისდევდნენ. ევროპელი დედოფლების ტანისამოსი ჩვენი ქალბატონების თავსაბურავებთან და ყოველდღიურ ტანისამოსთან შედარებით, უბრალო ნაჭრის ნაგლეჯს ჰქონდა.

იმ პერიოდის ცნობილი მკერავები ძირითადად ბერძნები იყვნენ. სასახლის ქალბატონების რჩეული მადამ ქალივრუსი იყო. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, ჩემი ფავორიტი მადამ ფეგარა გახლდათ. ძველ სტამბოლს მხოლოდ სამი სახელგანთქმული მკერავი ჰყავდა. ესენი იყვნენ: ქალივრუსი, ფეგარა და გალიბე.

## დედოფლის ძვირფასეულობა

როგორც ზემოთ აღვინიშნე, ოსმალო ქალბატონები ევროპულ ყაიდაზე იცვამდნენ. ახლა ძვირფასეულობა იკითხეთ. ღმერთ! ქალებს იმ დროს მელავებსა და ხელებზე რომ ძვირფასეულობა ეკეთათ, მსგავსი არც სხვაგან მინახავს და არც გამიგონია. რუსი მეფეების ხაზინებშიც კი არ მოიძებნებოდა ფალიშაპის ცოლების სამკაულების მსგავსი ღირებული ძვირფასეულობა.

ქალბატონ ნაზიქედას სამი ძალიან ლამაზი გვირგვინი ჰქონდა. პირველი გვირგვინი სულთანმა ქორწინების დროს აჩუქა. მეორე გვირგვინი პირველი ბავშვის გაჩენის დროს ქალბატონმა ჯემილემ უსახსოვრა. მესამე გვირგვინი კი ბატონმა ვაპიდედდინმა ტახტზე ასვლის დროს აჩუქა.

ქალბატონი პირველ გვირგვინს სადღესასწაულო ცერემონიებზე იკეთებდა, მესამე გვირგვინს კი პარასკეობით, მეჩეთში სულთნის წასვლის ცერემონიალის დროს იყენებდა, მეორე გვირგვინი საერთოდ არ გაუკეთებია, რადგან თავის გოგოს, ფენირეს, აგონებდა.

არაერთ უცხოელ პრინცესას მოუსურვებია ქალბატონისთვის ძვირფასი საჩუქრის გაკეთება. მაგრამ ნაზიქედას არც ერთი არ მიუღია. ერთხელ რუსეთის რევოლუციას გადარჩენილმა რუსმა პრინცესამ ქალბატონს ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი მიართვა. გონებიდან არ ამომდის რუსი პრინცესას მიერ წარმოთქმული სიტყვები:

— თქვენი უდიდებულესობავ, მთელი ცხოვრება თქვენი მადლიერი დავრჩები იმისთვის, რომ ჩემი ხალხი სიკვდილს გადაარჩინეთ და თქვენს ქვეყანაში შეგვიფარეთ.



პასკალ სებაში.  
თურქი ქალი პირპადით, 1880

ქალბატონმა ეს ძვირფასი საჩუქარი არ მიიღო. ზრდილობიანად თქვა უარი.

იმხანად სტამბულში ბლომად იყვნენ რუსეთის რევოლუციას გა-  
მოქცეული რუსი ასულები. ამ პრინცესებისა და გრაფინიების უმრა-  
ვლესობა სასახლეში დაპატიუეს და ქალბატონსაც შეხვდნენ. სასა-  
ხლეში სტუმრად მოსულებს შორის ერთი ქვრივი ქალი ეკატერინა  
ბურდუკოვა ერია. იგი იყო რუსი ოფიცრის ცოლი, მეუღლე წლების  
წინ დაღუპვოდა. შემდეგ ამ ქალბატონის ყურადღება მიიპ-  
ყრო. მაშინვე ნაზიქედას სამსახურში შევიდა. მოგვიანებით კი სუ-  
ლთან საბიჟას სეფექალი გახდა.

## სასახლის განსაკუთრებული წეს-ჩვეულება

ამბობენ, სასახლე ცალკე სამყაროა, მაგრამ ჩემთვის კარგად  
ნაცნობი სასახლის ცხოვრება ვროპული სასახლეებისგან დიდად  
არ განსხვავდება, მხოლოდ რამდენიმე წესშია განსხვავება. ოსმა-  
ლეთის იმპერიის სასახლის ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელი  
წესი სასახლის გოგონებისათვის ნამდვილი სახელების შეცვლაა.  
ზოგჯერ ახლად შერქმეული სახელები გოგონების პიროვნებას შე-  
ესაბამებოდა, ზოგჯერ კი უაზრო და გაუგებარ სახელებს არქმევ-  
დნენ. მაგალითად, გაგონილი მქონდა, რომ სულთან აბდულჰამიდ

II-ის ბოლო ხარჭას, ჯალიბოსის, ნამდვილი სახელი ჰაირიე იყო. სასახლეში მოსულ ერთ ბატონს უნახავს, მისი მიმზიდველი სხეული მოსწონებია და „ჯალიბეს“ ნაცვლად რაღაც სისულელე – ჯალიბოსი დაურქმევია. საპრალო გოგოს ეს სახელი შერჩა. და ეს მხოლოდ ერთი მაგალითია უამრავ მსგავს შემთხვევას შორის. სასახლეში ბევრი იყო ისეთი გოგო, რომელთაც ნორმალური სახელიც კი არ გააჩნდათ. ბოლო პერიოდში სასახლეში მყოფი ქალბატონები თავიანთი საკუთარი სახელების შენარჩუნებას ცდილობდნენ. ჩემი ქალბატონის ქვეშევრდომთა უმრავლესობას ნამდვილი სახელით მიმართავდნენ. უფრო მეტიც, მსახურთა ერთმა ნაწილმა წლების შემდეგ სასახლეში შერქმეულ სახელებზე უარი თქვა და საკუთარი სახელები დაიბრუნა. ამასთან დაკავშირებით არასდროს დამავიწყდება ამბავი, რომელიც სულთან აბდულჰამიდ ხანის დროს სასახლის ერთ ლამაზსა და პატივცემულ ქალბატონს შეემთხვა. ერთ დღეს ამ ქალმა მოითხოვა – დღეიდან ჩემი ნამდვილი სახელით მომმართეთო. როდესაც სახელი ჰკითხეს, უპასუხა – ვაი, რომ არ ვიცი, დამავიწყდაო. სამწუხაროა, მაგრამ ამგვარად ავიწყდებოდათ სასახლეში ადრეულ ასაკში მოხვედრილ გოგონებს თავიანთი წარსული და სახელებიც კი.

არასდროს დამავიწყდება ეს საბრალო ფირისთადე, უზარმაზარ სამყაროში თავს დაკარგულად რომ გრძნობდა. ვინ იცის, იქნებ ერთ დღეს ნამდვილი სახელი გაიხსენა კიდეც.

## სასახლის ქალები

ოსმალეთის იმპერიის სასახლის ქალების უმრავლესობა კავკასიელი იყო, განსაკუთრებით ჩერქეზები, აფხაზები ან ქართველები. რადგან ეს თემა წამოვჭერი, ერთ მნიშვნელოვან საკითხსაც მინდა შევეხო.

თუ სასახლეში მოსული გოგო ჩერქეზი იყო, უეჭველად ღარიბი მიწათმფლობლის შვილი იქნებოდა, რადგან ჩერქეზებს არისტოკრატია და მსგავსი კლასობრივი დიფერენციაცია არ ჰქონდათ, სამწუხაროდ, არც სახელმწიფო გააჩნდათ. მაგრამ თუ გოგო აფხაზი იყო, ის უთუოდ დიდგვაროვანი ოჯახიდან იქნებოდა. რადგან აფხაზეთში ისევე იყვნენ არისტოკრატები, როგორც ევროპაში დუკას, თავადის და სხვა ტიტულების მატარებელი დიდგვაროვანი ოჯახები არსებობდნენ. ხოლო თუ გოგო ქართველი იყო, აუცილებლად ვაჭრის, საშუალო ფენის, ოჯახს მიეკუთნებოდა.



ოსმალეთის ქალები სტენდა - სხვა კუთხიდაც.

- 1) ქადა შეკრისინ (სასომეთოძი), 2) ქარისი ქადა, 3) ბოსნიელი ქადა (სულთანიდან), 4) ქადა სულთანიდან,
- 5) ქადა ქაბადან, 6) ქადა ტრაპიზონიდან, 7) ქადა სერებრიდან, 8) ქადა დარეკინიდან, 9) ქადა დამსკინიდან,
- 10) ქადა მექედან, 11) ქადა პინგის კუნძულებიდან.

ოსმალეთის ქალები სხვადასხვა კუთხიდან. ფურნალი კვალი, № 28, 1897

აქედან გამომდინარე, სასახლეში უფრო მეტად აფხაზ დიდგვა-  
როვან ქალბატონებს შეხვდებოდით. სულთან აბდულმეჯიდ სანის  
პერიოდში ჩერქეზი ქალები სჭარბობდნენ. ცხონებული სულთან

აბდულაზიზ ხანის შემდგომ პერიოდში კი აფხაზ ქალებს ანიჭებდნენ უპირატესობას. გარეგნულ სილამაზესთან ერთად წარმომავლობასაც ითვალისწინებდნენ. სიმართლე რომ გითხრათ, ეს ტენდენცია 1864 წლიდან შეინიშნებოდა, რადგან გადასახლება სწორედ ამ დროიდან იწყება.

ცნობილია, რომ სულთან აბდულჰამიდ II-ის მმართველობის ბოლო ხანებში და მეჰმედ რეშად ხანის სულთნობის პერიოდში ჰარამხანში აყვანილი გოგონები კავკასიელი ასულები არ იყვნენ. სასახლეში ალბანელი ან ბოსნიელი ქალები ხვდებოდნენ. სამწუხაროდ, ძველი სისტემის შეცვლამ ჰარამხანში წესრიგის რღვევა გამოიწვია. ამაში რომ ბრალი გაერთიანება „ერთობასა და პროგრესს“ მიუძვის, ისტორიის შავ ფურცლებზეც წერია.

განსვენებულ სულთან მეჰმედ რეშად ხანს ერთი მეგარდერობე ჰყავდა, სახელად საბითი. ეს პიროვნება პირადად მყავს ნანახი. ერთი შეხედვით გულკეთილ ადამიანს ჰგავდა, მაგრამ მოღალატე და ძალიან ცუდი პიროვნება იყო. მისი და ჰარამხანში ალბანელი, ბოსნიელი და ბულგარელი გოგონების ჩამოყვანას შუამდგომლობდა. სულთნის ბოლო მეუღლე, ქალბატონი წევზადი, ამ ქალის მითითებით მიიღეს სასახლეში.

სასახლეში მოხვედრილ გოგონებს ნამდვილ სახელებს უცვლიდნენ და სპარსული ძირის მქონე სახელებს არქმევდნენ. გოგონათა ასაკი ოთხიდან ათ წლამდე მერყეობდა. ათ წელს გადაცილებული გოგო სასახლეში თითქმის არ მიუღიათ. თუმცა, შესაძლოა, გამონაკლისიც ყოფილიყო. გოგონებს ხუთ-ხუთად ან შვიდ-შვიდად აჯგუფებდნენ. მათ ერთ მსახურს მიამაგრებდნენ. მსახური პირველი სამი წლის განმავლობაში სასახლის წესებსა და ნორმებს ასწავლიდა. შემდეგ მუსიკისა და ხელწერის სწავლას იწყებდნენ. მსურველებს ევროპულ სტილზე ხატვას, პანიზოზე დაკვრასა და უცხო ენებსაც ასწავლიდნენ. მსგავსი ფორმით სწავლება, სულ მცირე, ხუთი წელი გრძელდებოდა.

ოცი წლის ასაკში კულტურულ, განათლებულ ქალბატონებად ყალიბდებოდნენ. ამის შემდეგ, თუ სასახლიდან წასვლას არ ისურვებდნენ, სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებას იწყებდნენ. თავიანთი ნიჭისა და საქმის ცოდნის მიხედვით რაიმე მოვალეობას აკისრებდნენ და ხანგრძლივი დროის განმავლობაში ასრულებდნენ თავიანთ საქმიანობას.

თუ მოხუცებულობის უამს რომელიმე ისურვებდა თავის მოვალეობაზე უარის თქმას, თოვქაფის სასახლეში შეეძლო წასვლა. იქ ერთ წელიწადს იცხოვრებდნენ, შემდეგ კი დოლმაბაჰჩეს სასახლეში დაბინავდებოდნენ.

სამსახურეობრივი მოვალეობის პერიოდში ქალები ყოველი თვის დასახყისში თავიანთ ხელფასს ატლასის ქისაში გახვეული ოქრო-

ების სახით იღებდნენ. ოთახებში ოქროს შენახვა მიზანშეწონილად არ ითვლებოდა. თანაც, სასახლეში ფულის დასახარჯი ადგილიც არ იყო. ამიტომაც ოქროთი სავსე ქისებს ერთ მსახურს აპარებდნენ, რომელიც ყველა ქისას ერთ დაცულ ოთახში, ყუთში, ინახავდა.

თუკი რომელიმე მსახური სასახლიდან წასვლას ისურვებდა, დაგროვილ ხელფასსა და მიღებულ საჩუქრებს აძლევდნენ და ჰატარა ზეიმით აცილებდნენ.

ასეთი გახლდათ სასახლის მსახურის უშფოთველი და ლამაზი ცხოვრება. სამწუხაროდ, ამ მშვენიერი ცხოვრების დამახინჯების მსურველი ბევრი იყო. განსაკუთრებით ევროპამ იქონია ცუდი გავლენა ჰარამხანზე. სასახლეში სტუმრად ჩამოსულმა მეფებმა, პრინცესებმა, უცხოელმა ელჩებმა ჰარამხანის ცხოვრება საკუთარი თვალით იხილეს. რა სამწუხაროა, რომ მიუხედავად ამისა, მათი მხრიდან ქილიკი არ მთავრდებოდა.

## ბაშ ქადინეფენდი ქამურესის გარდაცვალება

ცხონებული სულთან მეპშედ რეშად ხანის დიდგვაროვანი მეუღლე, ბაშ ქადინეფენდი ქამურესი, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ქურუჩეშმეში, მისთვის გამოყოფილ ზღვისპირა სასახლეში ცხოვრობდა.

ერთ დღეს შევიტყვეთ, რომ ქალბატონი შეუძლოდ იყო. ჩემმა ქალბატონმა წასვლის სურვილი გამოთქვა. – აუცილებლად უნდა წავიდე, პატივსაცემი ქალბატონია და ჩემთვის ბევრი სიკეთე გაუკეთებია, – მითხრა.

მაშინვე გავემზადეთ. წვალებით მივედით ქურუჩეშმეში. ღმერთო, რა თბილად შეგვხვდნენ იქაური გულკეთილი მოხუცი მსახურები.

ქალბატონი ქამურესის ოთახამდე ერთ-ერთმა სეფექალმა მიგვაცილა, რომელმაც ქალბატონ ნაზიქედას უთხრა: როცა ქალბატონმა თქვენი სტუმრობის შესახებ შეიტყო, ლოგინიდან ადგა და ტანთ ჩაიცვა, არ ისურვა, მწოლიარე დაგვხვედროდათ.

დარბაზში შევედით. იქ ქალბატონი ქამურესი დაგვხვდა. ავადმყოფობისაგან დასუსტებულიყო, გაფერმკრთალებულიყო, ლამაზ თვალებს ელვარება და პარგვონდა. მაგრამ უზინდებურად ნაზი და ტკბილი ხმა ჰქონდა. ცოტაოდენი საუბრის შემდეგ ქალბატონი ქამურესი მომიბრუნდა და მეითხა: თქვენ ქალბატონი ფეივესტეს დისვილი, ლეილა, არ ბრძანდებით?



მეჰმედ რეშად ხანი

მე დავეთანხმე. ძალიან გამიხარდა, რომ ქალბატონმა მიცნო. ბავშვობაში კი მყავდა ნანახი, მაგრამ წლების შემდეგ რომ გამიხსენა, მართლაც გასაკვირი იყო. ეს იმას ამტკიცებდა, რომ მეხსიერება ჯერ კიდევ საღი ჰქონდა.

— მოხარული ვარ. დეიდათქვენი ძალიან კარგი ქალია, ჩემგან თუ მოკითხვას გადასცემთ, ძალიან გამიხარდებაო, — მითხრა. შემდეგ ქამურესი ისევ ჩემს ქალბატონს მიუბრუნდა. ცოტა კიდევ ისაუბრეს. წამოსვლის წინ ქალბატონ ქამურეს ჯანმრთელობა და კარგად ყოფნა ვუსურვეთ.

ჩვენი სტუმრობიდან ათი დღის შემდეგ მისი გარდაცვალების ამბავი შევიტყვეთ<sup>1</sup>. ღმერთმა აცხონოს მისი სული.

## სულთნის ასულ საბიჭას მთხოვნელები

ქალბატონი საბიჭა ოსმალეთის დინასტიის საგვარეულოში ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ქალი იყო. ვის არ სურდა ჩვენი სულთნის სილამაზით განთქმული ასულის ცოლად შერთვა. მთხოვნელი მართლაც

1 ბაშ ქადინეფენდი ქამურესის (1855 – 1921) გარდაცვალების თარიღია 1921 წლის 30 აპრილი.



საბიპა სულთანი

ბევრი ჰყავდა. ირანის შაჰმა, აჰმედ ქაჩარმა, ოფიციალურად ითხოვა მისი ხელი. რომელ სუნიტ სულთანს მიუთხოვებია ქალიშვილი შიიტ მმართველზეო, თქვა ფადიშაჰმა და წინ აღუდგა მათ ქორნინებას.

ამ ამბის შემდეგ ქალბატონ ნაზიქედას დეიდაჩემი ფეივესტე და ქალბატონი საზქარი ენვიონენ. ამ შეხვედრას ჩემი ქალბატონის სურვილით მეც ვესწრებოდი.

ქალბატონმა საზქარმა ქალბატონ ნაზიქედას მიმართა: თქვენი ქალიშვილი გასათხოვარია, მთხოვნელიც ბევრი ჰყავს. ვიცით, რომ სასიძო ჯერ არ შეგირჩევიათ. ზრდილ, თავაზიანსა და საეჭვო რეპუტაციის არმქონე<sup>1</sup> სიძეს ეძებთ. ჩვენც ამიტომ გავძედეთ აქ მოსვლა.

მათი სტუმრობის მიზანს მაშინვე მივხვდით.

— თქვენს სიტყვებში რაღაც იმალება, თუ გყავთ კანდიდატი, გვითხარით, ჩვენც გვეცოდინება, — თქვა ქალბატონმა ნაზიქედამ.

საზქარმა უპასუხა — კანდიდატი გვყავს, სიმართლე გითხრათ, ჩვენი ვიზიტის შესახებ არ იცის, მაგრამ რომ გაიგებს, უსათუოდ გაუხარდება.

1 აქ სულთანი ხმარობს ტერმინ „ბულაშიქს“. საეჭვო რეპუტაციაში კი სულთანი გულისხმობდა „ერთობისა და პროგრესის პარტიის“ წევრებსა და მხარდამჭერებს.



ათათურქი და რაუფ ორბაი

ქალბატონმა ინტერესით იყითხა: ვინ არის ეს ადამიანი?

– ჩემი იჯახიდანაა, „ჰამიდიეს“ გმირი ბატონი რაუფი, – უპასუხა საზქარმა<sup>1</sup>.

გაოცებულმა და ამავდროულად გახარებულმა ქალბატონმა თქვა:

– მისი გმირობის ამბავი გამიგია. თქვენი წინადადება ნამდვილად მიმზიდველია. სერიოზული დაფიქრებაა საჭირო.

დეიდაჩემმა ატლასის პატარა ჩანთიდან ფოტო ამოილო და ქალბატონს გაუწოდა. – ეს ბატონი რაუფის ერთ-ერთი ახალი გადაღებული სურათია, – უთხრა და დასძინა: რამდენადაც სიმპათიურია, იმდენად ზრდილობიანი, კარგად აღზრდილი და თავაზიანი ადამიანია. სულთნისთვის თავსაც კი გასწირავს.

ქალბატონმა მეტად გაიხარა. დეიდაჩემი და ქალბატონი საზქარი გააცილა. შემდეგ მე მომიბრუნდა და მითხრა:

– მოდი, ჩემო ლეილა, ჩემს ქალიშვილს ბატონი რაუფის სურათი უნდა ვაჩვენოთ.

1 აქ ნაგულისხმევი ნათესაობა ქალბატონი საზქარის დედის მხრიდანაა შესაძლებელი, რადგან ქალბატონი საზქარის მამა თავადი ბათა მანი იყო. რადგან ბატონი რაუფი (ორბაი) მიწათმფლობელთა იჯახს, აშხარელებს ეკუთვნოდა. ქალბატონი საზქარის მიერ გამოყენებული გამოთქმა სასახლეში მყოფი ქალებისათვის საკუთარი წარმომავლობის ხალხის პატივისცემის გამომხატველი იყო. ერთი სიტყვით, ნამდვილ ნათესაობას ადგილი არ ჰქონდა.



შეჰსუვარი

მაშინვე საბიჭას ოთახში შევედით. თავის უფროს სეფექალთან, მადამ ბურდუკოვასთან ერთად პიანინოზე უკრავდა. ორივე ფეხზე წამოდგა და ქალბატონს მიესალმა.

— მოდი, ჩემო კარგო, შენთან სალაპარაკო მაქვს, — უთხრა ქალბატონმა და დივანზე მიუთითა. როდესაც ერთად დასხდნენ, მე და მადამ ბურდუკოვა ოთახიდან გასვლას ვაპირებდით, მაგრამ ქალბატონმა ხელით მანიშნა, არ გავსულიყავით.

— სანამ სულთანს დაველაპარაკებოდე, შენთვის რაღაც მაქვს სათქმელი, — უთხრა შვილს ქალბატონმა, გაილიმა და ლაპარაკი განაგრძო, მეტად სერიოზულ და მნიშვნელოვან თემაზე მინდა გესაუბრო. ყველა ახალგაზრდა სულთნის ქალიშვილის ბოლო ეგ არის.

ქალბატონი საბიჭა თითქოს მიხვდა საუბრის თემას, სახეზე ოდნავ გაწილდა.

— დღეს ცხონებული სულთან აბდულჰამიდ ხანის მეუღლები — ფეივესტე და საზქარი — იყვნენ სასახლეში. ჩემი აზრით, საკმაოდ მიმზიდველი წინადადება შემოგვთავაზეს, — თქვა ქალბატონმა და ქალიშვილს სურათი გაუწოდა.

სულთნის ასულმა სურათი ხელში აიღო. ეს ვინდა არისო, განითლებულმა ჩაიბუტბუტა.

— ეს „ჰამიდიეს“ გმირი ბატონი რაუფია. ჯერ არ იცის, რომ სასიძოდ არის შერჩეული, მაგრამ როცა გაიგებს, აშკარად გაუხარდება. რა თქმა უნდა, ამ ფოტოს სულთანსაც ვაჩვენებ, მაგრამ ჯერ შენი აზრი მინდოდა გამევო, — უთხრა ქალბატონმა.



უფლისწული ომერ ფარუქი

დამორცხვებულმა საბიპაშ იყითხა, მისი წარმომავლობის შესახებ თუ იცით რამეო. ქალბატონმა ღიმილით მიუგო:

— ბატონი რაუფი აფხაზია, ქალბატონ საზქარისა და ბეჭიჯეს ახლო ნათესავი. აფხაზებზე რა აზრისაც ვარ, კარგად მოგეხსენება.

მშვენიერი საბიპა ლრმა ფიქრებში ჩაიძირა. სულთანს იმავე საღამოს აჩვენეს სასიძოს სურათი. სულთანმა რაუფის კანდიდატურა მოიწონა. ბატონ რაუფს ამის შესახებ ვინ ეტყოდა? სასურველი იყო, ვინმე ახლობელს შეეტყობინებინა. ქალბატონმა ნაზიქედამ უფროსი ქალიშვილი, ულვიე, მოიხმო და ცველაფერი უამბო. ქალბატონი ულვიეს რჩევით, ბატონ რაუფთან ულვიეს ქმრის, ისმაილ ჰაქის, გაგზავნა გადაწყდა.

მართლაც, ისმაილ ჰაქი ამ დავალების შესასრულებლად ბატონ რაუფთან გაგზავნეს. მოუთმენლად ველოდით მათი შეხვედრის შედეგებს. პასუხი სასიძოსგან იმ საღამოსვე მოვიდა — ბატონმა რაუფმა ზრდილობიანად თქვა უარი. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ უარი უნდა ვთქვაო, უთქვამს.

დავნალვლიანდით, მაგრამ მწუხარება დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან კართან საბიპას მთხოვნელების რიგი იდგა.

\* \* \*

ბატონი რაუფის შემდეგ სულთანმა სასიძოებს შორის ლონდონის საელჩოს მთავარი მდივანი, ბატონი მეჭმედ ალი, შეარჩია. სურა-

თი მაშინვე აჩვენეს სულთნის ასულს. საბიჭამ მეჰქმედ ალის ფოტოს ყურადღებით დახედა და ბოლოს მასთან ქორწინებაზე თანხმობა განაცხადა.

მისმა უდიდებულესობა სულთანმა ახალი ამპავი პირველ სიძეს ისმაილ ჰაჯეის აცნობა. უბრძანა, მეჰქმედ ალისთვის წერილი მიენ-ერა და სულთნის გადაწყვეტილება ეცნობებინა.

ისმაილ ჰაჯეიმ ჩვენი ბატონის ბრძანება შეასრულა და წერილი გააგზავნა. მას შემდეგ კვირები, თვეები გავიდა, მაგრამ საელჩოს მთავარი მდივნისგან არაფერი ისმოდა. სასახლეში მითქმა-მოთქმა დაიწყო. ქალბატონი შემსინური გაცხარებული ამბობდა:

— ეს რა თავხედური საქციელია, ჩვენმა ძლევამოსილმა სულთანმა ბრძანება გასცა, ბატონმა მეჰქმედმა კი პასუხიც არ მოიწერა. ღმერთო, კიდევ რა უნდა მოხდესო.

მოგვიანებით სიმართლე გაირკვა. საბრალო კაცი ავად ყოფილა, პასუხის მოწერის რცხვენოდა. მაგრამ ჩვენ ეს საიდან უნდა გვცოდნოდა?! ამგვარად, მეორე კანდიდატურაც გამოირიცხა.

ერთ დღეს ქალბატონ ნაზიქედას ტახტის მემკვიდრის, ბატონ აბდულმეჯიდის მეუღლე, ბაშ ქადინეფენდი შეჰსუვარი ესტუმრა.

— ქალბატონო, თქვენთან მეტად სერიოზულ თემაზე სასაუბროდ მოვედი. ჩემს ვას, ფარუქს, თქვენი ქალიშვილის, საბიჭას, ცოლად შერთვა სურს. სასახლეში მოსვლას და სულთნისთვის საბიჭას ხელის თხოვნას აპირებს. მაგრამ თუ უარს მიიღებს, იფიცება, ვერ გადავიტანო, — თქვა შეჰსუვარმა.

ყველანი გავიგნდით. ქალბატონს თვალები გაუფართოვდა.

— ღმერთო, რას ამბობთ?! ბიძაშვილების ქორწინება სად გაგონილა. მით უმეტეს, ოსმალეთის იმპერიაში. შეუძლებელია! სულთანი არასოდეს დათანხმდება, — თქვა ქალბატონმა.

— ჩემი შვილი თავს მოიკლავს. რა მოხდება, ჯერ სულთნის ასულ საბიჭას აზრი რომ გავიგოთ?! — თქვა ატირებულმა შეჰსუვარმა.

— ძალიან გთხოვთ, ნუ ტირით, მე სულთანს დაველაპარაკები და შეგატყობინებთ, — უთხრა ქალბატონმა ნაზიქედამ.

თვალცრემლიანი შეჰსუვარი ოთახიდან გავიდა. რამდენიმე დღის შემდეგ ტახტის მემკვიდრე აბდულმეჯიდმა ვაჟიშვილისათვის სულთნის ასულის ხელი ითხოვა. სულთანი თავდაპირველად უარზე იყო, მაგრამ აბდულმეჯიდის დაუინებული თხოვნის შემდეგ გადაწყდა, რომ საბოლოო გადაწყვეტილება თავად საბიჭას მიეღო.

საოცარია, რომ ლამაზმა საბიჭამ დაუფიქრებლად განაცხადა თანხმობა. ამის გამო სასახლეში მითქმა-მოთქმა ატყდა. მოხუცი მსახურები ერთხმად ამბობდნენ:

— არა, არა, მათ შორის ნამდვილად რომანი უნდა იყოს გაჩაღებული, წინააღმდეგ შემთხვევაში მსგავსი ქორწინება დაუჯერებელიაო.



სულთნის ასული საბიჭა

არსებობდა ერთი სინამდვილე – სულთნის ასულ საბიჭასა და მისი მამიდაშვილის, სამის, სიყვარული, რომელიც ყველასათვის უცნობი იყო. ეს ქორწინება კი მართლაც წარმოუდგენელი იყო.

## სულთნის ასულ საბიჭას გახმაურებული სიყვარული

ქალბატონი საბიჭას სასიყვარულო ამბავი მრავალი ადამიანის საჭორაო თემად იქცა. მცდარი და სულელური ჭორებით ლამაზი ქალბატონი შეურაცხყვეს.

ჭორებს შორის ყველაზე გავრცელებული საბიჭასა და მუსტაფა ქე-  
მალ ფაშას სიყვარული იყო. ეს ჭორი მთლიანად ხალხის ფანტაზიის ნა-  
ყოფია. სინამდვილეში მუსტაფა ქემალმა საბიჭას ხელი ითხოვა, მაგრამ არც სულთანმა და არც მისმა ქალიშვილმა ეს ნინადადება არ მიიღეს.

ვისზე იყო შეყვარებული სულთნის ასული?

ბატონი სამი სულთნის დის, მედიჭას, ერთადერთი ვაჟიშვილი იყო. ამაყი, საკმაოდ სიმპათიური და კარგი ადამიანი იყო. თუმცა,  
დიდი მექალთანე გახლდათ. ამბობდნენ, ახალგაზრდობაში უამრავ ქალთან ჰქონდა სასიყვარულო თავგადასავალიო.



შუაში საბიჟა სულთანი, მარცხნივ  
ქალშვილი ნესლიშაპი და  
მისი მეუღლე –  
პრინცი მუჰამედ აბდელ მონეიმ

პირველად ბანდირმალელ ჩერქეზ ქალბატონზე, დევლეთპანზე<sup>1</sup> იქორნინა. დევლეთპანი ბალთალიმანის სასახლეში მსახურ-ობდა. მოგვიანებით სამი დევლეთპანის დით, დილბესთეთი<sup>2</sup> დაინტერესდა. თუმცა, მასზე არ უქორნინია. მოგვიანებით კიდევ ერთ სასახლის გოგოს, დილნიგარს<sup>3</sup>, გადაეკიდა. ჩერქეზი ქალების გარდა, არამუსლიმებთანაც აბამდა რომანს. სასახლის ხალხმა ბატონი სამის გარყვნილების შესახებ ყველაფერი იცოდა, ამიტომაც სულთნის ასულ საბიჟას გულმოდგინედ მალავდნენ. თუმცა, ერთ დღეს სამიმ საბიჟა ილდიზის სასახლის პარკში ნახა და შეუყვარდა. დედას ბიძაშვილისადმი სიყვარულის ამბავი გაუმხილა.

– არავთარ შემთხვევაში, დაქორნინებული ხარ და შვილები გყავს. გოგო, რომელიც გიყვარს, სულთნის ასულია. საბრალო სასახლის მოახლე ხომ არ არის, ოსმალეთის იმპერიის პრინცესაა! ეს ქორნინება დაუშვებელია! – უთხრა ქალბატონმა მედიპაშ და შვილის სურვილს მთელი ძალით ალუდეგა წინ.

სამი დანაღვლიანდა, მაგრამ საბიჟას სიყვარულზე უარი არ უთქვამს. ერთ დღეს ატირებული ქალბატონი დევლეთპანი ჩემთან მოვიდა და მითხრა:

- 1 ფეივესთე დევლეთპანი (1886 – 1964) – ბატონი სამის ყველა შვილის დედა, გარდა ბატონი საბისა და მაჰმუდისა.
- 2 დილბესთე (1888 – 19???) ბატონ სამისთან არ დაქორნინებულა, მაგრამ მისგან შვილი ეყოლა, ბატონი საბი.
- 3 ნაფია დილნიგარმა (1900 – 1940) ბატონ სამისთან 1922 წელს იქორნინა და მას ბოლო ვაჟიშვილი, ბატონი მაჰმუდი, გაუჩინა. ქალბატონი დილნიგარი მეუღლესთან ერთად გადაასახლეს და 1940 წელს საფრანგეთიდან ინგლისში გემით მოგზაურობის დროს გარდაიცვალა. ცხედარი ზღვაში გადააგდეს.

– თქვენ ის ქალბატონი ხართ, რომელსაც ვენდობი, რომელიც საკუთარ დასავით მიყვარს. ჩემი ცხოვრების მამაკაცი, ბატონი სამი, იღდიზის სასახლის პატარა პრინცესას, სულთან საბიჭას გადაეკიდა. მე ქალბატონს ვერ ვეუბნები, იქნებ თქვენ უთხრათ, ამ სიყვარულს წინ აღუდგეს.

დავიბენი. არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. კარგად დავფიქრდი და ვკითხე, სულთნის ასულმა ამის შესახებ თუ იცის-მეთქი.

ქალბატონმა დევლეთპანმა ჩემს უზრო შეკითხვაზე ტირილით მიპასუხა: ჩემო ლეილა, რა თქმა უნდა, იცის. სულთნის ასულსაც უყვარს ჩემი ქმარიო.

საბრალო ქალი როგორ შემეცოდა, ვერ წარმოიდგენთ. მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, ამ ამბის გახსენებაზე ახლაც ცრემლად ვილვრები.

– თქვენ ნუ იდარდებთ, ქალბატონს მე დაველაპარაკები. თქვენც შეგატყობინებთ-მეთქი, ვუთხარი. ამით ცოტათი მაინც შევძელი ქალბატონი დევლეთპანის დამშვიდება.

შემდეგ მის უდიდებულესობა ქალბატონს შევხვდი. ქალბატონმა მითხრა:

– ჩემო გოგონა, ეს ამბავი კარგა ხანია ვიცი. კარგია, რომ თქვენც გაიგეთ. უკვე ალარ ვიცი, რითი შევუშალო ამ სიყვარულს ხელი.

გავოცდი. ის, რაც არავის შეუმჩნევია, ქალბატონს სცოდნია. ცდილობდა, სასახლის ჭორიკანა ქალებისგან მალულად მოეგვარებინა ეს ამბავი.

ადრე სულთნის ასული საბიჭა მამიდამისის, მედიპას, სასახლეს ხშირად სტუმრობდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მისი და სამის სიყვარულის ამბავი გამოაშკარავდა, ქალბატონმა მედიპასთან ვიზიტები აუკრძალა. ერთმანეთს რომ ვეღარ ხვდებოდნენ, შეყვარებულებმა ჩუმად მიმოწერა დაიწყეს. ერთ დღეს ერთ-ერთმა მსახურმა, მაჯიდემ, პატარა დარბაზის კარადაში წერილი იპოვა. სასწრაფოდ ქალბატონს აჩვენა. ყველანი გაკვირვებული დავრჩით, რადგან ეს წერილი ბატონი სამის გამოგზავნილი სასიყვარულო წერილი გახლდათ.

პოეტურად დაწერილ წერილში სამი იწერებოდა: „ჩემი ბრალია, რომ თქვენი ლამაზის სახის ცქერა მტანჯავს. ჩემი გული ამ ტკივილს ვეღარ უძლებს. მოდი, ჩემო ანგელოზი და ტკივილი დამიამე.“ ქალბატონმა წერილი მაშინვე დაწვა და მაჯიდეს უბრძანა, კიდევ თუ იპოვით მსგავს წერილს, პირდაპირ მე მომიტანეთ, იცოდეთ, არავის აჩვენოთ.

ამის შემდეგ ქალბატონმა ყველა თავისი ქვეშევრდომი შეკრიბა და გამოკითხა. საბოლოოდ გაირკვა, რომ წერილები ერთი საჭურისის საშუალებით აღწევდა სულთნის ასულამდე. ქალბატონი ამ მსახურს ცალკე გაესაუბრა, შემდეგ კი მისი ადგილი სხვა საჭურისმა დაიკავა.

მიწერ-მოწერაც შეწყდა.

ერთ დღეს ერთმა მსახურმა ჩვენს მაჯიდეს უთხრა:

– ჩვენი სულთნის უმცროსი ასული დღეში ორჯერ მაღალი კოშკის სახურავზე ადის და იქიდან ვიღაცას ცხვირსახოცს უქნევსო.

მაჯიდეს მოყოლილი ამბავი, რა თქმა უნდა, ქალბატონს ვუამბე.

– ფრთხილად, სხვას არ გააგონო. ვნახოთ, ვის უქნევს ცხვირსახოცს, – მითხრა.

მეორე დღეს მე, ქალბატონი რუმეისა და ქალბატონი ნაზიქე-და ქებაბის სასახლეში წავედით. თითქმის მთელი დღე ველოდეთ. უკვე ბენელდებოდა, როცა საბიპა სასახლის სახურავზე ავიდა, ჯერ ბინოკულით გაიხედა, შემდეგ კი ცხვირსახოცის ფრიალი დაიწყო. ქალბატონი მაშინვე ავიდა სახურავზე, სულთნის ასულს დურბინიდი გამოართვა, იმავე მხარეს გაიხედა და აპა, ბატონი სამი ყოფილაო, ბოლოს თქვა.

ამჯერად მომხდარი მის უდიდებულესობა სულთანს შეატყობინეს. სულთანი ამ ამბავმა ძალიან გააპრაზა. ზუსტად ამ პერიოდში ბატონმა ფარუქმა განაცხადა, რომ საბიპა უყვარდა. სხვა გამოსავალი არ იყო, საბიპა ფარუქისათვის უნდა მიეთხოვებინათ. ამგვარად საბიპასა და სამის საკითხიც მოგვარდებოდა.

## ზღაპრული ქორწილი

ოსმალო პრინცესები ნიშნობებსა და ქორწილებს ერთსა და იმავე დღეს არ იხდიდნენ. ნიშნობას სიძე-პატარძლის ნაცვლად მათი წარმომადგენლები ესწრებოდნენ. სწორედ ამიტომ ჯერ სულთნის ასულ საბიპასა და ბატონი ფარუქის ნიშნობა შედგა, შემდეგ კი – ქორწილი.

მათი ნიშნობა 1919 წლის 5 იანვარს თოფქაფის სასახლეში გაიმართა. ქალბატონი საბიპას წარმომადგენელი მთავარი მდივანი ალი უადი იყო, ბატონი ფარუქის კი – ომერ იავერ ფაშა.

ნიშნობის შემდეგ ქორწინების თარილი დადგინდა – 1920 წლის 29 აპრილი. შევუდექით გრძელსა და დამღლელ სამზადისს. თავდაპირველად სტუმართა სია შეადგინეს, შემდეგ კაბები და სამკაულები შეუკვეთეს.

ქალბატონი საბიპას საქორწილო კაბას მადამ ქალიურუსი ერთი კვირის განმავლობაში კერავდა. მისი აღმატებულება ქალბატონის თავსაბურავი მადამ ფეგარამ ხუთ დღეში შეკერა. ჩემი კაბაც მადამ ფეგარასთან შევიკერე.



სულთნის ასული საბიჟა და უფლისწული ომერ ფარუქი

სულთან საბიჟას თეთრი აბრეშუმისაგან შეკერილი გრძელი საპატარძლო კაბა ეცვა. თავზე აღმასისთვლებიანი გვირგვინი ეკეთა. გვირგვინს უკანა მხარეს მინამდე დაშვებული თეთრი, გრძელი და განიერი ფატა ჰქონდა ჩამაგრებული. კისერზე საგვარეულო ორდენი, მკერდზე კი პირველი ხარისხის ვერცხლის მონეტა<sup>1</sup> ეპნია. ულამაზესი იყო.

მის ბრწყინვალება ქალბატონს ლურჯი აბრეშუმის ქსოვილისაგან შეკერილი, გრძელი და შლეიფიანი არაჩვეულებრივი კაბა ეცვა. მკერდზე პირველი ხარისხის ვერცხლის მონეტის გარდა, სხვა სამკაული არ ეკეთა. ბატონი ფარუქის დედა, შეჰსუვარი, განსხვავებულად გამოიყურებოდა. გულზე ორდენები და ოქროები ეპნია. ყველაზე სადა ქალბატონი ულვიეს კაბა იყო. მას თეთრი აბრეშუმის კაბა ეცვა. მკერდს საგვარეულო ორდენი და პირველი ხარისხის მონეტა უმშვენებდა. მეც აბრეშუმის გრძელი, თეთრი, გულზე ოდნავ ამოჭრილი კაბა მეცვა. სამკაულებიდან მხოლოდ მამაჩემის ნაჩუქარი აღმასისთვლიანი გულსაბნევი და მესამე ხარისხის ორდენი მეცვა.

1 *mecidiye* – სულთან აბდულმეჯიდის პერიოდში, 1840 წელს მოჭრილი 20-უკერუშიანი კერცხლის ფული (გამ. შენ.).



მეჰმედ VI ვაჰიდედდინი

საქორნინო ცერემონიალი საცერემონიო სასახლეში შედგა. დარბაზები ლამაზად იყო მორთული. მეზობელი სასახლეებიდან მოტანილი სავარძლები და სკამები ყოველ მხარეს იდგა. გარდა ამისა, ჩინებული კერძები იყო მომზადებული. ქალბატონებს ოქროს ლანგრებით მრავალი სახეობის ტკბილეულსა და შარბათებს ურიგებდნენ. ღმერთო ჩემო, ძალიან ხალხმრავლობა იყო. ოთახებში ხალხის ტევა არ იყო.

თავისი ოთახიდან ქვემოთ, სტუმრებთან ჩამოსულ მის აღმატებულება ქალბატონს ქალებმა გზა დაუთმეს, თავი დაუკრეს და მიესალმნენ. ჩვენ, სეფექალებს, კაბის შლეიფი ხელში გვეჭირა და უკან მივყვებოდით. ქალბატონი დარბაზამდე მივაცილეთ. შემდეგ სულთნის ასული საბიპა თავისი საუცხოო საპატარძლო კაბით ოთახიდან გამოვიდა, დედამისთან მივიდა და ხელზე ეამბორა. ქალბატონს თვალები ცრემლებით აევსო, მაგრამ ტირილისგან თავი შეიკავა. ქალიშვილს შუბლზე აკოცა და უთხრა: შვილო, ღმერთმა ბედნიერი გამყოფოსო.

ზუსტად ამ დროს ქალბატონი შეჰსუვარი მოვიდა და მის უდიდებულესობა ქალბატონს მიესალმა. მას მოჰყვნენ აბდულმეჯიდის დანარჩენი ცოლები. ცოტა მოგვიანებით სულთნის დანარჩენი ცოლებიც მობრძანდნენ. ქალბატონი მუვედდეთი და ნევვარე ქალბატონთან მისასალმებლად მივიდნენ. შემდეგ დასხდნენ და ცერე-



ნესლაშაპი –  
საბიჟას ასული

მონიალს თვალს ადევნებდნენ. სულთნის ასული საბიჟა მამამისის ცოლებს თავაზიანად ეამბორა ხელზე, თვალცრემლიან მუვედდეთს კი გადაეხვია. სხვათა შორის, სულთნის ასულებს, საბიჟასა და ულვიეს, მამის სხვა ცოლებს შორის განსაკუთრებით ქალბატონი მუვედდეთი უყვარდათ და პატივს სცემდნენ.

საბიჟა ყველას მიესალმა. ამის შემდეგ კი დაიწყო „სავარძლის ცერემონია“. სასახლის ეს ძველი წეს-ჩვეულება მხოლოდ სულთნების ქორწილებში სრულდებოდა. პატარძალი ტახტის მსგავს დიდ დივანზე ჯდებოდა და სიძეს ელოდებოდა. სიძე ჰარამხანის უფროსი საჭურისის თანხლებით პატარძლის ოთახში შედიოდა. მომავალ მეუღლეს მორიდებით ნამოდგომას სთხოვდა, თუმცა, ზოგჯერ ქალბატონი არ დგებოდა და საქმროს ახვეწნებდა. სასახლის ამ ტრადიციას სულთნის ყველა ქორწილში იცავდნენ.

სულთნის ასულიც დივანზე იჯდა და სიძეს ელოდა. ბოლოს ბატონი ფარუქიც მოვიდა და პატარძალს სთხოვა, მისთვის ხელკავი გაეკეთებინა. საბიჟამ მეუღლეს ბევრი არ ახვეწნინა და ხელკავი გაუკეთა. ოთახიდან ერთად გავიდნენ და საზეიმო დარბაზში შევიდნენ. დარბაზში მათთვის საგანგებოდ მონყობილ ტახტზე დასხდნენ. სტუმრები სიძე-პატარძალს რიგ-რიგობით ულოცავდნენ გაბედნიერებას. დაახლოებით ნახევარი საათი ასე გაგრძელდა. შემდეგ გაირკვა, რომ სულთანი და ბატონი აბდულმეჯიდი სასახლეში

დაბრუნდნენ. სულთნის ასული საბიპა მეუღლესთან ერთად ბატონებს ეახლა და ხელზე ეამბორა. ამასობაში მოვიდა ამბავი, რომ ეტლები მზად იყო. ახალდაქორწინებულები დედებსაც ეამბორნენ ხელზე, შემდეგ კი ყველამ ერთად დატოვა სასახლე. სასახლიდან გასვლისას მუსიკოსებმა საზეიმო მარში დაუკრეს, ხაზინადრებმა კი ოქროები მიმოფანტეს. ამ ბრწყინვალე ზეიმის ფონზე სულთნის ასული საბიპა და ბატონი ფარუქი ეტლში ჩასხდნენ. ბატონმა აბდულმეჯიდმაც თავის მეუღლეებთან ერთად სასახლე დატოვა. ძირს დაფანტული ოქროები დაიტაცეს.

მისი უდიდებულესობა ქალბატონი, სეფექალები და სხვა ქალები უკვე სასახლეში შევდიოდით, როცა უეცრად ცამ იქნება. ცოტა ხანში კი კოისპირული წვიმა წამოვიდა.

არასოდეს დამავიწყდება იმ დროს ერთ-ერთი ხაზინადრის ნათქვამი: „აჰ, ეს უბედურების მომასწავლებელია, მათი ქორწილის დღეს ბევრი შავი ღრუბელი იყო, ღმერთმა დაიფაროს ისინი“.

გათხოვების შემდეგ სულთანი საბიპა საცხოვრებლად ნიშანთაშში, მისთვის განკუთვნილ სასახლეში, გადავიდა. რამდენადაც მე ვიცი, ჩვენი ლამაზი საბიპასა და ბატონი ფარუქის ქორწინება საემაოდ იღბლიანი და ბედნიერი გამოდგა. რასაკვარველია, ჩემთვის უცნობია, თუ როგორ გაგრძელდა მათი ურთიერთობა უცხო მხარეში ყოფნისას.

1921 წელს სულთნის ასულმა ნიშანთაშის სასახლეში გოგო შვა, სახელად ნესლიშაპი<sup>1</sup>. ნესლიშაპი ძალიან საყვარელი და ლამაზი ბავშვი იყო. ზედმეტსახელად „შეფთალი სულთანს“ ეძახდნენ, რადგან ლოყები ატმისფერი ჰქონდა. ამ ბავშვმა შემდგომში ოსმალეთის იმპერიის ყველაზე უბედური დღეები იხილა და მცირებლოვანი გადასახლებაშიც მოყვა.

1 ნესლიშაპ სულთანმა 1940 წელს ეგვიპტის ტახტის მემკვიდრეზე, პრინც მუჰამედ აბდელ მონეიმზე იქორწინა. 1952 წელს მეუღლე ტახტზე ავიდა. თავად კი ეგვიპტის ბოლო დედოფალი გახდა.



გულისთუ შერვაშიძე

## სულთან მეჰმედ ვაჰიდედდინ ხანის შესახებ

სულთანი ვაჰიდედდინ ხანი ცხონებული სულთან აბდულმეჯიდ ხანის უკანასკნელი შვილი იყო. სულთნის მამის შესახებ ბევრი რამ ვიცით, ამიტომაც მასსზე არაფერს დავწერ. კარგი იქნება, თუ დედამისის, პატივცემული ქალბატონი გულისთუს, შესახებ მოგითხრობთ.

მისი უდიდებულესობა სულთანი 1861 წლის 2 თებერვალს დოლმაბაჰჩეს სასახლეში დაიბადა.

ვაჰიდედდინის დაბადების დროს ქალბატონი გულისთუ იქბალის<sup>1</sup> ტიტულს ატარებდა. სულთნის ერთ-ერთი ცოლის გარდაცვალების შემდეგ კი მეოთხე ქალბატონის ნოდება მიიღო.

ქალბატონი შემსინურის მონათხრობის თანახმად, ქალბატონი გულისთუ აფხაზი შერვაშიძეების დინასტიიდან იყო. მალალი, თაფლისფერთვალება, ხუჭუჭომიანი, თეთრი პირისახის, ძალიან ლამაზი, მაგრამ მეტისმეტად მგრძნობიარე ქალი ყოფილა. მთელი ცხოვრება ავადმყოფობაში გაუტარებია და ადრეულ ასაკში გარდაცვლილა<sup>2</sup>.

1 ფადიშაპის ხარჭა (გამ. შენ.).

2 ფატმა გულისთუ IV ქადინეფენდი 1865 წელს გარდაიცვალა. მამამისი თავადი თაპირ ბეი შერვაშიძე იყო.



654 № 7210. Абхазцы.

აფხაზები.

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, დიმიტრი ერმაკოვის ფოტოარქივი

ჩვენი ბატონი 4 წლის იყო, როცა დედა დაკარგა. მამამისის, განსვენებული აბდულმეჯიდ ხანის გარდაცვალების დროს, 1861 წლის 25 ივნისს, კი ერთი წლისაც არ იყო.

სამწუხაროდ, მისი უდიდებულესობა სულთანი მცირენლოვანი დაობლდა. ვაჰიდედდინი სულთნის ერთ-ერთ ცოლთან, შაესთესთან, მისი უფროსი და მედიჰა კი სულთნის სხვა ცოლთან გაგზავნეს. ამგვარად, და-ძმა სხვადასხვა დედინაცვალთან გაიზარდა.

ახალგაზრდა ვაჰიდედდინი შაესთეს კარგად ვერ ეწყობოდა. ამიტომ, როგორც კი ჩვიდმეტი წლის გახდა, ფერიეს სასახლეში გადავიდა საცხოვრებლად. იქ 1897 წლამდე ცხოვრობდა. ერთ ღამეს მისი აპარტამენტი დაიწვა და იძულებული გახდა, ჩენგელქოის ახალაშენებულ სასახლეში გადასულიყო.

მას შემდეგ, წლების განმავლობაში, ვაჰიდედდინი ჩენგელქოიში ცხოვრობდა. 1918 წელს უფროსი მისი, სულთან რეშად ხანის, გარდაცვალების შემდეგ ოსმალეთის იმპერიის მმართველი გახდა.

## **მისი უდიდებულესობა სულთნის დედინაცვალი, ქალბატონი შაესთე**

ქალბატონი გულისთუს გარდაცვალების შემდეგ ბატონი ვაჰიდე-დდინი სულთან აბდულმეჯიდ ხანის ერთ-ერთ ქვრივს, მის VI ხარჭას, შაესთეს, მიაბარეს. ამპობდნენ, რომ ვაჰიდედდინსა და მის დედინაცვალს კარგი ურთიერთობა არ ჰქონდათ.

ერთხელ ქალბატონმა ნაზიქედამ ჩვენი ბატონისა და მისი დედინაცვლის გამუდმებული კამათის მიზეზად შემდეგი დაასახელა: სულთან აბდულმეჯიდ ხანის სიცოცხლეში ქალბატონ შაესთესა და ვაჰიდედდინის ძვირფას დედას კარგი ურთიერთობა არ ჰქონიათ. ამ მიზეზით შაესთე და ვაჰიდედდინი გამუდმებულ კამათში იყვნენ.

ცხონებული ქალბატონი რაჰიდილის ნაამბობის მიხედვით, შაესთე ჩერქეზი ოჯახის შვილი ყოფილა, მცირენლოვანს დაუკარგავს დედ-მამა. ამ ტრაგიკული ამბის შემდეგ შაესთე მისმა ახლობლებმა სასახლეში ერთ-ერთ ნათესავს მიაბარეს. მაგრამ შაესთე ჭირვეული გოგო იყო. ყურს არავის უგდებდა. ჰარამხანის ცხოვრებასთან მორგება ყოველთვის უჭირდა. ერთ დღეს დოლმაბაჰჩეს სასახლეში გამართულ ზემზე შაესთე თავის მეგობრებთან ერთად ხალხურ ცეკვებს ასრულებდა. ფადიშაპმა იგი შეამჩნია და მოეწონა. სულთან აბდულმეჯიდმა გოგონა მაშინვე თავისთან მოიხმო, მაგრამ ამ ამბავს მითქმა-მოთქმა რომ არ მოჰყოლოდა, შაესთესთან ერთად მის მეგობრებსაც უბრძანა მოსვლა. ოთხი აღელვებული, ძალიან ლამაზი გოგონა სულთნის დარბაზში შევიდა. მთავარმა ხაზინადარმა სულთანს გოგონები წარუდგინა. გოგონები მიწამდე დაიხარენ და სულთანს მიესალმნენ, შაესთემ კი ევროპული მისალმება აკმარა.

საზინადარ-უსტა გოგონასთან მივიდა და უთხრა:

— ღმერთო, რას სჩადით?! სულთნის ნინაშე როცა წარდგებით, მინამდე უნდა დაიხაროთ.

გოგონამ მშვიდი ხმით უპასუხა:

— თუ ის მმართველია, მეც მმართველის შვილი ვარ. ჩემმა მისალმებამ ჩვენი ბატონისადმი ჰატივისცემა საკმარისად გამოხატა.

უსტამ ლამის გონება დაკარგა. მაგრამ სულთან აბდულმეჯიდ ხანი გოგოს მიუახლოვდა და უთხრა:

— შენ ღირსეული გოგო ხარ, შენი ქცევა და მანერები შენს დიდგვაროვნებაზე მიუთითობს, — და შაესთე დანიშნა.



პასკალ სებაში.  
თურქი ქალი პირბაღით, 1880

ქაბასაქალ<sup>1</sup> მეჰმედ ფაშას ნათესავი ქალბატონი შაესთე ორჯერ მყავს ნანახი. სულთან აბდულმეჟიდ ხანის ცოლებიდან მან ყველაზე დიდხანს იცოცხებლა. ტკბილად და მხიარულად მოსაუბრე თავადის ქალი იყო<sup>2</sup>. ჩაცმის ევროპულ სტილს, განსაკუთრებით კი ინგლისურ მოდას ანიჭებდა უპირატესობას. მისი რძალი, ქალბატონი ნაზიქედა მასზე ყვებოდა: „ის იყო ერთ-ერთი ყველაზე ნარჩინებული, ამაყი ქალბატონი, რომელიც ცხოვრებაში შემხვედრია. განსაკუთრებით უყვარდა თავისი ოჯახისა და გვარის ქება. მისი ოჯახის უმრავლესობა, ერთეულების გამოკლებით, სასახლეში მსახურობდა. ქაბასაქალ მეჰმედ ფაშას პირველი ქორწინება მისი შუამავლობით შედგა“.

## სულთან ვაჰიდედდინ ხანის ამალა, მხლებლები

სულთან ვაჰიდედდინის მხლებელთა რიცხვი დიდი იყო. როგორც ამბობდნენ, უფლისნულობის პერიოდში მისი ჰარამხანა სიდიდით

- 1 ზედმეტსახელია და უხეშეცერას ნიშნავს (გამ. შენ.).
- 2 ქალბატონი შაესთე 1912 წლის 11 თებერვალს ჩენგელქოის სასახლეში გარდაიცვალა.

არ გამოირჩეოდა. თითზე ჩამოსათვლელი გამოცდილი მსახური ჰყავდა. თუმცა, მას შემდეგ, რაც ფადიშაპი გახდა, მხლებელთა რიცხვმაც იმატა. როგორც ჩემთვისაა ცნობილი, მარტო ხაზინადარი ოცდაშვიდი ჰყავდა. მათი უფროსი ხაზინადარ-უსტა პატივსაცემი მოხუცი იყო. როგორც მახსოვს, ოსმანთა დინასტიის გადასახლებამდე რამდენიმე კვირით ადრე გარდაიცვალა. მისი ადგილი ქალბატონმა ჯენანიარმა დაიკავა, თუმცა, მალევე გადასახლებაში მოყვა და მისი სამსახურეო-ბრივი მოვალეობაც ამით დასრულდა. ამ სამწუხარო ამბავზე მოგვიანებით მოგითხოვთ.

მისი უდიდებულესობა სულთნის ბოლო და ყველაზე ახალგაზრდა ხაზინადარი ჩემი რძლის, ესმეპანის, და – რუჭსარე იყო.

ჩემზე რამდენიმე წლით უმცროსი რუჭსარე ენით აღუწერელი სილამაზის პატრონი იყო. მაღალი, ცისფერთვალება, შავი გრძელი თმებით, თეთრი გოგო გახლდათ. მამამისი, გეჩბა ეუფი ჭლექით გარდაიცვალა. დედამისი აიშე გულთენი კი ჩემი სასახლეში მისვლიან ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა. თავშესაფრის გარეშე დარჩენილი გოგონა ჩემმა უფროსმა ძმამ და რძალმა თავისთან წაიყვანეს. მაგრამ რუჭსარეს არ სურდა მათ ტვირთად დასწოლოდა, ამიტომაც შეეხვენა თავის დას:

– ჩემი დაო, გთხოვ, სასახლეში მიმიყვანეთ. აქ თქვენ ტვირთად გაწვეპით, სასახლეში კი მშვიდად ვიცხოვრებ. თანაც ჩვენს ბატონს მოვემსახურებით.

ერთ დღეს ჩემი რძალი სასახლეში მეწვია. საუბრისას ამ საკითხს შეეხო.

მეც ვუპასუხე: – შესაძლებელია, მაგრამ ჯერ ჩემს ქალბატონს უნდა ვკითხო. თუ ის დამთანხმდა, რუჭსარესთვის სასახლის კარი ღიაა.

მართლაც ვკითხე ქალბატონს. კეთილმა დედოფალმა ტკბილად მიპასუხა, მოვიდეს, ძალიან გამიხარდებაო.

რამდენიმე დღეში რუჭსარე სასახლეში აიყვანეს და ქალბატონ შემსინურს მიამაგრეს. რუჭსარე ჭკვიანი გოგო იყო, სწრაფად ისწავლა სასახლის წეს-ჩვეულებები და მისი უდიდებულესობა ქალბატონის მოწონებაც დაიმსახურა.

1921 წლის ზაფხულის თვე იდგა. რუჭსარესთან ერთად სასახლის ბალში ვსეიირნობდი. მის ბრწყინვალება სულთანს ვუნახივართ და მის გვერდით მყოფი ხაზინადარისთვის უკითხავს, გულეფშანს<sup>1</sup> რომ ახლავს, ის გოგო ვინ არისო.

1 იმის გამო, რომ წითელი ფერის თმები ჰქონდა, სასახლეში მისულ ქალბატონ ლეილას ვაჲიდედინ ხანმა გულეფშანი შეარქვა და მას შემდეგ ყოველთვის ამ სახელით მოიხსენებდა.



სულთანი მეჰმედ VI ვაჰიდედდინი შვილებთან და მხლებლებთან ერთად

საზინადარმა მიუგო:

– თქვენი მხევალი რუპსარეა. ბაშ ქადინეფენდის შემსინურ უსტას ახალბედაა.

– დაუძახეთ, მოვიდნენო, – ბრძანა ჩვენმა ბატონმა.

ცოტა ხანში ხაზინადარი ჩვენთან მოვიდა და სულთნის ბრძანება მოგვახსენა. გაოცებულები და აღელვებულები სულთნის წინაშე ნარვს დევით.

მე მიწამდე მოვიხარე და მივესალმე. რუპსარეც უნდა მისალმებოდა, მაგრამ სულთანმა არ დაანება. გარკვეული ხანი უცქერდა და კარგად შეათვალიერა რუპსარე.

მეორე დღეს, საღამოს, ჩემს ოთახში ერთი ხაზინადარი მოვიდა და მაცნობა, რომ რუპსარე სულთანმა თავის სამსახურში აიყვანა და რომ დავალებული ჰქონდა, მისი ახალ ბინაში გადაყვანა. ძალიან გამიხარდა და რუპსარესთან მივირბინე. ქალბატონსაც ვუამბე მომხდარი. გახარებული რუპსარე იმავე საღამოს გადავიდა ახალ ბინაში. მას შემდეგ პატივსაცემი ქალი გახდა. ამ ამბავმა ჩემი რძალი ძალიან გაახარა. ჩემთან მოვიდა და დამლოცა:

– ღმერთმა დაგლოცოს, ლეილა, შენ რომ არ ყოფილიყავი, საბრალო გოგო ქუჩაში დარჩებოდა.

რუპსარე სულთნის ერთ-ერთი ერთგული მსახური გახდა, ცხოვრების ბოლომდე ისურებდა მის სამსახურში ყოფნას, მაგრამ ბეჭმა მწარე ხვედრი არგუნა. ლამაზი რუპსარე გარეგნულად დაჭკნა და შინაგანად დაუძლურდა. ცხოვრებამ მას ძალიან ადრეულ ასაკში გააწნა მწარე სილა. მოგვიანებით ამ ამბავსაც მოგითხოვთ.

მისი უდიდებულესობა სულთნის მსახურების უმრავლესობა, უფროს ხაზინადარ უსტადან დაწყებული მოახლეებით დამთავრებული, ხნიერი, განათლებული და პატივსაცემი ქალი იყო. განსაკუთრებით მთავარი ხაზინადარ უსტა ექცევდა ყველას კარგად. ჰარამხანის ყველა ბეჭედი მასთან ინახებოდა. მისი აღმატებულება ქალბატონის შემდეგ მას ჰქონდა ბრძანების გაცემის უფლება. მიუხედავად ამისა, არავის ამცირებდა და არავის საქმეში არ ერეოდა. თუმცა, წესრიგის მოყვარული იყო. ბოლოს, ოსმანთა დინასტიის გადასახლების დროს, მთავარი ხაზინადარი, ჯენანიარი, უცხო მხარეში გადაიხვენა და სულთნის გარდაცვალებამდე სან-რემოში ცხოვრობდა.

კიდევ ერთი პატივსაცემი ხაზინადარი ქალბატონი აღმეფსუნია. ჯერ კიდევ სულთან აბდულმეჟიდის ჰარამხანიდან. არაჩვეულებრივად საუბრობდა ფრანგულად და საუცხოოდ უკრავდა პიანინოზე. სასახლეში მოსულ ფრანგ ელჩ ქალებს თარჯიმნობას უწევდა. აქვე აღვნიშნავ, რომ სასახლეში ინგლისურ ენაზე ქალბატონი ფაქიზე თარგმნიდა!

საბრალო აღმეფსუნი, სასახლის დანარჩენი ქალების მსგავსად გადასახლების დროს ქუჩაში გაიძახეს. ქალმა მისდამი ჩადენილი ეს უმსგავსო და უწესო საქციელი ვერ აიტანა, გული წაუვიდა და ცოტა ხნის შემდეგ გარდაიცვალა<sup>2</sup>. ცხედარი ახლობლებმა გებზეს სასაფლაოზე დაკრძალეს. ღმერთმა აცხონოს.

მისი უდიდებულესობის უბედური მოახლეებიდან ერთ-ერთი ქალბატონი ვერდინაზი იყო. გადასახლების დროს წასავლელი არსად ჰქონდა, ამიტომაც დოლმაბაჰეს სასახლეში დაიწყო ცხოვრება. როდესაც იქიდანაც გამოყარეს ქალები, ასმეთაურისთვის შეუხვეწნია, გთხოვთ, მეც ჩემს ბატონთან გამაგზავნეთო, მაგრამ კაცს მისთვის ყურიც არ უგდია და ვერდინაზიც სხვების მსგავსად სასახლიდან გაუგდიათ. ბოლოს, თავის მეგობართან, გონჯანიგართან, შეაფარა თავი, თუმცა 1926 წელს გონჯანიგარი ჭლექით გარდაიცვალა და საბრალო ვერდინაზი მარტო დარჩა. სრულ ჭუაზე არმყოფა სახლი გადაწვა. მეზობლებმა მისი გადარჩენა ვერ მოახერხეს.

სულთნის მხლებლების გარდა, სასახლეში ბევრი ქალი არსებობდა, რომლებსაც მსგავსი ტრაგიკული ისტორია ჰქონდათ. მათ შესახებ რომ გიამბოთ, ცალკე წიგნი გამოვა.

1 ფაქიზე ქალბატონი ნაზიქედას ბიძაშვილი და ქალბატონი რუმეისას უმცროსი და იყო. კერძო სკოლაში ინგლისური ისწავლა და ოფიციალურ დღეებში სასახლეში თარჯიმნის როლს არსულებდა. მოგვიანებით უნგრელ მუსულმანს, სახელად ესად ბერჯელს გაყვა ცოლად და ბუდაპეშტში გადავიდა საცხოვრებლად. იქ 1943 წელს გარდაიცვალა.

2 მსახურის გარდაცვალების თარიღია 1924 წლის 11 მარტი.



მედიჰა სულთანი

სულთანს თავისი საქმის კარგი მცოდნე კიდევ ერთი გამოცდილი ქალი – რაპიდილი ჰყავდა. იგი ილდიზის სასახლის ყველაზე მხცოვანი წევრი იყო. ეს ქალი თავის დროზე სულთნის ასულების, ულვიესა და საბიჟას, ძიძა გახლდათ. 1840 წელს დაბადებული, მრავალი ისტორიული მოვლენის მოწმე გახდა. სასახლის ახალგაზრდა წევრებთან ყოველთვის ძველ დროზე საუბრობდა, განსაკუთრებით სულთან მეჯიდა და აზიზს აქებდა. სასიამოვნო მოსაუბრე იყო. ასაკის მიუხედავად კარგი მეხსიერება ჰქონდა. დაზუსტებით ვერ გეტყვით, მაგრამ ქალბატონი რაპიდილი 1925 – 1930 წლებში გარდაიცვალა.

## სულთნის და მედიჰა

ქალბატონი მედიჰა და სულთანი ერთი დედის შვილები იყვნენ. მედიჰა ძმაზე რამდენიმე წლით უფროსი იყო. საშუალო სიმაღლის შავგორემანი ქალი გახლდათ. სახით ცხონებულ აბდულმეჯიდ ხანს ძალიან ჰყავდა. ლამაზი ქალი არ იყო, მაგრამ მიმზიდველი და მომაჯადოებელი თვალები ჰქონდა. სასახლეში მოსულ მედიჰას მისი უდიდებულესობა ქალბატონი პირადად შეეგებებოდა, ერთად სვამდნენ ყავას, ერთად ვახშმობდნენ. ქალბატონ მედიჰას სულთნის ცო-

ლებიდან მხოლოდ მისი უდიდებულესობა ქალბატონი უყვარდა და ენდობოდა. ფადიშაპის სხვა ცოლებთან კი ოფიციალურ დღეებშიც ერიდებოდა შეხვედრას.

ქალბატონი მედიპა მისმა უფროსმა ძმამ სულთან აბდულჰამიდ II-მ 1879 წელს ნეჯიფ ფაშაზე დაქორწინინა. ბედნიერი ქორწინება ჰქონდათ, თუმცა ფაშას უკურნებელი სენი შეეყარა და 1885 წელს გარდაიცვალა. მედიპა სულთანმა მეორედ ცნობილ დამად ფერიდ ფაშაზე იქორწინინა.


სულთნის დას პირველი ქმრისგან ერთი ვაჟი, სამი, ეყოლა. ბატონი სამი სასახლეში ბევრჯერ მყავს ნანახი. მის მეუღლეს, დევლეთპანს, უფრო კარგად ვიცნობდი, რადგან ბანდირმალელი ჩერქეზი იყო. გარდა ამისა, მისი პატივცემული დეიდა, ემელი, ჩემი მეგობრის, დილბერის დედა იყო.

სულთანმა მედიპა ნეჯიფ ფაშასთან ქორწინების შემდეგ ბალთალიმანის სასახლე გადასცა, რომელშიც სამშობლოსთან განშორებამდე ცხოვრობდა.

როგორც ამბობდნენ, მედიპა სულთანი მეორე ქორწინებამდე ანტიდასავლური ორიენტაციის იყო, არ უყვარდა ევროპულ სტილზე ჩაცმა. თუმცა, ფერიდ ფაშაზე ქორწინების შემდეგ სრულიად შეცვლილა. ჩემთვის ნაცნობ მედიპა ყოველთვის ევროპულ ყაიდაზე შეკერილი ტანსაცმელი ეცვა. ფრანგულად უყვარდა საუბარი. მოსწონდა ინგლისის ტრადიციები და წეს-ჩვეულებები. არასდროს დამავიწყდება, ერთხელ მისი უდიდებულესობა ქალბატონი და მედიპა სულთანი ერთად ისხდნენ. მე, რუმეისა და ბაილა მათთან ერთად ვისხედით. უეცრად მედიპამ თქვა: უჲ, ხუთი საათი გამხდარა, ჩაის დროა.

გაოცებულებმა ერთმანეთს გადავხედეთ. ჩაი მოიტანეს. პატივისცემის ნიშნად ქალბატონმაც დალია ჩაი. ქალბატონი მედიპა რძიან ჩაის სვამდა. ქალბატონს, პირიქით, რძიანი ჩაი არ უყვარდა.

სულთნის და ტკბილად და მხიარულად მოსაუბრე ადამიანი იყო. არასდროს არავის აწყენინებდა, არ ბრაზობდა, ყველას კარგად ეპყრობოდა. საოცარი სიცილი იცოდა. სასახლეში მოსვლისას ყველას გასამხიარულებლად სახალისო ამბებს ყვებოდა. ჩვენი კისკისის ხმა გარეთ გადიოდა. ერთხელ სულთანს, ბალში სეირნობისას, ჩვენი სიცილი გაუგია და გვერდით მყოფებისთვის ღიმილით უთქვამს: ჩემი და მოსულა. ესენი მალე სასახლის მუსიკოსებსაც გაასწრებენო.



სევრის ხელშეკრულების ხელმომწერნი: დიდვეზირი დამად ფერიდ ფაშა (ფესით),  
მარჯვნივ – რიზა ტევფიკი, მარცხნივ – ოსმალეთის განათლების მინისტრი  
ბალდათლი ჰადი ფაშა და ელჩი რეშად ჰალისი

## დამად ფერიდ ფაშა

ქალბატონი მედიპას მეორე მეუღლე ფერიდ ფაშა ამორალური  
პიროვნება იყო. ქვეყანასა და ხალხს უამრავ პრობლემას უქმნიდა.  
ფაშას ინგლისელების მხარე ეჭირა. ხელი ჰქონდა მოწერილი ისეთ  
ხელშეკრულებებზე, რომლის მიხედვითაც ჩვენი მიწები თითო-თი-  
თოდ უნდა გადასულიყო ევროპელების ხელში. ნამდვილად სამწუხ-  
არო ამბავია. განსაცვიფრებელია, რომ ქვეყნის დამანგრეველი, მო-

ლალატე ენვერ, ჯემალ და თალაათ დიდვეზირების შემდეგ ფერიდ ფაშას მსგავსი გამოუცდელი, არაფრით გამორჩეული ადამიანი გახდა დიდვეზირი.

ფერიდ ფაშას სასახლის ძველი წესები და ტრადიციები არ უყვარდა. მედიკასთან ერთად ილდიზში გადმოსვლის შემდეგ ყველაფერს აკრიტიკებდა, არაფერი მოსწონდა. ფაშა გამუდმებით პრეტენზიას გამოთქვამდა, ერთსა და იმავეს ასჯერ იმეორებდა. ერთხელაც, თუ არ ვცდები, 1919 წლის ზაფხული იყო, მისი აღმატებულება ქალბატონი, ფერიდ ფაშა, მედიპა, ქალბატონი რუმეისა და მე სასახლის ბალში სასეირნოდ გავედით. უეცრად ფერიდ ფაშამ რუმეისას ხელკავი გაუკეთა და წამოპრძანდით, ცოტა გავისეირნოთო, უთხრა

– ღმერთო, რას აკეთებთ, ბატონო?! – გაოცებულმა რუმეისამ მხოლოდ ამის თქმალა მოახერხა.

ფაშამ, თითქოს არაფერი მომხდარიყო, ხელკავი ამჯერად ქალბატონ მედიკას გაუყარა. ამ შემთხვევის შემდეგ ჩემმა ქალბატონმა ფერიდ ფაშას ნახვა არ ისურვა, მართლაც, მას შემდეგ ერთხელაც არ უნახავს.

სასახლის არც ერთ ქალს ფერიდ ფაშა არ უყვარდა. არც ხალხს დაამასოვრა კარგად თავი.

ფერიდ ფაშა ქეყენის დაქუცმაცებისა და ერის დამცირების შემდეგ უმაღურ ენვერ, ჯემალ და თალაათის მსგავსად ვროპაში გაიქცა და 1923 წელს საფრანგეთში გარდაიცვალა. როგორც შემდეგ შევიტყვეთ, მისი გაქცევის ისტორია შემდეგნაირი იყო:

ქალბატონი მედიკას ვაჟიშვილს, სამის, ერენქოიში ნაჯიეს საზაფხულო სასახლესთან ახლოს ვილა ჰქონდა. მოგვიანებით ბატონმა სამიმ ეს სანაპირო სახლი ფერიდ ფაშას დაჟინებული თხოვნით გაყიდა, მთელი თანხა კი მამინაცვალს გადასცა. ფერიდ ფაშა ამ თანხით სამის ერთ-ერთ უფროს ვაჟთან ერთად გერმანიაში დასასვენებლად გაემგზავრა. უფრო მეტიც, ორი წელი მეფურად იცხოვრა. სტამბულში დაბრუნებულმა ხალხის სიძულვილი დაიმსახურა. ყოველდღე ბალთალიმანის სასახლის წინ ჩავლილი გემებიდან ხალხის შეძახილები ისმოდა:

– ღმერთმა დასწყევლოს ფერიდ ფაშა!

ფერიდ ფაშა მიხვდა, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა, ამიტომაც სხვა მოღალატების მსგავსად გადაწყვიტა გაქცეულიყო. დახმარებისთვის ინგლისელებს მიმართა. ისინიც სიხარულით დაეხმარნენ, მაღულად მატარებელში ჩასვეს და გააცილეს.

ქალბატონმა მედიკამ მეუღლის მიტოვება არ ისურვა და მასთან ერთად გაემგზავრა. ამის შესახებ არც სასახლეში იცოდნენ და არც მისმა უდიდებულესობა სულთანმა იცოდა რამე. მოგვიანებით მედი-

ჰამ სულთანს წერილი მისწერა, სადაც განმარტავდა, რომ ევროპაში სამკურნალოდ წავიდა. ამგვარად ადვილად მიატოვა სამშობლო ფერიდ ფაშამ და კიდევ ერთხელ გამოამუდავნა თავისი ხასიათი.

წლების შემდეგ, როცა ეს ადამიანი მახსენდება, სიპრალულის გრძნობა მიჩნდება. სინამდვილეში ფერიდ ფაშა თავის მიწა-წყალზე შეყვარებული ადამიანი იყო, მაგრამ ინგლისელებით ზედმეტად იყო აღფრთოვანებული და ამან დაღუპა. სამწუხაროდ, ნამდვილი ნიჭი არ გამოუვლენია, ყოველთვის ცუდ მაგალითს აძლევდა ხალხს. ბოლოს კი სამშობლოსგან შორს გარდაიცვალა.

სიკვდილის პირას მყოფს ნეტავ თუ მოაგონდა ის ბოროტება, რაც თავისი ქვეყნისა და ხალხის წინაშე ჩაიდინა. ამ კითხვაზე პასუხი ყოველთვის მაინტერესებდა. ახლა, ამ სიტყვების დაწერის შემდეგ, თითქოს პასუხი მივიღე.

## დედაჩემის გარდაცვალება

დედაჩემს, მაჲშერეფს, ძალიან სუსტი და ნაზი ორგანიზმი ჰქონდა. მთელი ცხოვრება ავადმყოფობდა. უფრო მეტიც, ციებ-ცხელება შეიპყრობდა და რამდენიმე დღე ლოგინად ჩავარდებოდა ხოლმე. ერთ დღეს ჩემი უფროსი და, ნურბანუ, სასახლეში მოვიდა. მითხრა, რომ დედა ავად გამხდარიყო და საზაფხულო რეზიდენციაში მის სანახვად აუცილებელად უნდა წავსულიყავი. აფორიაქებულმა დედოფლისგან ნებართვა ვითხოვე. კეთილმა ქალბატონმა წასვლის ნება მომცა. დასთან ერთად მაშინვე ჩვენს სასახლეში წავედით. მივედით თუ არა, დედაჩემის ოთახისაკენ გავიქეცი. საბრალო დედა თვალდახუჭული იწვა და სუნთქვა უჭირდა. ატირებული მივუახლოვდი და ხელი ჩავჭიდე. დედა გონს მოეგო, თვალები გაახილა და მითხრა:

– აჲ, ჩემო ლეიილა, ჩემო ლამაზო, წითელთმიანო გოგონა.

ტირილი დავიწყე, ერთ ხელს ვუკოცნიდი, მეორე ხელით დედაცრემლებს მწმენდდა.

– ჩემო ლამაზო, სახელად ლეიილა რატომ დაგარქვი, იცი, – მკითხა. მაგრამ პასუხის გაცემის თავი არ მქონდა.

– შენ რომ დაიბადე, იმ საღამოს ძლიერ წვიმდა. ირგვლივ წყვდიადი სუფევდა. უზარმაზარი ოთახი, მიუხედავად სანთლებისა და ლამპრებისა, ჩანთლებული იყო. შენ დაიბადე თუ არა, უეცრად ბაღში მეხი გავარდა, იმ წამს ირგვლივ ყველაფერი განათდა. სწორედ ამიტომ დაგარქვით ლეიილა.



მაჟშერეფ ემხვარი

ისევ ტირილი ამივარდა. ჩემს თავს აღარ ვეკუთვნოდი. მამა ოთახში შემოვიდა, ხელი მომკიდა და დარბაზში გამიყვანა.

— შვილო, ცრემლები შეიშრე, არ დაგავიწყდეს, დედაშენი დღევანდელ დღემდე ყველა ავადმყოფობას სასწაულით გადაურჩა. ღვთის ნებით ამასაც გადალახავსო, — მითხრა და თავზე ხელი გადამისვა.

მამაჩემის სიტყვებმა ცოტათი დამამშვიდა. მაგრამ გულის სილმეში რაღაც ხმა არ მასვენებდა — რომ მოკვდეს? გაგიჟებამდე ცოტა მაკლდა. ჩემმა საბრალო ძიამ ჩემს ძველ ითახში წამიყვანა და მთხოვა, დამესვენა. ლოგინზე დავჯექი და ლრმად ჩავფიქრდი. უცებ კარი გაიღო და ჩემი მეგობარი დილბერი შემოვიდა. მაშინვე გადავეხვიე. ატირებულმა მონატრება განვიქარვედა „ჩემონ დილბერ, დედაჩემს რა სჭირს-მეთქი“ — ვკითხე. რა გითხრა, როცა არაფერი ვიციო, მიპასუხა დილბერმა. რომ არ გამეგო, ვერ მოვითმენდი. გევედრები, მითხარი-მეთქი, ვემუდარებოდი. დილბერმა მეტის დამალვა ველარ შეძლო: სამმა კარგმა ექიმმა გასინჯა. კარგი მოვლის მიუხედავად, პნევმონიით დაავადებულაო, თქვა.

მთელი სამყარო თავზე დამემხო. რა მეთქვა, რა მემოქმედა, არ ვიცოდი. ტირილის მეტი რა შემეძლო? გათენებამდე ვტიროდი და უფალს ვევედრებოდი.

მეორე დღეს ადრიანად გამეღვიძა. მაშინვე დედას ოთახში შევე-დი. ლოგინში მშვიდად იწვა. მივუახლოვდი. თავისი ლამაზი, მწვანე თვალები გაახილა და მითხრა:

— ლეილა, ერთი ჭიქა წყალი მომიტანე, ყელი გამიშრა, ძალიან მომწყურდა.

მაშინვე ქვედა სართულისაკენ გავიქეცი, დარბაზში, მაგიდაზე, წყლით სავსე დღეი და ჭიქა ვნახე. ჭიქა წყლით ავავსე და დედას ოთახში შევბრუნდი. დედა, წყალი მოგიტანე-მეთქი, ვუთხარი. მა-გრამ არც თვალები გაახილა და არც ხმა გამცა. შეშინებული მივუ-ახლოვდი საწოლს, ლამაზ სახეზე ყურადღებით დავხედე და მივხ-ვდი, რომ გარდაცვლილიყო<sup>1</sup>. ჭიქა ხელიდან გამივარდა. მუხლები მომეკვეთა და თვალთ დამიბნელდა. გულზე წამსვლია.

გონზე მოსული ლოგინში ვიწერი. დილბერი თავთან სკამზე იჯ-და. გახარებული გადამეხვია. გვეგონა, საერთოდ აღარ მოხვიდ-ოდი გონსო, მითხრა. თურმე, ორი დღე ვყოფილვარ უგონოდ.

რა თქმა უნდა, დედაჩემი დაკრძალული იყო. კვირების, თვეების განმავლობაში ვტიროდი. მაგრამ დედას გარდაცვალებიდან ხუთი დღის შემდეგ სასახლეში დავბრუნდი. სახლში რომ დავრჩენილიყა-ვი, უფრო გამიჭირდებოდა. ჩემი ქალბატონიც ძალიან დაამწუხრა დედაჩემის გარდაცვალებამ. დეიდაჩემი ფეივესტე და აბდურრაჟ-იმიც ბევრს მოთქვამდნენ და დიდი ხანი გლოვობდნენ.

დედაჩემის სახელზე ორთაქოის მეჩეთში მევლუდები წაიკით-ხეს. ლარიბებს კი საჭმელ-სასმელი დავურიგეთ.

საბრალო დედაჩემის სიკვდილი არასოდეს დამვიწყებია. მონა-ტრება შემომანვებოდა ხოლმე და გულს მიკლავდა. ღმერთმა აც-ხონოს.

## ფადიშაპების ქორწილები

ეს საკითხი მეტად მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რადგან ოსმალე-თის იმპერიის სულთნები, უცხოელი მეფეების მსგავსად, სახელმ-წიფო ჩინოვნიკების თანდასწრებით არ ქორწინდებოდნენ. მათი ქორწინების შესახებ არავინ არაფერი იცოდა. სულთანი მხოლოდ ქორწინებიდან რამდენიმე დღის შემდეგ პირადი ხაზინის უფროსს მისწერდა და მეუღლის სახელზე ხელფასს დაანიშნიებდა.

1 ქალბატონი მაპშერეფი 1920 წლის 16 აგვისტოს გარდაიცვალა.



დურრინევ ძიაფშ-იფა

სულთან აბდულმეჯიდ ხანის ეპოქამდე, რვეულში სახელების გვერდით დაფიქსირებული თარიღი ქორწინების თარიღად ითვლებოდა. სულთან აბდულმეჯიდ ხანმა პირველმა იქორწინა სახელმწიფო მოხელეების თანდასწრებით. შესაძლოა, მისი საქციელი ევროპული ტრადიციებისადმი მიბაძვამ განაპირობა. ერთ-ერთი ასეთი ქორწილი ვალიდესულთან ფარესთუსთან ქორწინებისას შედგა. არაჩვეულებრივი წვეულება მოეწყო სულთნის ამ ქალბატონთან ქორწილის დღეს. სულთან აბდულმეჯიდისა და მისი პირველი ცოლის, სერვეთსეზას, ქორწილში, ყველა კავკასიელ თავადს, თვით საქართველოს მეფესაც, სულთნისთვის საჩუქრები გამოუგზავნია. იმის თქმა მსურს, რომ სულთან აბდულმეჯიდმა ქორწინების ძველი ტრადიცია მოშალა. მაგალითისთვის შემდეგსაც დავამატებდი: სულთან აბდულმეჯიდის ყველა ცოლი წარჩინებული გვარისშვილი იყო. ქალბატონი სერვეთსეზა ჩერკასსკის ოჯახიდან იყო. სულთან აბდულმეჯიდის ეპოქამდე დიდგვაროვან ასულებზე ქორწინება სასახლის ტრადიციას არ წარმოადგენდა.

სულთან აბდულმეჯიდის შემდეგ ტახტზე ასულმა აბდულაზიზ ხანმა ბებიაჩემის, თავადის ქალ აიშე ქემალიფერ ძიაფშ-იფას უფროს დაზე, მელიქ დურრინევზე იქორწინა და ორი შვილი ეყოლა – უფლისნული იზზედდინი და ქალიშვილი სალიპა. აბდულაზიზ ხანმა ჩვენს უფროს ბებიდაზე, დურრინევზე, უფლისნულობის პერიოდში იქორწინა. იმ დროს საქორწილო ცერემონიალები ბრნყინვალებით არ გამოირჩეოდა. მაგრამ სხვა ცოლებთან ქორწილებს ძალიან აქებდნენ.



ფრედერიკ არტურ ბრიჯმენი.  
ჩერქეზი ქალი, 1881

სულთან აბდულმეჯიდ II-ის ქორწილები უბრალოებით გამოირჩეოდა. ჰამიდ ხანმა დიდი ზემით ერთხელ ჩემს ბიძაშვილზე, ფატმა პესენდაზე იქორწინა. ყველაზე სადა ქორწილი კი ბოლო ცოლის, სალიჰა ნაჯიეს, შერთვის დროს გაიმართა.

ფადიშაპის ქორწილში სულ ორჯერ ვარ ნამყოფი. პირველად ქალბატონ ნაჯიესთან, მეორედ – ქალბატონი ნევზადთან. ქალბატონი ნევზადის ქორწილი კარგად მახსოვს, იმ დროს სასახლეში ვმსახურობდი.

ქორწილის დაწყებამდე ფადიშაპმა საპატარძლოს ოჯახი სასახლეში მიიწვია. ნევზადს მამა, ბატონი შაბანი, გარდაცვლილი ჰყავდა, ამიტომაც სასახლეში დედა, ჰატიჯე, უფროსი ძმა სალიჰი, ქალბატონი ნესრინი, რომელიც ისედაც სასახლეში მსახურობდა, და რამდენიმე ნათესავი წარდგა. ქალბატონ ჰატიჯეს სასახლის პარკში, მისი ქალიშვილისადმი მიძღვნილ ვილაში, დიდი პატივით გაუმასპინძლდნენ. იმ საღამოს გაიმართა საქორწინო რიტუალი. მეორე დღეს, დილაადრიან, მოუხმეს სულთნის სხვა დანარჩენი ცოლების სეფექალებს. ეს იყო სასახლის ტრადიცია, რომელსაც ყველა ფადიშაპის ქორწილში იცავდნენ. სულთნის ცოლები თავიანთ სეფექალებს ქორწილში მოზედ აგზავნილნენ, ამით კი პატარძალს სულთნის ახალ მეუღლედ სცნობდნენ. ამ ქორწილში მე ჩემი ქალბატონის წარმომადგენლად წავედი. ქალბატონი მუვედდეთის წარმომადგენლი ბეზმინიგარი, ქალბატონი ნევვარეს კი თერჯანი იყო.



სულთნის ასული დურრი-ჩეჰვარი

დილის შვიდ საათზე ოფიციალურ ტანსაცმელში გამოწყობილი სამი სეფექალი სასახლეში მივედით. პირდაპირ იმ დარბაზში შეგვიყვანეს, სადაც ახალი ქალბატონი იმყოფებოდა. ქალბატონ ნევზადს აბრეშუმის ბრწყინვალე, გრძელი თეთრი კაბა ეცვა, თავზე ბრილიანტებით მორთული გვირგვინი, ყელზე კი ბრილიანტის გულსაბნევი ეკეთა. თეთრ კაბაში ნამდვილ ფერიას ჰგავდა. ქალბატონს მივესალმეთ და ჩვენი ქალბატონების მოკითხვა გადავეცით, თავადაც მოგვესალმა. ოთახში ქალბატონი ჰათიჯე შემოვიდა და გვერდით ოთახში გაგვიყვანა. ყავა მოგვართვეს. მოგვიანების უფროსი ხაზინადარი და მისი თანმხლებნი მოვიდნენ. ხაზინადარის შემდეგ სასახლეში იმამი, შემდეგ თავად სულთანი ჰარამხანის ორ საჭურისთან ერთად მოვიდა. ცერემონიაც დაიწყო.

ქალბატონი ნევზადი თავისი ბრწყინვალე კაბით უზარმაზარ დარბაზში დივანზე იჯდა. თავზე თეთრი გრძელი და განიერი თავსაბურავი ეხურა, ამიტომაც სახე კარგად არ უჩანდა. ოთახში სულთანი შემოვიდა, ყველა ფეხზე ნამოდგა და ცერემონიის დასრულებამდე არავინ დამჯდარა. იმამი დივანის წინ იდგა. სულთანს პირველი ის მიესალმა. ფადიშაპი დივანზე დაჯდა, ქალბატონმა ნევზადმაც მის გვერდით დაიკავა ადგილი. საჭურისები, ანბერი და ჰაირედდინი, მარჯვენა მხარეს დადგნენ. ჩვენ, სეფექალები, მარცხენა მხარეს ვიდექით. უფროსი ხაზინადარიც მარცხენა მხარეს, ჩვენ გვერდით იდგა.



სულთნის ასული დურრი-ჩეპვარი

პირველად საჭურისებმა, როგორც მოწმეებმა, შემდეგ კი სეფე-ქალებმა, როგორც ჩვენი ქალბატონების წარმომადგენლებმა, და-ვიფიცეთ. ამის შემდეგ ქორწინება შედგა. უფროსმა ხაზინადარმა სულთნის წინაშე მუხლი მოიყარა, ვერცხლის ზარდახმა გაუწოდა და ისევ ფეხზე წამოდგა. სულთანმა ზარდახშიდან ვერცხლის ბე-ჭედი ამოიღო, ქალბატონს გადასცა და თან დასძინა:

— თქვენ მეორე ხარჭად გაცხადებთ. ღმერთმა ქნას, ბედნიერი მე-ულლე და სასახლის ღირსეული ქალბატონი იყოთ. ბეჭედზე „უმნი-კვლონ ნევზად იქბალ“ იყო ამოტვიფრული.

სულთანმა თანხმლებლებთან ერთად მეულლის სასახლე და-ტოვა. სტუმრები შებინდებამდე მოდიოდნენ და ახალ ქალბატონს ულოცავდნენ. წვეულება საღამოს 9 საათამდე გაგრძელდა. ქალბ-ატონმა ნევზადმა მის სახელზე ლარიბებისათვის საჭმელი დაარიგ-ებინა. ზოგიერთებს ფულითაც დაეხმარა.

ძველად ფადიშაპის ქორწილებში პატარძალი მაღალ მინდერზე, ფადიშაპი კი ტახტის მსგავს დივანზე იჯდა. სულთანი მეულლეს ბე-ჭედს გადასცემდა, მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლო ქალს ფადიშაპის გვერდით დაჯდომა. თუმცა, მსგავსი რამ არც ნევზადის და არც ნა-ჯიეს ქორწილში მინახავს. ორივე ქალბატონი სულთნის გვერდით იჯდა.



უფლისნული ოსმანი

ქორნილიდან სამი დღის შემდეგ სულთანმა ქალბატონ ნევზადს პირველი ხარისხის მედალი აჩუქა. უფლისნულების ქორნილებიც ამგვარად, მხოლოდ უფრო სადად ტარდებოდა. ქალბატონებს ვერცხლის ბეჭედი გადაეცემოდათ. მაგრამ როცა უფლისნული ტახტზე ავიდოდა და ფადიშაპი გახდებოდა, ქალბატონი ვერცხლის ბეჭედს უკან აბრუნებდა და მისთვის ოქროს ბეჭედი მზადდებოდა.

## უმცროსი ნევზადი

მის უდიდებულესობა სულთანს სულ ხუთი ცოლი ჰყავდა. პირველი ოთხი ცოლი უფლისნულობის პერიოდში შეირთო. მეორე ცოლს ძოგვიანებით გაეყარა. სულთნის ყველა ცოლი, ბოლო ცოლის გამოკლებით, კავკასიელი წარმოშობის იყო. პირველი აფხაზი, მეორე ჩერქეზი, მესამე და მეოთხე ცოლები აფხაზები გახლდათ. ბოლო ცოლის შესახებ ბევრი ქორი დადიოდა, მაგრამ ჭორების უმრავლესობა სიმართლეს არ წარმოადგენდა. მსურს, სულთნის ბოლო მეულლის, ქალბატონი ნევზადის, შესახებ მოგითხოთ.

ნევზადის ნამდვილი სახელი ნიმეთი იყო. იგი 1898 წელს სტამბულში დაიბადა. მამამისი, შაბანი, ცხონებული სულთნის, აბდულმეჯიდ II-ის, ალბანელი მეპალე იყო. მამიდამისის ქმარი, ჰუსეინი, განსვენებული სულთან მეჰმედრეშად ხანის სასახლის მინისტრი იყო. მეგარდერობე საბითან მეგობრობდა.

ერთ დღეს ჰუსეინს საბითისთვის უთქვამს: „ჩემი სიმამრის ორი ქალიშვილი უკვე რამდენი თვეები ჩემს სახლში არიან, იქნებ სასახლეში ავაყვანინოთ და დავასაქმოთ“.

ბატონმა საბითმა უპასუხა, რომ ჩემს დას ვეტყვი და ის მოაგვა-რებს ამ საქმესო.

ამგვარად ნევზადი და მისი ორი წლით უმცროსი და, ნესრინი, სასახლეში ბოსნიელი ხაზინადარის, ნევფერის, მითითებით აიყვანეს.


სასახლეში მოხვედრიდან მცირე ხანში ნევზადი უფლისნულ ზიადდინის გარემოცვაში მყოფი, ჯენანიარის განკარგულებაში გადავიდა. სასახლის წესები ამ დალოცვილი ქალისგან ისწავლა.

წლების შემდეგ სულთანი რეშად ხანი გარდაიცვალა. ფადიშა-ჰის სიკვდილის შემდეგ ძველი მმართველის ცოლებმა, შვილებმა და მათ გარემოცვაში მყოფმა ადამიანებმა სასახლე დატოვეს და თავიანთი ადგილები ახალი მმართველის ოჯახს დაუთმეს. ნევზადი უფლისნულ ზიადდინის ამალაში იმყოფებოდა, ამიტომ მასაც მოუწია ილდიზის სასახლის დატოვება, თუმცა, რამდენიმე დღის შემდეგ გაიგო, რომ სულთანი ჰარამხანისთვის ახალბედებს ექებდა და რამდენიმე მეგობართან ერთად ილდიზში დაბრუნდა. ცოტა ხანში სულთან ვაჰიდედდინ ხანის ყურადღება მიიქცია და მისი მეუღლე გახდა<sup>1</sup>.

ნევზადი მართლაც რომ ძალიან ლამაზი ქალი იყო. შემიძლია ვთქვა, რომ სასახლეში ნევვარეს შემდეგ მომაჯადოვებელი სილა-მაზის მქონე მეორე ქალი იყო. მას შემდეგ, რაც სულთნის მეუღლე გახდა, თავისი და, ნესრინ სადირუ, უფროს სეფექალად დანიშნა.

ნევზადს წიგნების კითხვა უყვარდა, მუსიკით დიდად არ ინტერესდებოდა. მხოლოდ განსაკუთრებულ დღეებში უსმენდა საზს. სულთანი მხოლოდ მას ენდობოდა, ყოველთვის მის გვერდით იყო. მაგრამ სულთანმა ნევზადისათვის „ქადინეფენდის“ წოდების მინიჭებისგან თავი შეიკავა. ამ საკითხთან დაკავშირებით სასახლეში ბევრს ჭორაობდნენ. ჩემი აზრით, ყველაზე დამაჯერებელი ახსნა შემდეგია: მისი უდიდებულესობა „ქადინეფენდის“ ტიტულს მხოლოდ იმ ცოლებს აძლევდა, რომლებიც შვილს გაუჩენდნენ. დანარჩენებს კი „იქბალის“ ტიტულს ანიჭებდა.

1 ქორწინების თარიღი 1921 წლის 1 სექტემბერი.



სულთნის ლოცვა პამიდიეს მეჩეთში

ქალბატონი ნევზადის დედა, პათიჯე, დახვეწილი და კეთილშობილი ქალი იყო. მამიდა კი ქედმაღალი და ორპირი. ნევზადის მამიდის შესახებ ცნობები ბატონი ზიაუდდინის მეუღლის, მელექესეირანისგან მივიღე. მისგან მოსმენილმა ზოგიერთმა ამბავმა იმ ქალის ხასიათზე გარკვეული ნარმოდგენა შემიქმნა. მეტის თქმა საჭიროდ არ მიმაჩნია.

## ჯუმა სელამლიქლარი<sup>1</sup>

ძველად „ჯუმა სელამლიქლარი“ მეტად მრავალფეროვნად აღინიშნებოდა, მაგრამ სულთან აბდულჰამიდ II-ის შემდეგ წესრიგთან და პარმონიასთან ერთად სასახლეში ბრწყინვალე და ხალხმრავალი მიღებებიც გაქრა.

<sup>1</sup> Cuma Selamlik – პარასკეობით მეჩეთში სულთნის ნასვლის ცერემონიალი (ვამ. შენ).



მეპმედ V რეშადი

„ჯუმა სელამლიქლარი“ ყოველთვის ჰამიდიეს მეჩეთში ტარდებოდა. სულთანი ვაჰიდედინი დიდ ყურადღებას აქცევდა წესრიგს. ამიტომ სასახლიდან დროულად გამოდიოდა, ჰარამხანის მკვიდრნიც ნახევარი საათით ადრე იყრიდნენ თავს მეჩეთის ეზოში. მისი აღმატებულება ქალბატონის ეტლი მუდამ წინ, მის უკან სხვა ქალბატონების ეტლები, ხოლო სულ ბოლოს უფროსი ხაზინადრის ეტლი იდგა.

მისი აღმატებულება ქალბატონისა და უფროსი ხაზინადრის მისვლა სავალდებული იყო. ქალბატონ მუვედდეთსა და ხარჭებს სურვილისამებრ შეეძლოთ მისვლა, თუმცა, სასახლეში ჩემი ყოფნის პერიოდში ისინი ყველა „პარასკევის ცერემონიალს“ ესწრებოდნენ. ჩვენ, სეფექალები, რა თქმა უნდა, ჩვენს ქალბატონებს ვახლდით, ეტლში მათ გვერდით ვისხედით.

ქალბატონი ამ ცერემონიალზე ოფიციალურ ტანსაცმელს იცვამდა, თავზე გვირგვინს იკეთებდა და გულზე ორდენებს იბნევდა. ჩვენ, სეფექალები, კი გრძელ თეთრ კაბებს ვიცვამდით და სამკაულებს ვიკეთებდით. სასახლეში სეფექალები განსაკუთრებით თეთრ კაბებს, სხვა ტიტულოვანი ქალბატონები კი მუქ შავ ან მუქ წითელ ტანისამოსს ატარებდნენ. უფროსი ხაზინადარი მუდამ მუქ წითელ მოსასახამს ატარებდა.



სასახლის ქალბატონი ჩამოდის ეტლიდან

შემდგომ, როცა მისი უდიდებულესობა ფადიშაპი სასახლის კარიბჭიდან გამოვიდოდა, მარშით, საყვირითა და ჯარისკაცთა შეძახილით აძლევდნენ სალამს. მეოთხე ან მეხუთე მსგავსი მისალმების შემდეგ ფადიშაპი მეჩეთის შესასვლელთან იყო. მეჩეთის კარიბთან შეიჰულისლამი ხვდებოდა, ერთად შედიოდნენ და ნამაზი იწყებოდა. ამ ცერემონიალს სადრაზამი<sup>1</sup> არ ესწრებოდა. ლოცვის დროს იქაურობა განკითხვის ადგილს ემსგავსებოდა, ჰაჯები<sup>2</sup> მეჩეთის ეზოში ხალიჩებს გაშლიდნენ და ფადიშაპთან ერთად ლოცულობდნენ. ეს ცერემონია ყოველ „ჯუმა სელამლიიზე“ მეორდებოდა. ლოცვის დასასრულის მოახლოვებისას ჯარისკაცების მოვალეობა მთავრდებოდა და მარშის დაკვრით გადიოდნენ. სულთნის მეჩეთიდან გამოსვლამდე ყველა იცდიდა, ფადიშაპის გამოსვლისას კი ჩამნერივებული კარისკაცები მისალმების ნიშნად ფეხზე იდგნენ. მისი უდიდებულესობა მათთან ერთად პრუნდებოდა სასახლეში. ჩვენ კი ეტლებით სულთნის გამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე ვპრუნდებოდით უკან.

## რამაზანის მარხვა ილდიზის სასახლეში

რამაზანის მარხვამდე რამდენიმე კვირით ადრე იწყებოდა სამზადისი. სასახლეს საგანგებოდ ასუფთავებდნენ, ფადიშაპის საცავებიდან მთელ სასახლეში რიგდებოდა ტკბილეული.

1 კეზირი (გამ. შენ).

2 ასე ეწოდებათ იმ ადამიანებს, რომლებმაც მექა მოილოცეს (გამ. შენ).

მარხვის გახსნილებამდე 10 წუთით ადრე საჭურისებს მოოქროვილი ლანგრებით შემოჰქონდათ ნარჩევი საჭმელი და იქვე მომუშავე გოგონებს უტოვებდნენ. გოგონები სუფრას შლიდნენ და ბატონებს ეძახდნენ, რის შემდეგაც მოვალეობისაგან თავისუფლდებოდნენ.

მისი უდიდებულესობა ქალბატონი, ქალბატონი რუმეისა, შაპინდე, ბაილა, შაპესერი და მე ერთად ვიწყებდით ჭამას. სხვა ქალბატონები კი თავიანთ აპარტამენტებში მიირთმევდნენ მხლებლებთან ერთად.

რამაზანის პირველ ღამეს მთელ სასახლეში ლოცვისთვის საჭირო ხალიჩები იშლებოდა. მარხვის დაწყებამდე ყველა ლოცულობდა. ზოგჯერ ჩვენი ბატონის ნებართვით, საჭურისებს მისი უდიდებულესობა ქალბატონის სასახლის ქვედა სართულზე, დიდ მისალებში, სამი ტკბილხმიანი მუეძინი მოჰყავდათ. მათ გალობას ჩვენზედა სართულიდან ვისმენდით.

ღამით კარგები იხსნებოდა, საჭურისებს კვლავ საჭმელი მოჰქონდათ ლანგრებით, სუფრები იშლებოდა. ზარბაზნების გასროლამდე ყველა ფეხზე იდგა. ჭამის დასრულების შემდეგ კვლავ მარხვის დაწყების სიგნალი გაისმოდა და ყველა მოსასვერებლად მიდიოდა.

რამაზანის მეთხუთმეტე დღეს ჰირქაი საადეთის<sup>1</sup> სამყოფელს მოვინახულებდით. იმის გამო, რომ ჰირკაი საადეთი თოფქაფის სასახლეში ინახებოდა, ადრე ვდგებოდით, ოფიციალურ ტანისამოსს ვიცვამდით, ორდენებსა და სამკაულებს ვიკეთებდით და ყველა ერთად მივდიოდით. ჯერ მისი უდიდებულესობა ქალბატონის ეტლი, შემდგომ სხვა ქალბატონებისა და ამალის ეტლები რიგრიგობით გადიოდნენ ილდიზის სასახლიდან და თოფქაფის სასახლისაკენ იღებდნენ გეზს.

იქ მისულებს თოფქაფის ჰარამხანის მსახურები გვხვდებოდნენ და ნინასწარ მომზადებულ ოთახებში მივყავდით. რადგან ჩვენ, სეფექალები, მუდამ მისი უდიდებულესობა ქალბატონის გვერდით ვიმყოფებოდით, პირველები ვიყავით, ვინც მას ულოცავდა. შემდეგ სულთნის ასულები, სასახლის ვეზირები და ჰარამხანის დანარჩენი ქალები ულოცავდნენ.

ამის შემდეგ ჰირქაი შერიფის<sup>2</sup> გახსნას ელოდნენ. ჰირქაი შერიფის გახსნას მთავარი მომუსაიფე ანბერ აღა გვამცნობდა, ქალბატონი დგებოდა და ოთახისკენ ყველანი ერთად მივდიოდით. სულთანი ამ ოთახში გვხვდებოდა. ლამაზ ტახტზე იჯდა, ჩვენ რიგრიგობით ხელზე ვეამბორებოდით, ფადიშაპის გამონვდილ დესთმალი

1 *Hirka-i Saadet* (წმინდა ჰირქა) – ნინასწარმეტყველ მუჰამედის მოსასხამი (გამ. შენ).

2 *Hirka-i Şerif* (წმინდა ჰირქა) იგივეა, რაც *Hirka-i Saadet* (გამ. შენ).

შერიფს<sup>1</sup> ვკოცნიდით, თავზე ვიდებდით და ნელ-ნელა უკან ვიხევდით. რა თქმა უნდა, მისი უდიდებულესობა ქალბატონი ყოველთვის წინ იდგა. ჩვენ, სეფექალები, ქალბატონების, უფლისწულებისა და ფადიშაპების ცოლების შემდეგ მივდიოდით. ჩვენ შემდეგ შეიპულ-ისლამის და სასახლის ვეზირების ცოლები შედიოდნენ ოთახში და იმავე რიტუალს იმეორებდნენ. ცერემონიის დამთავრებისთანავე ილდიზის სასახლეში ვბრუნდებოდით.



ძმები აბდულაჰები. ბიჭი აბდულჰამიდ II-ის ჰარემიდან

<sup>1</sup> *Destmal-i Şerifi* – ნმინდა ხელსახოცი. რამაზანის მარხვის მე-15 დღეს ისსნება ვერცხლის ყუთი, რომელშიც მოთავსებულია მუპამედის მოსახამი. ყუთს ხსნიან და ნმინდა მოსახამს ხელსახოცებს ახებენ (გამ. შენ.).



სერგეი პროკუდინ-გორსკი. სოხუმი, 1912

სასახლიდან  
გადასახლებისკენ  
IV თავი | მიმავალი გზა

„მთელი იმპერია უბედურების მორევში გაეხვია...  
ჩვენს მომავალ ზე ფიქრიც კი არ მინდა...“

ლეილა აჩას დისადმი მიწერილი წერილიდან



ლეილა აჩბა-ანჩაბაძე

## მუსტაფა ქემალ ფაშას ანატოლიაში გამგზავრება

ბალკანეთის ომში მტრებმა ჩვენი ლამაზი სახელმწიფო ხელში ჩაიგდეს და მინასთან გაასწორეს. თითქოს ეს უცხო ხალხი ცდილობდა, დამარცხებისთვის სამაგიერო გადაეხადა ჩვენთვის. იმდენად ულმობელნი და სასტიკი იყვნენ, რომ აკვის ბავშვებსაც კი არ ინდობდნენ. მინა სისხლისფრად შეიღება.

ამ შემაძრნუნებელი ომის შუაგულში, ანატოლიის ერთ გაუდაბნოებულ დასახლებაში სულთნის ყოფილმა ოფიცერმა მუსტაფა ქემალ ფაშამ თურქეთის პარლამენტი დააარსა. ამ საქციელით მუსტაფა ქემალი ჩვენი ბატონის წინააღმდეგ გამოვიდა. მოგითხოვთ იმის შესახებ, თუ როგორ გაამგზავრა სულთანმა ქემალ ფაშა ანატოლიაში.

თუ სწორად მახსოვს, 1919 წლის 15 მაისი იყო. ბოლო რამდენიმე კვირა სასახლეში საოცარი სიმშვიდე და სიწყნარე სუფევდა. თითქოს იგრძნობოდა, რომ თავს რაღაც უნდა დაგვტყდომოდა. სიმართლე რომ ვთქვათ, მნიშვნელოვანი ამბების დატრიალებამდე ცოტა ხნით ადრე უცნაური დაძაბულობა იგრძნობოდა. იმავეს ვგრძნობდით მუსტაფა ქემალის ანატოლიაში გამგზავრებამდეც.

ჩვენმა ბატონმა მუსტაფა ქემალის ანატოლიაში გაგზავნის იდეა ოჯახის რამდენიმე სანდო წევრს გაუზიარა. ბატონი სამი შეეცადა სულთანი გადაერწმუნებინა, მაგრამ ჩვენმა ბატონმა ქემალ ფაშას ანატოლიაში გაგზავნა დაიიუინა.

ფაშა სასახლეში მიიწვიეს. იგი სულთნის წინაშე წარდგა. სულთანმა მას ანატოლიაში წასვლა და ჩვენი მიზების მტრისგან განთავისუფლება უბრძანა. იმ დღეს მომხდარი ამბების გარკვეული ნაწილის მოწმე მეც გახლდით.

მის უდიდებულესობა ქალბატონთან და შაჰესერთან ერთად მალთას სასახლეში წასასვლელად ვემზადებოდით.

ქალბატონმა მითხვა – ლეილა, ქვემოთ ჩადით და უთხარით, ეტლი კართან მოაყენონ.

მაშინვე ჩავირპინე. უფროს მსახურს, მელექნურს, ქალბატონის ბრძანება გადავეცი და ზევით ავდიოდი, როცა კიბეზე ორი მსახურის საუბარს მოვკარი ყური.



ათათურქი

— გუვერნანტთაგან ერთ-ერთს მუსტაფა ქემალ ფაშა უნახავს, სულთნის ოთახიდან გამოდიოდა, — ამბობდა ერთი.

— სულთანს წვევია, ალბათ, მორიგი საიდუმლო შეხვედრა იყო, თქვა მეორემ.


ჩემს მსახურთაგან ერთ-ერთი ამ ჭორებს ქალბატონს მოახსენებდა. როცა ქალბატონის ოთახში შევედი, ქალბატონი შაპესერი იქ არ დამხვდა. მამნვე გაგონილი ამბავი მოვყევი. ქალბატონი ცოტა ხანს დაფიქრდა და შემდეგ მითხრა: იცოდე, არავის უთხრა, ის მსახურები ისედაც მთელ სასახლეს მოსდებენ ამ ამბავსო.

ფაშა იმ დღეს სულთანს ნამდვილად შეხვდა. საიდუმლო აუდიუნციისას ზუსტად რაზე ისაუბრეს, სამწუხაროდ, არ ვიცი. სულთანს ამ შეხვედრის შესახებ არავისთან უსაუბრია. ერთადერთხელ, ერთ საღამოს, ქალბატონთან ერთად ვახშმობისას ჩაფიქრდა, ქალბატონმა ეს შეამჩნია და ჩაეძია: ჩემო ბატონო, ვახშამი არ მოგეწონათ თუ რაიმე განუხებოთ. სულთანმა თავი გააქნია და უპასუხა — ერთ ადამიანს დავალება მივეცი და მასზე ვფიქრობო... შემდეგ სათქმელი გაწყვიტა და ვახშმობა განაგრძო.

ამ სიტყვებში ვინ უნდა ეგულისხმა?!

\* \* \*

1919 წლის 17 მაისს მუსტაფა ქემალი მალულად გემში ჩასვეს და ანატოლიისკენ გაამგზავრეს.



ბრიტანელები კონსტანტინოპოლში

იმისთვის, რომ მუსტაფა ქემალს სიძნელები არ შეხვედროდა, სულთანმა მას რვა ათასი ინგლისური სტერლინგი მისცა. თუმცა, ეს ფული სამსუნში ჩასვლამდე გაქრა. ფულს რა დაემართა, სამწუხაროდ, არ ვიცი. ეს ინციდენტი სასახლეში დიდი ხნის განმავლობაში იყო მითქმა-მოთქმის საგანი. ზოგიერთი ჭორის მიხედვით სულთანს ფაშასთვის სამოცი ათასი, ზოგის აზრით კი, ორმოცი ათასი მიუცია. მე თუ მკითხავთ, შეუძლებელი იყო სულთანს ფაშასთვის ხაზინიდან ფული მიეცა. ომითა და კრიზისით გარშემორტყმულ მონარქს ფული ძნელად მოეპოვებოდა. ამით იმის თქმა მინდა, რომ მუსტაფა ქემალს რვა ათასი სტერლინგი სულთანმა საკუთარი ჯიბიდან უწყალობა. სამწუხაროდ, ეს სიკეთე აღარ დაუფასდა.

## ტკივილი და ტანკება

1921 წლის მარტი უბედურებებით სავსე თვე იყო. განსაკუთრებით სასახლეში მცხოვრები ქალებისთვის დაიწყო მძიმე დღეები, რადგან ადაფაზარის, იზმითის მსგავსი ქალაქები, სადაც მოსამსახურეების ოჯახები ცხოვრობდნენ, ბერძნებმა დაიპყრეს. ბევრი კავკასიელი ასულის ოჯახი ამ თავდასხმის დროს დაიღუპა.



პერძენი ჯარისკაცები იზმირში (სმირნაში)

ილდიზის სასახლეში გოვონებთან ყოველდღე მოდიოდა ცნობა მამების, დედების, ძმებისა და დების გარდაცვალების შესახებ. უპატ-რონოდ დარჩენილი მსახურები მაღლე ერთადერთ თავშესაფარს – სა-სახლესაც დაჰკარგავდნენ.

მტერი შეუბრალებლად აგრძელებდა ანატოლიაზე თავდასხმას, მიწასთან ასწორებდნენ ლამაზ ქალაქებს, ჩვენ კი, ხელფეხშეკრულებს, ისლა დაგვრჩენოდა, შორიდან გვედევნებინა თვალი.

მის უდიდებულესობას არაფრის გაკეთება არ შეეძლო. ინგლის-ელები მოქმედების საშუალებას არ აძლევდნენ. სულთანი მტრის წინააღმდეგ რომ ამოქმედებულიყო, სტამბულს დაარბევდნენ და უდანაშაულო ხალხს უმოწყალოდ ამოხოცავდნენ.

მერასიმის სასახლის ფანჯრებიდან დოლმაბაჟჩეს სასახლის წინ ღუზაჩაშვებული საბრძოლო გემები მოჩანდა. ამიტომაც ქალბატონი ფანჯრიდან საერთოდ არ იხედებოდა. გადაწიეთ ეს ფარდა, მათი დანახვაც არ მინდაო, იტყოდა.

ამ მიზეზით მთელი დღე ფარდები ჩამოფარებული იყო. ოთახებს სანთლით ვანათებდით. სიბნელე ყველაზე მეტად ქალბატონის საყვარელ მამუნს აწუხებდა, ვერაფრით შეეჩვია. ცხოველის გარდაცვალების მიზეზიც სწორედ სიბნელე გახდა.

ოსმალო ხალხის სასონარკვეთილება ყოველდღე იზრდებოდა. ზათი შაჰან<sup>1</sup> ძალან წუხდა, მაგრამ არაფრის გაეცება შეეძლო. ერთადერთ იმედად ანატოლიაში მებრძოლ მეომართა ჯგუფი რჩებოდა. მთელი გულითა და გონიებით გვჯეროდა, რომ მხოლოდ მათ შეეძლოთ მტრისგან ჩვენი დახსნა.

## სულთან ულვიეს განქორწინება

სულთნის უფროსი ქალიშვილი, ქალბატონი ულვიე, კარგი ხასიათის, თბილი და სასიამოვნო გარეგნობის ასული იყო.

მისი მეუღლე, ბატონი ისმაილ ჰაქი სადრაზამ თევფიქ ფაშას ვაჟი იყო. ამბობდნენ, რომ ბედნიერი ქორნინება ჰქონდათ. მაგრამ შიგნით რა ხდებოდა, ამის გამოცნობა შეუძლებელია. ერთ დღეს ქალბატონი ულვიე ტირილით მივიდა დედამისითან. ქმართან უკამათია, უსიამოვნება იმ დონემდე მისულა, რომ მეუღლემ მასთან ერთად საწოლში დაძინებაზე უარი თქვა. ქალბატონი ძალიან დამწუხრდა. შეეცადა, სიძესა და ქალიშვილს შორის ურთიერთობა გამოესწორებინა, მაგრამ მისი მცდელობა წარუმატებლად დამთავრდა. შემდგომში ჩარევა არც უცდია.

1922 წლის 28 იანვარს მთელი სასახლე შეიძრა. როგორც ამბობდნენ, ბატონი ისმაილი ანკარაში ისე წასულა, რომ არავისთვის არაფერი უთქვამს.

სასახლის ასაკოვანი ხალხი ერთხმად ამბობდა, ჩვენი სიძეც თუ მოღალატე ალმოჩნდა, ალარავის ვენდობითო.

ქალბატონი ულვიე მწუხარებისგან უგონიდ იყო. მაგრამ ყველაზე მეტად გული სულთანს გაუტყდა, რადგან ისმაილ ჰალიან უყვარდა და ენდობოდა. მან კი თავისი წასვლით ყველაფერი ერთ წამში გაანადგურა.

ცნობისმოყვარეთა თვალი ქალბატონი ულვიესკენ იყო მიმართული. აინტერესებდათ, გამოიყენებდა თუ არა იგი „ისმეთის უფლებას“<sup>2</sup>.

მაგრამ ლამაზმა სულთანმა ეს უფლება არ გამოიყენა. დიდი ხნის ლოდინის შემდეგ ბატონი ისმაილი იმამის თანდასწრებით გაეყარა ცოლს. ბატონი ისმაილის წასვლიდან ხუთი თვის შემდეგ განქორწინდნენ. ქალბატონმა ულვიემ ერთ დღეს ქალბატონ ბაილ-

1 Zat-i Sahane – მისი უდიდებულესობა, ასე უწოდებდნენ სულთანს (გამ. შენ.).

2 ისმეთის უფლება: ოსმალო პრინცესებს ქორნინების ანულირების უფლება ჰქონდათ. მათ ამ უფლებას სახელმწიფო ანიჭებდა (გამ. შენ.).



سულთნის ასული ულვიე

ას გაუმხილა, თუ რატომ ელოდა იგი ქმარს ამდენი ხანი. ბაილამ კი მიმახვედრა – ჩვენი ხელმწიფე მოთმინებით ელოდა, იმედი არ და-უკარგავსო.

არ იქნება მართებული იმის დაწერა, რაც მე ქალბატონი ბაილას სიტყვებიდან გავიგე, თან არ მინდა, არასწორად ვთქვა რამე.

ქალბატონმა ულვიემ განქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ მე-ორედ იქორწინა. ამ ამბავსაც აუცილებლად მოგითხრობთ.

## იმპერიის ბოლო დღეები

ხანგრძლივი და დაუმთავრებელი ომებისგან მხოლოდ მიწასთან გასწორებული დიდი ქალაქები, გაღარიბებული და შიმშილისაგან დატანჯული ხალხი და შეუმშრალი ცრემლები დარჩა.

იმპერიის კაშაშა ვარსკვლავი ნელ-ნელა ჩაქრა. დიდებული ოსმალეთის სახელმწიფო სასიკვდილოდ იყო განწირული. ყოველ წამს ახალ განცხადებას, ახალ ამბავს ველოდით ანკარიდან. სულში გაჩენილი სიცარიელე შეუბრალებლად გვლობნიდა. ხვალ რა მო-ხდება? ჩვენებს რა დაემართება? – დაუსრულებელი შეკითხვები გონებას არ ასვენებდა. ამასობაში განმათავისუფლებელი ომებიც დასრულდა.



ვაჰაშვილის გამოსვლა სასახლიდან

1922 წლის 9 სექტემბერს ქალაქი იზმირი ბერძნების ჩაგვრისგან განთავისუფლდა. დიდი ხნის შემდეგ ისევ აფრიალდა მშვიდობის დროშები.

თურქმა ხალხმა გმირულად იბრძოლა, მტერი დაამარცხა და სამშობლო გადაარჩინა. მაგრამ ათიათასობით ადამიანი დაიღუპა და ბევრი სისხლი დაიღვარა. ანკარის მთავრობა სირთულეების მიზეზის ძიებას შეუდგა. პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმე სულთანს დაეკისრა. მეტიც, იგი ქვეყნის მოღალატედ გამოაცხადეს.

„ვაჰაშვილისგან გაიწმინდოს!“ – სიძულვილით სავსე ხმებმა სასახლემდე მიაღწია. შეშინებული ვიყავით. მართალია, ჩვენი დღეები დათვლილი იყო, მაგრამ ისტორიაში ოსმალეთის იმპერიასთან ერთად შევიდოდით, ცხოვრების ქარტებილებაც თავაწეული გავივლიდით და როგორც ნამდვილი ოსმალო, ღირსეულად წავიდოდით.

1922 წლის 18 სექტემბერს ანატოლია ბერძნებისგან გაიწმინდა. თურქეთის არმია სწრაფად მიიწევდა წინ. სასახლეში მღელვარება დაიწყო. წლების განმავლობაში ნანატრ მშვიდობას მივაღწიეთ, სისარულის ცრემლები იღვირებოდა.

11 ოქტომბერს ახალი მთავრობის წევრებმა მუდანიას კონფერენციაზე ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს. ღმერთს მადლობა, რომ ომი დასრულდა... მაგრამ ინგლისელებს ჯერ კიდევ არ დაეტოვებინათ სტამბული. მათი დარჩენის მიზეზი 18 ნოემბერს გამოაშკარავდა.



რეფერ ფაშა

\* \* \*

ანკარის მთავრობას დიდი ხნის წინ ჰქონდა გადაწყვეტილი სულთანათის გაუქმება. 1 ნოემბერს ექვსას წელზე მეტ ხანს არსებული ოსმალეთის იმპერია ისტორიას ჩაბარდა. ანკარის მთავრობამ სულთნისათვის ამ საშინელი ამბის გამხელა რეფერ ფაშას დაავალა. არმიასთან ერთად სამშობლოში დაბრუნებულ ფაშას დროშებით მორთულ სტამბულის ქუჩებში ხალხი შეძახილებით დახვდა.

რეფერ ფაშა წვეულებით კარგად დატყბა და შემდეგ ვაპიდედდინს ესტუმრა. ჰუმაიუნის ჰარამხანის ქალები აბობოქრდნენ. გვაინტერესებდა, ფაშამ ანკარიდან რა ამბავი ჩამოიტანა. ქალბატონი სიტუაციის განმუშტვას ცდილობდა. დამშვიდდით, სასიკეთო ამბავი იქნება, სხვა რა უნდა იყოსო, ამბობდა.

ნახევარი საათი გავიდა... ქალბატონის ბრძანებით ბაილას წიგნი აეღო და ჩვენების დასამშვიდებლად სტამბულის აღების ამბავს კითხულობდა. ამ დროს კარი გაიღო, მსახური დილრუბა შემოვარდა და ჰაირედინ ალა მოდისო, დაიყვირა.

გოგონას უკან მომუსაიფე შემოჰყვა, ქალბატონს მიესალმა და აკანკალებული ხმით წარმოსთქვა: „ჩემი ბატონო, ასახსნელად ძნელია, მავრამ ანკარის მეჯლისმა სულთანათი გააუქმა!“

ადგილზე გავშემდით. ქალბატონი სავარძელში ჩაჯდა და ღრმად ამოიხრა. ოთახში მყოფმა ქალბატონმა შემსინურმა ესღა თქვა – ამას ჩემი გული ვერ გაუძლებსო და მართლაც, გონება დაკარგა.



სალიფატის გაუქმება

L'Assemblée d'Angora poursuit l'œuvre d'évolution de la Turquie. Après avoir proclamé la République et exilé le sultan, elle vient de rompre les derniers liens avec le passé. Abdul Medjid, qui, en qualité de calife, représentait la tradition religieuse à la tête des Ottomans, a reçu notification de sa déchéance et est parti pour l'étranger avec les princes et princesses de sa famille.

ამის შემდეგ სასახლეში ტირილი და გონების დაკარგვა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. მეც ბევრჯერ დავიღვარე ცრემლად, მაგრამ სხვა რისი გაკეთება შემეძლო?!

ყველაზე მტკიცედ მყოფმა მისმა უდიდებულესობა ქალბატონმა მართლაც ისტორიული სიტყვები წარმოთქვა: „მართალია, იმპერია დავკარგეთ, მაგრამ ღირსება უნდა შევინარჩუნოთ“.

## გატაცება თუ ლალატი?!

სასახლე სამარისებულრ სიჩუმეს მოეცვა. გარეთ წოემბრის ცივი ქარი ქროდა. ჩვენ, მართალია, ბუხრის წინ ვისხედით, მაგრამ სიცივისგან ვიყინებოდით. გატეხილ გულებსა და სხეულებს შეგრძნების უნარი დაეკარგათ. ისინი კი წარმატებას ზეიმობდნენ, ძელ წყობას, წესრიგს დასცინოდნენ.

სულთანი ძალიან წუხდა. ნუგეშს ბოლო მეულლეში, ქალბატონ ნევზადში პოულობდა. ამ ფაქტმა ქალბატონი ნევვარე ძალიან გა-

# Der Umsturz in der Türkei.



Refet Pacha, der Führer der kemalistischen Truppen (In der Mitte der Gruppe), nimmt Besitz von Konstantinopel und verkündet unter ungeheurem Jubel der Bevölkerung die Abdication des Sultans Mehmed VI.

რეფერენტ ფაშა სულთანათის გაუქმების შემდეგ ხელისუფლებას იღებს კონსტანტინოპოლისი

აბრაზა. სიბრაზისგან ლარნაკები მიწაზე დაახეთქა, დაამსხვრია და თან გაჰყვიროდა: „რატომ მიდის იმ უბედურთან, განა ჩვენ მისი ცოლები არა ვართ? რა იპოვა იმ ქალში, ვერ გამიგია?!“

ქალბატონი ნევვარქს დედამ, ქალბატონმა ჰაფიზებ, ქალიშვილი ძლიგს დაამშვიდა. ბოლოს დაღლილ ნევვარქს გული შეულონდა.

ჩვენი ბატონი კი ქალბატონი ნევზადის ოთახიდან ერთ ხანს საერთოდ არ გამოსულა. ოთახში არავის უშვებდა. თხუთმეტი დღის განმავლობაში მეუღლეს არ მოშორებია.

15 ნოემბერს, საღამოს ექვს საათზე, ხაზინადარი მისლიედა ქალბატონთან შევიდა და განუცხადა, რომ სულთანთან ნასულიყო.

როცა დედოფალი უკან დაბრუნდა, მე, რუმეისას, შაჰინდეს, შაჰჰესერს, მელექნურს მოგვიხმო და მეტად სევდიანი და მწარე ამპავი შეგვატყობინა.

– ჩვენი ბატონი გარკვეული ხნით საზღვარგარეთ წავა. ამ პარასკევის სანდო მსახურებთან ერთად გზას დაადგება. ამიტომ დიდი პასუხისმგებლობა გვეკისრება. სულთნის უკან დაბრუნებამდე ერთმანეთს მხარში უნდა ამოვუდგეთ. იცოდეთ, რაც მე გითხარით, არავის ყურამდე მივიდეს, თორემ თავს უბედურება დაგვატყდება, – ეს თქვა ქალბატონმა, დივანზე ჩამოჯდა, სახეზე ხელები აიფარა და უხმოდ აქვითინდა.

ვაჰიდედდინმა წასვლის შესახებ თავის დებსა და მეუღლეებსაც გააგებინა. ეს ამბავი უფროს და მეორე ხაზინადარსაც გაანდო. ქალბატონი ჯენანიარი ძალიან დამწუხერდა, ბატონს ფეხებში ჩაუვარდა და მეც წამიყვანეთო, სთხოვა.

მაგრამ ვაჰიდედდინს თან არავის წაყვანა სურდა. მხოლოდ ბოლო ცოლზე, ქალბატონ ნევზადზე, ფიქრობდა, მაგრამ ეს ჩანაფიქრი სისრულეში არ მოუყვანია.

მოუთმენლად ველოდით 17 ნოემბრის მოსვლას. ეს დღეც დადგა. 16 ნოემბრის ღამეს სულთანი მერასიმის სასახლეში მაღალი სართულის ერთ-ერთ დარბაზში უფლისწულ ერთულრულთან, მთავარ ექიმ რეშად ფაშასა და მომუსაიფე ჰაირედინთან ერთად გათენებას ელოდა. ნეტავ, რას განიცდიდა წასვლის წინ? რა ტკივილსა და ტანჯვას გრძნობდა? ღმერთია მოწმე, რომ ცხოვრებაში არავინ მინახავს ისეთი, ვისაც თავისი ქვეყნა და ხალხი ჩეგნის ფადიშაპებზე მეტად უყვარდა. ჩეგნი ბატონებისთვის ჩვენ, უმნეო ხალხი, საკუთარ ძარლვებში მჩქეფარე სისხლზე უფრო მნიშვნელოვანი ვიყავით. თუმცა, ჩვენ ამას ვერ მივხვდით!

მისმა უდიდებულესობამ რეშად ფაშასა და ჰაირედინის დახმარებით უმნიშვნელოვანესი დოკუმენტაცია გაანადგურა. მმართველობის პერიოდის ამსახველი მთელი ისტორიული დოკუმენტაცია ბუხარში შეაგდო და დაწვა.

პატივცემული ქალბატონი და ჩვენ, მისი მხლებლები, ძალიან დაღლილი და შენუხებულნი, დიდ დარბაზში ვისხედით და ამ ამბის დასრულებას ველოდით. სულთნის წასვლა რომ გამოაშკარავებულიყო, რა დატრიალდებოდა? ყველას სიკვდილით დაგვსჯიდნენ? იზმითში ჟურნალისტ ალი ქემალის სასტიკი მკვლელობის შემდეგ ანკარის მთავრობისგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი.

ზუსტად შვიდის ნახევარი იყო. ზათი შაპანე დარბაზიდან გამოვიდა და თავის თანმხელებთან ერთად ქვევით ჩავიდა. იქ თავისივე შერჩეული სანდო მსახურები ელოდნენ. მაშინვე ფადიშაპს მიესალმნენ და ყველამ ერთად სასახლე დატოვა.

გარეთ კოკისპირულად წვიმდა. თითქოს სტამბული ოსმალეთის ბოლო მმართველს მისტიროდა.

ქალბატონი დარბაზში შევიდა და ფანჯრის წინ გაშეშდა. ჩვენ დედოფლის უკან დავდექით და ფანჯრიდან გავიხედეთ. ფადიშაპი



მეჰმედ VI ვაჰიდედდინი

სასახლის ბაღის კარისკენ გზას ფეხით მიუყვებოდა. მაგრამ ძლიერი წვიმის გამო ბევრს ვერაფერს ვხედავდით. ბოლოს ადამიანთა სილუეტები დაიკარგა და გაქრა.

ეალბატონს თვალები ცრემლებით აევსო. აკანკალებული ტუჩებით ამოიგმინა: ჩემო ბატონო, თქვენი მონა-მორჩილი ნაზიქედა შემოგევლოთ. თქვენ გარეშე მე რა უნდა ვაკეთოო.

სასახლეში ერთი ამბავი დატრიალდა. მთელი პარამხანა ცრემლად იღვრებოდა და მოთქვამდა.

ბატონის წასვლიდან ორი საათის შემდეგ ხაზინადარმა ბედიამ ჩემთან მოირჩინა და მითხრა, გთხოვთ, რუჭსარეს მიუსწარით, რაღაც მოხდა, საღ გონებაზე არ არისო.

მაშინვე ხაზინადართან ერთად რუჭსარეს ოთახისკენ გავიქეცი. ოთახში შესულს საბრალო რუჭსარე კედელთან ჩაცუცქული დამხვდა. თვალები ერთი ადგილისთვის გაეშტერებინა. მოვეხვიე, ცოტა შევანჯლრიე და ვკითხე: „რუჭსარე, ჩემო დაო, ეს რა დღეში ხარ?“

რუჭსარემ შეცვლილი ხმით თქვა, ფრენა მინდა, ფრენაო. ფეხზე წამოდგა და ფანჯრისკენ გაიქცა. ძლივს დავიჭირეთ და ძალით დავსვით სკამზე. ირგვლივ მდგომთ ექიმის მოყვანა დავავალე. რუჭსარე კი ისევ იმავეს გაიძახოდა – ჩემი ბატონი წავიდა, გაფრინდა, მეც უნდა გავფრინდეო.



სულთანი აბდულმეჯიდი ბიბლიოთეკაში

ბოლოს ექიმი მოვიდა, დამამშვიდებელი ნემსი გაუკეთა და თქვა, საავადმყოფოში უნდა დავაწვინოთ, მისი აქ გაჩერება არ შეიძლებაო.

ეტლი გამოვიდახეთ. ნახევრად გონიერი რუპესარე შიგ ჩავსვით. საბრალო გოგონა ჯერ საავადმყოფოში, შემდგომში მდგომარეობის გაუარესების გამო ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვანეს<sup>1</sup>.

მინდოდა, ჩემი ძმისა და რძლიისათვის რუპესარეს შესახებ მი-მეწერა, მაგრამ გადავიფიქრე. ჩემი ძმა თავის ოჯახთან ერთად სივასის მამულში დასახლებულიყო. ომის პირობებში ჩამოსვლას ვერ შეძლებდნენ, მათთვის მომხდარი ამბების გამხელა კარგი აზ-რი არ იყო.

ჩემი მეორე ძმა, ქემალედდინი, თავისი ცოლის ნათესავებთან ბელგრადში წავიდა, მამაჩემი კი სოფიაში, ჩვენს მამულში, გადავი-და. მხოლოდ ჩემი უფროსი და უმცროსი დები – ნურბანუ და ფერი-დე იყვნენ სტამბულში. ფერიდეს ძალიან უნდოდა ჩემთან სასახლ-ებში გადმოსვლა. ამ თემაზე ქალბატონს ვერ დაველაპარაკებოდი, რადგან შესაფერისი სიტუაცია არ იყო. სულთნის ნასვლიდან ოთხი დღის შემდეგ ქალბატონმა მოულოდნელად მკითხა:

– ლეილა, თქვენ ერთი დაუქორწინებელი და გყავდათ. სად არ-ის, ახლაც თქვენს უფროს დასთან ცხოვრობს?

1 ქალბატონი რუპესარე არ გამოჯანმრთელებულა. 1933 წელს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გარდაიცვალა.



უფლისწული ერთულრული და მუქბილე სულთანი

გაკვირებულმა მაშინვე უუპასუხე: „დიახ, ქალბატონო, კვლავ ჩემს დასთან ერთად ცხოვრობს“.

— თუ სურვილი აქვს, მოვიდეს აქ, კარგად ვიცი, რას ნიშნავს ოჯახ-ური სითბოსგან შორს ყოფნა. თან თქვენც დაგეხმარებათო, — მითხრა.

ძალიან გამიხარდა. ჩემს ძვირფას დას, ფერიდეს, მაშინვე გადავეცი ეს სასიხარულო ამბავი. იგი სასახლეში მსახურ დილრუბას ნაცვლად აიყვანეს.

\* \* \*

როგორ წაიყვანეს სულთანი ვაჟიდედდინი? როგორც შემდგომში შევიტყვეთ, მოვლენები შემდეგნაირად განვითარებულა:

სულთანს ანკარაში ჩამოყალიბებულ ახალ მთავრობასთან შენინააღმდეგება არ სურდა. ამ მიზეზითა და უკან დაბრუნების იმედით ინგლისელების დახმარებით სამშობლოდან წასვლა გადაწყვიტა.

ინგლისელები ჩვენი ტერიტორიების ხელში ჩაგდების შემდეგ სულთანზე გამუდმებულ ზენოლას ახდენდნენ. მისი ტახტიდან ჩამოგდება და მიწების მითვისება სურდათ. განსაკუთრებით ეშმაკისეული ლოიდ ჯორჯი და გენერალი ჰარინგტონი უთხრიდნენ მიწას.

ეს ჰარინგტონი ოფიცირებთან ერთად სასახლეში ხშირად და-დიოდა. ერთხელაც სულთანს დაემუქრა, მუსტაფა ქემალი უკან დააბრუნეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში სტამბულს გავანადგურ-ებთ, თქვენს ხალხს კი სომხებისა და ბერძნების ამარა დავტოვ-ებთო. იმედი ჰქონდა, რომ ამ სიტყვებით სულთნის დაყოლებას შეძლებდა.

მაგრამ სულთანმა ცივად უპასუხა: მუსტაფა ქემალი ჩემს სიტყ-ვას არ შეისმენს, თქვენც ხედავთ, რომ იმპერიის წინააღმდეგაც გა-მოდისონ და გენერალი გააჩუმა.

მსგავს ვითარებაში სხვა რა უნდა ექნა სულთანს?! ანატოლიაში რომ წასულიყო, მტერი ხალხს ამოულებტდა და სტამბულს გაანად-გურებდა. ანკარის მთავრობას კი სულთანათის გაუქმება ჰქონდა გადაწყვეტილი. რუსეთში მომხდარის მსგავსად, მოღალატეები სუ-ლთნის თავის გამო მთელ იმპერიას გაწირავდნენ. სხვა გამოსავალი არ იყო. უნდა წასულიყო. ამიტომ იძულებული გახდა, ინგლისელებ-ისთვის მიემართა.

სულთნისა და გენერალ ჰარინგტონის წერილების მიტან-მო-ტანა სასახლის ყველაზე უნესო, უპატივცემულო წევრს დაევალა. თითქოს ამ ორგული და უმაღური ადამიანის გარდა სასახლეში არ-ავინ მოიძებნებოდა. ეს ადამიანი სულთნის ყოფილი ცოლისძმა, ბა-ტონი ზექი<sup>1</sup>, ფულისა და ქალების მოყვარული კაცი გახლდათ. მან ჰარამხანის ერთ-ერთი გოგო შვილთან ერთად მიატოვა.

სწორედ ამ უზნეო ადამიანს დააკისრა ფადიშაპმა უმნიშვნელო-ვანესი მისია. სულთანი დარწმუნებული იყო, რომ ინგლისელები მის წინადადებას დათანხმდებოდნენ. მტერს დასაკარგი არაფერი ჰქონდა. ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში დამარცხე-ბულებს ისლა დარჩენოდათ, იქაურობას გასცლოდნენ. ამიტომაც სულთნის თხოვნას სიხარულით დაეთანხმნენ. სულთნის თან წა-ყვანა ინგლისელებისთვის სიზმარს ჰეგვდა. მაგრამ ისტორიაში მტრის გამტაცებლის სახელით შესვლა არ ისურვეს და ფადიშაპს სთხოვეს, მათვის თფიციალურად მიემართა. გამოუვალ მდგომა-რეობაში მყოფმა სულთანმა წერილი დაწერა და გენერალ ჰარინგ-ტონს კვლავ ბატონი ზექის ხელით გაუგზავნა.

ჰარინგტონი მაშინვე მოლბა, უცნაურად იქცეოდა, „მისი ბრწყინ-ვალება“ – გაიძახოდა და კატასავით ელაქუცებოდა.

წასვლის დღე დადგინეს და სამზადისს შეუდგნენ.

1 ბატონი ზექი (1885 – 1932) – სულთან ვაპიდედდინის ცოლისძმა და ქალბატონი ინშირაპის უფროსა ძმა. სულთანს გადასახლებაში თან გაპყვა. იქ გატარებული ნლების განმავლობაში სულთნის ფული ბოლო ყურუშმადე დახარჯა. 1932 წელს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.



ბატონი ზექი და მისი ვაჟი

მას შემდეგ რაც ვიცით: 17 ნოემბერს, დილით, ოსმალეთის იმპერიის ბოლო მმართველი დოლმაბაჰჩეს სასახლის წინ მდგომ საბრძოლო გეში „Malaya“ ჩაჯდა და სამშობლო დატოვა.

## ილდიზის სასახლესთან განშორება

სულთნის წასვლამ ანკარა ძალიან გაახარა. მათ წინაშე აღმართული ყველაზე დიდი ციტადელი თავისით ჩამოინგრა. ამის შემდეგ მუსტაფა ქემალი და მისი მთავრობის წევრები ყველაფრის გაკეთებას შეძლებდნენ.

ნარსულს ჩაბარდა ოსმალეთის იმპერია. იგი დაიშალა. მხოლოდ სახალიფო დატოვეს, რომელსაც სათავეში გამოცდილი ადამიანი უნდა ჩადგომოდა. კანდიდატურაზე დიდხანს არ უფიქრიათ. აბდულმეჯიდი რომ არ დაენიშნათ, სტამბოლში აუიოტაჟი ატყდებოდა. ამიტომაც სულთნის წასვლიდან მეორე დღეს ანკარამ ბატონი აბდულმეჯიდი აირჩია და ხალიფას ტიტული მიანიჭა.

ბატონი აბდულმეჯიდი დოლმაბაჰჩეს სასახლეში ცხოვრობდა. სასახლე, რომელიც უბრალო საცხოვრებელ ადგილს დამსავასებოდა, აბდულმეჯიდის ხალიფად არჩევის შემდეგ მთლიანად მოირთო და გალამაზდა. ოთახები და დარბაზები ძველებურად ბრწყინავდა.

მან პირველ რიგში ოსმანთა დინასტიის წარმომადგენლები დოლმაბაჰჩეს სასახლეში ვახშამზე დაპატიჟა. მსგავსი შევედრა ოსმალეთის ისტორიაში, სამწუხაროდ, პირველი და უკანასკნელი იყო.

ქალბატონს სურდა, მოწვევაზე ზრდილობიანად უარი ეთქვა, მაგრამ, შეჰსუვარის დაუინებული თხოვნით, იძულებული გახდა, წასულიყო. თან ხალიფა მისი სისხლით ნათესავი იყო. ამგვარად დეკემბრის ცივ საღამოს ჩვენ, სეფექალები, ქალბატონი მუვედდეთი და ნევვარე ეტლში ჩაგსხედით და დოლმაბაჰჩეს სასახლეში წავედით. როგორც ძველად, მსახურები შემოგვეგებნენ, ჰარამხანის დიდ დარბაზში მიგვიწვიეს. დარბაზი განკითხვის დღეს ჰგავდა. მთელი სასულთნოს წარმომადგენლები – ქალბატონები, უფლისწულები, მათი მეუღლეები – ყველანი იქ იყვნენ. მამაკაცები სხვა დარბაზში ვახშმობდნენ. ცხოვრებაში პირველად მომეცა საშუალება, გამეცნო ძველი და ახალი დროის ცნობილი ქალბატონები. განსაკუთრებით სულთან მურად V-ის ერთ-ერთმა ცოლმა, ქალბატონმა შაიანმა მომხიბლა. ასაკის მიუხედავად ძალიან ლამაზი და გონიერი ქალბატონი იყო. არაჩვეულებრივად საუბრობდა, ყველას განსაკუთრებული ზრდილობით ექცევოდა. ძალიან კარგად ვისაუბრეთ. მან თავისთან სასახლეში დამპატიჟა და, რა თქმა უნდა, მეც სიამოვნებით მივიღე მისი მიწვევა.

ვახშმის შემდეგ ილდიზში დავბრუნდით. ქალბატონი მოწყენილი და დაღვრემილი იყო. როცა სალონში მარტო დავრჩით, ქალბატონმა მოწყენილობის მიზეზი გამიმხილა.

– ნეტავ არ წავსულიყავი, მაგრამ ჩემი მოვალეობა შევასრულეო, – მითხრა და დასაძინებლად წავიდა.

18 ნოემბრის შემდეგ ანკარას ილდიზის სასახლის დაცლა ჰქონდა განზრახული. ყველა სასონარკვეთილებამ მოგვიცვა. რა მოხდებოდა, სად უნდა წავსულიყავით?.. უეცრად ქალბატონიც ავად გახდა. გრიპი შეეყარა, ბოლოს კი ბრონქიტით დაავადდა. საბრალო ლოგინიდან ვერ დგებოდა. სხვების მდგომარეობაც არ იყო სახარბიელო. მეორე ქალბატონი თავის ტკივილს, ქალბატონი ნევვარე კი კუჭის ტკივილს უჩიოდა. ჰარამხანის ექიმბაში მოდიოდა, წამლებს ასმევდა, მაგრამ ვერაფრით შეძლო მათი გამოჯანსალება.

ამასობაში ქალბატონი საბიჟა ხალიფას ჩვენს მომავალზე დაელაპარაკა. ხალიფამ დროებით ფერიეს სასახლეში გადასვლა ურჩია. სხვა გზა არ გვქონდა. ფერიეში უნდა გადაესულიყავით, რადგან ილდიზის დატოვება ოფიციალურად იყო ნაბრძანები.

სანამ ოთახს მოაწესრიგებდნენ, ქალბატონი ნაზიქედა ქალბატონ ულვიეს სასახლეში წავიდა. თან რუმეისა და შაჰინდე წაიყვანა. დანარჩენები კი ფერიეში გადავიდნენ.



სულთანი მეჟრად V

ილდიზის სასახლესთან განშორებისას რამდენი ცრემლი დაიღვარა, ვერ გადმოგცემთ. მაშინ, როცა ბრწყინვალე ოთახები და დარბაზები დავტოვეთ, როცა ჩვენს ზურგს უკან მძიმე რკინის კარები ჩარაზეს, ვიგრძენით, რომ ტკბილი და ლამაზი წუთები უკან დარჩა. წინ კი ტანჯვითა და წვალებით სავსე წლები გველოდა.

## ფერიეს სასახლე

ეტლი ფერიეს სასახლის წინ გაჩერდა. სასახლესთან ოთხი უცნობი ქალი შემოგვეგება და გაგვეცნო. წინ საშუალო ასაკის, ოდნავ მსუქანი ქალი მოუქდოდათ.

— ჩემი სახელია მაჰმურე, ფერიეს სასახლის მსახურთუხუცესი ვარ. ეს ვალდებულება ხალიფამ დამაკისრა, — თავისი თავი წარგვიდგინა და დასძინა, — შიგნით შედით, დრო არ დაკარგოთ, კარები მალე დაიკეტებაო.

საჩქაროდ ჩანთები ავიღეთ და შიგნით შევედით. ქალბატონი მაჰმურე უკან მოგვყვებოდა. ზედა სართულზე ერთად ავედით. პირველად ქალბატონის ოთახი გვაჩვენა. დედოფლის ოთახში შესულებს გაკვირვებისგან ენა ჩაგვივარდა. ოთახში ერთი საწოლისა და სკამის გარდა არაფერი მოიპოვებოდა.

– სხვა ნივთები სად არის? იკითხა ქალბატონმა მუცედდეთმა.

– მოიტანენ, მოთმინება იქნიეთ, – ამრეზილი სახით უპასუხა უფლებამოსილმა ქალმა. შემდეგ ოთახიდან სწრაფად გავიდა და სხვა ოთახებიც გვაწვენა.

უზარმაზარ სახლში ერთი კარადაც არ მოიძებნებოდა. ჩვენთვის განკუთვნილ ოთახებში არც საწოლები და არც ქვეშაგები არ იყო. ეს რას ნიშნავდა, იატაკზე უნდა დაგვეძინა? ქალბატონი ნევვარე განერვიულდა. ახლავე მოიტანოთ საჭირო ნივთებსო, მკაცრად თქვა.

ქალბატონმა მაჲმურემ მისი სიტყვები არაფრად ჩააგდო. ალბათ, გავიწყდებათ, რომ სასულთნო დაემხო, რაც გაქვთ, იმით უნდა გაიტანოთ თავით, უპასუხა.

ადგილზე გავმეშდით. სასონარკვეთილები ერთმანეთს შევცქეროდით. ბაილა წინ წადგა და ქალბატონი ნევვარე წარუდგინა: „თქვენ, ალბათ, არ იცით, ვის ესაუბრებით. თქვენ წინაშე სულთნის მეუღლე დგას“. ქალბატონმა მაჲმურემ წარბის შეუხრელად უპასუხა: „მსახური ხარ თუ ვინცა ხარ, ჭკუაზე მოდი. ეს სახელმწიფოს მიერ თქვენთვის გამოყოფილი სახლია. ილდიზის ან სხვა სასახლე ნუ გეგონებათ. რასაც ხედავთ, ერთი სამუალო დონის სახლია“. ამგვარი პასუხის შემდეგ ჩვენთვის ყველაფერი ცხადი გახდა.

ჩვენთვის, უფროსი ქალბატონის ჩათვლით, სამი დიდი დარბაზისგან შემდგარი ადგილი გამოყენეს. სეფექსალებისა და მსახურებისთვის ცალ-ცალკე ოთახები არ მიუციათ. იძულებული ვიყავით, ყველა ერთად დავწოლილიყავით. მხოლოდ მთავარ ხაზინადარს მისცეს პატარა ოთახი, მაგრამ ოთახში საწოლი არ იდგა. ქალბატონების ოთახში თითო საწოლი დადგეს, მათი მხლებლების ოთახებში სკამებიც კი არ დაუდგამთ. ილდიზიდან კაბები, სამეულები და ზოგიერთი პირადი ნივთები წამოვიდეთ. გვეგონა, დაგვჭირდებოდა. სამწუხაროდ, შევცდით.

საღამომდე ფეხზე ვიდექით. ბოლოს ორი საწოლი მოიტანეს. ერთი მთავარი ხაზინადარის, მეორე კი ქალბატონი შემსინურის ოთახში შეიტანეს. მოგვიანებით მოსულმა ულვიე და საბიჟამ თავიანთი თვალით იხილეს, თუ რა დღეში ვიყავით. მაშინვე მაჲმურეს დაელაპარაკნენ და უბრძანეს მდგომარეობის გამოსწორება, მაგრამ არაფერი შეცვლილა, მაჲმურემ არაფერი მოიმოქმედა.

იატაკზე ძვირფასი თავსაბურავების დაფენას არ მოვერიდეთ. უფრო მეტიც, ჩემი გრძელი და შლეიფიანი გამოსასვლელი კაბა, რომელსაც განსაკუთრებულ დღებში ვიცვამდი, ფარდის ნაცვლად ფანჯრებს ჩამოვაფარე, გემზე მყოფ ჯარისკაცებს რომ არ ეცქირათ ჩვენთვის.

საბრალო ქალბატონი 1922 წლის 28 დეკემბერს გადმოვიდა ფერიეს სასახლეში. მისი ოთახი საკუთარი ხელით დავასუფთავეთ მტვრისგან. ქალბატონს დიდი მოწინებით აჩვენეს ოთახი.



### ფერიეს სასახლე

ყოველდღე იატაკზე წოლისგან გვერდები გვტკიოდა. დღეები გადიოდა და ტკივილიც იმატებდა. კიდევ რამდენ კვირას გაგრძელდებოდა?

ერთ დღეს ქალბატონმა გვითხრა, თუ თქვენ იატაკზე წევხართ, მეც იატაკზე დავწევებიო. შევეცადეთ გადაგვერწმუნებინა, მაგრამ ამაოდ ჩვენთან ერთად წვებოდა და დგებოდა.

სახელწიფო კვების ხარჯებს არ ანაზღაურებდა, ამიტომაც შიმშილობასთანაც გვიწევდა გამკლავება. პირველად გავიგე, თუ რას ნიშნავს მშიერი ყოფნა.

როგორც ჩემთვის, ისე სასახლის ბევრი ქალისთვისაც უცხო იყო ეს შეგრძნება. ქალბატონ ბეზმინიგარს ორდღიანი შიმშილობის შემდევ გული წაუვიდა და ოთხი დღე გონს არ მოსულა. ბეზმინიგარის მსგავსად ბევრი სხვაც ვერ უძლებდა ამ ყოფას. იმ პერიოდში ქალბატონს თმები გაუჭალარავდა.

სასახლეში ერთი კვირის განმავლობაში საჭმელი არ მიგვიღია. როგორც შემდგომში შევიტყვეთ, სახელწიფო საზინა საჭმლის ხარჯებს ანაზღაურებდა, მაგრამ ქალბატონი მაჰმურეს ინტრიგების მსხვერპლი გავხდით. როგორც კი ეს ამბავი გამოაშკარავდა, მდგომარეობა მაშინვე გამოსწორდა. თუმცა, ქალბატონი მაჰმურე არ დაუთხოვიათ. სულ რომ არაფერი, ჩვენი მდგომარეობა ცოტათი მაინც გაუმჯობესდა. ნანილი საწოლებისა ორი დღის შემდეგ მოიტანეს. მაღლობა ღმერთს, რომ იატაკზე წოლა აღარ მოგვიწევდა.

ანბერ აღას დახმარებით ბაზარში ნაჭერი ვიყიდეთ, ფარდა შეკერეთ და კაბები ფანჯრიდან ჩამოვსენით. იმის გამო, რომ ხელფასები შეგვიწყვიტეს, შემორჩენილი ოქროებით გაგვქონდა თავი.

ადრე ნახშირისა და შეშის ხარჯებს ხაზინა გვინაზლაურებდა, ამიტომაც არ შეგვციებია, მაგრამ ახლანდელ პირობებს ახალგაზრდები დიდხანს ვერ გაუძლებდნენ. ქალბატონმა გადაწყვიტა, 20 წელზე ახალგაზრდა გოგონები სახლებში დაებრუნებინა. ამ ასაკის 15 გოგონა იყო სასახლეში. ქალბატონმა ისინი ერთად შეკრიბა და ვითარება გააცნო. ფერაპნაზი და ჩეშფანი მალევე დათანხმდნენ და იმავე დღეს დატოვეს სასახლე. რამდენიმე დღის შემდეგ ქალბატონი მისლიერდა და პედია წავიდნენ. მათ შემდეგ ჩემთვის ძვირფასმა ადამიანებმა ბერჯესთემ და ნერმინემ დაგვტოვეს.

მათზე ცუდად არავინ ლაპარაკობდა. უფრო მეტიც, გვიხარიდა, რომ უფრო მშვიდ გარემოში შეძლებდნენ ცხოვრებას.

ორი თვის განმავლობაში სამოცი ადამიანიდან მხოლოდ ოცდაათი დავრჩით. ყველა თავისი საქმის კეთებას განაგრძობდა. მომავალში რა მოხდებოდა, არავინ იცოდა.

დღეს ვფიქრობ, თურმე იმ დროს რამდენი უანგარო ადამიანი ყოფილა. ახლა კი ქვეყანა უმაღური ადამიანებითაა სავსე.

## სასახლე კი არა, ციხე!

ფერიეს სასახლე სამი სართულისგან შედგებოდა. პირველ სართულზე ქალბატონი მაპმურე თავის ქვეშევრდომებთან ერთად ცხოვრობდა. შეორე სართულზე ქალბატონი ნაზიქედა და ჩვენ, სეფექალები, ვიყავით, ბოლო სართულზე კი ქალბატონი მუვედდეთი და სულთნის ხარჯები დაბინავდნენ.

ჩვენი გადასვლის პირველსავე დღიდან ფერიე პოლიციის მხრიდან მუდმივი კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა. არც გარეთ გასვლის უფლება გვქონდა და არც სტუმრის მიღება იყო ნებადართული. უფრო მეტიც, სასახლის ბაღში ფეხის დაფგმაც კი აგვეერძალა! ილდიზის სასახლის პარკში საათობით ვსეირნობდით, აქ კი უეცრად გალიაში გამომწყვდეული ჩიტივით მოვწყდით სამყაროს.

1 ფერიეს სასახლეში მხოლოდ სულთნის დეპს, ულვიესა და საბიპას, მათ შვილებს, მადამ ბურდუკოვას, ექიმ ირფან ბეისა და ლალად (უფლისწულების აღმზრდელის თანამდებობა სულთნის კარზე. გამ. შენ.) წოდებულ ჰარამხანის რამდენიმე აღას აგზავნიდნენ.

თებერვლის მეორე კვირას სტამბულის გუბერნატორმა სასახლის უსაფრთხოების უფროსად ბატონი შუქრუ დანიშნა. ეს პიროვნება დახმარების ნაცვლად ცხოვრებას გვირთულებდა. მისი მოსვლის მერე წერილის გაგზავნაც კი აიკრძალა. ციხეში მსჯავრდებულებსაც კი არ უშლიდნენ წერილების წერას! ხომ წარმოგიდგენიათ, ოჯახებს მონატრებული 30 სასოწარკვეთილი ქალისთვის მონატრების განქარვების ერთადერთი სამუალების წართმევა რაოდენ უსამართლო და უმოწყალო საქციელი იყო.

ქალბატონი მაჰმურე ალბანელი გახლდათ. ეს ულირსი ადამიანები იცავდნენ ფერიეს სასახლეს. მათგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი. თითქოს არ კმაროდა, რომ ცხოვრება ციხედ გვიქციეს, ქალბატონსა და სხვა დანარჩენ ქალებს უპატივცემულოდ ექცეოდნენ.

ერთ დღეს ფერიეს სასახლეს ქალბატონის ძველი მკერავი მადამ ფეგარა ესტუმრა. მაგრამ ბატონმა შუქრუმ შიგნით შესვლის ნება არ მისცა. ქალბატონი ამ ამბავმა ძალიან დაამწუხრა, ტირილით გადამეხვია და მითხრა: – ლეილა, გთხოვ მადამ ფეგარას მისწერე, რომ ძალიან ვწუხვარ.

– კეთილი, მაგრამ, ქალბატონო, წერილის დაწერა აკრძალულია. თან გაგზავნას როგორ მოვახერხებთ? – გაკვირვებულმა ვკითხე.

ქალბატონმა სანერი მაგიდის ფარული უჯრიდან კალამი და ფურცელი ამოილო და მომცა. ამჯერად უფრო გაკვირვებულმა ვიკითხე:

– ჩემი დედოფალო, ეს წერილი როგორ უნდა გავაგზავნო?

ქალბატონს გამოსავალი ნაპოვნი ჰქონდა. ხელი მაგრად მომიჭირა და მიპასუხა: „დღეს ჩემი შეილი მოვა. მას მივცეთ. კაბის ქვეშ დამალავს და ისე გაიტანსო“.

ნამდვილად კარგი აზრი იყო. მაშინვე დავჯექი და წერილი დაწერე, რომელიც ქალბატონ საბიჭას გადავეცი. მან კი სასახლიდან მალულად გაიტანა. თოხი დღის შემდეგ საბიჭამ მადამ ბურდოკოვასა და ფეგარას პასუხი მოუტანა ქალბატონს.

მხოლოდ ამგვარად შეგვეძლო გარე სამყაროსთან კონტაქტის დამყარება. ღმერთო, რა დღეში ჩავვარდით! მაგრამ ღმერთის მაინც მაღლობელი ვიყავით, რადგან უარესზე უარესი არ დაილევა.

დღეები გადიოდა და ჩვენი ცხოვრება პრიმიტიული ხდებოდა. იმის გამო, რომ არსად წასასვლელი არ ჰქონდა, ქალბატონი იძულებული იყო, მთელი დრო ერთ ოთახში გაეტარებინა. სეფექალების ხვედრიც არ იყო განსხვავებული. ყველას ერთად გვეღვიძა და გვერდინა. საწოლები საკმარისად არ გვეკონდა, ამიტომ ორ-ორად ან სამ-სამად ვიწერით. მე ჩემს დასთან, ფერიდესთან, ერთად მეძინა.

ფერიეს სასახლე ჩვენთვის სამგლოვიარო ადგილად იქცა. დილიდან საღამომდე ვტიროდით და მოვთქვამდით. სულთნისგან გა-

მოგზავნილი წერილები ქალბატონ ულვიესა და საბიჭას მოჰკონდათ. ჩვენი ბატონის კარგი ამბები გვახარებდა და ღიმილს გვგვრიდა. ამ წერილების წყალობით იმედის გრძნობა გვიპრუნდებოდა.

## ქალბატონი შემსინურის დალოცვა

ქალბატონი შემსინური ჩვენ შორის ყველაზე ხანდაზმული იყო. იგი 1850 წელს დაიბადა. მცირეწლოვანი შემსინური სასახლეს მიაბარეს. ის ქალბატონ ჯემილესთან ერთად გაიზარდა. ერთ დღეს სასახლეში ახალმოყვანილი ნაზიქედასა და მისი დამხმარისთვის ოსმალური წესების სწავლა დაავალეს. მას შემდეგ ქალბატონის ძიძა გახდა და გვერდიდან არ მოსცილებია. ბევრი ისტორიული მოვლენის მოწმე იყო, ცხოვრების დადებით და უარყოფით მხარეებს კარგად იცნობდა.

ეს გამოცდილი ქალბატონი ძალიან დაბერებულიყო. თუმცა, აზროვნების უნარი ბოლო წუთამდე არ დაუკარგავს. ყოველ ამბავს ზედმინებინით იხსენებდა და არავის სახელი არ ავიწყდებოდა. ბოლო დროს ფერიეს სასახლეში გადატანილი მძიმე დღეების შედეგად მძიმედ დაავადმყოფდა და ლოგინად ჩავარდა.

ქალბატონი ნაზიქედა ძალიან ნერვიულობდა. გამუდმებით მის მდგომარეობას კითხულობდა. ექიმი ირფანი ჰარამხანის ყველა ქალის, მათ შორის ქალბატონი შემსინურის, სამკურნალოდაც მოდიოდა. 21 ივლისის საღამოს ქალბატონი შემსინურის მონახულების შემდეგ ჩემთან შეხვედრის სურვილი გამოთქვა.

— ქალბატონო, ექიმს ლიბასისთვის უთქვამს, რომ თქვენი ნახვა სურს. მიიღებთ? — მკითხა მსახურმა ფერზანმა. ხელები ამიკანკალდა. ფერზანმა ეს შეამჩნია და მითხრა, სიკვდილი ღვთის ნებაა, ნუ დამწუხრდებით.

ლრმად ამოვისუნთქე და ექიმთან შეხვედრას აღელვებული დავთანხმდი.

ბატონი ირფანი ოთახში შემოვიდა და მოკლედ მომესალმა.

— ქალბატონო, მისი მდგომარეობა ძალიან მძიმეა. ყოველ წამს მზად უნდა იყოთ. დანარჩენი ღმერთს უნდა მივანდოთ. გთხოვთ, ჩემი სიტყვები მის უდიდებულესობას გადასცეთ, — მითხრა და ოთახიდან გავიდა. აღელვებული ბატონი ირფანის თვალებში ცრემლი შევნიშნე.

ქალბატონის ოთახში შევედი და მოულოდნელი ამბავი სიტყვა-სიტყვით გადავეცი. საბრალო კეთილმა დედოფალმა დარდისგან ტირილი დაიწყო. მის გვერდით მდგომ დილნაზსაც ცრემლები წასკდა.



სულთნის ცოლებისა და ჰარემის ქალბატონების უმრავლესობა დაკრძალულია იაპია ეფენდის სასაფლაოზე

ქალბატონი შემსინურის ოთახში დანაღვლიანებული შევედი. დილამდე ავადმყოფის ფეხებთან სკამზე მჯდომმა დავყავი.

დილით ცხრა საათზე ქალბატონმა მაჰმურე დაიბარა და უთხრა.

— ქალბატონი მაჰმურე, ჩევნ მძიმე ავადმყოფი გვყავს. ვფიქრობთ, მალე განუტევებს სულს. ჩემი თხოვნაა, დაკრძალვისთვის ყველაფერი მზად იყოს.

მაჰმურე უცებ დაიბნა. ალბათ, არც კი უფიქრია, მსგავსი შემთხვევის წინაშე თუ აღმოჩნდებოდა. პირველად თქვა, როგორც თქვენი იტყვით, ქალბატონოო და დარბაზიდან გავიდა.

როგორც ჩანს, ყველა ადამიანის გული, განურჩევლად კარგისა და ცუდისა, გარდაცვლილი ადამიანის წინაშე თანაგრძნობით ივ-სება. ღმერთმა დალოცოს მაჰმური ამ თვისებისთვის.

იმავე საღამოს ქალბატონი შემსინურის მდგომარეობა ძალიან დამძიმდა. სეფექალები ქალბატონთან ერთად დარბაზში ვისხედით და ვლოცულობდით, როცა აღელვებული ნალეზენი შემოვიდა და გვითხრა, იჩქარეთ, შემსინურ-უსტა მძიმედ არისო.

მაშინვე შემსინურის ოთახისკენ გავიქეცით. საბრალო ქალი ოფლსა და სისხლში ცურავდა. თვალები გაახილა. თავთან მდგომ ნაზიქედას ხელი მაგრად მოუჭირა, „ღმერთმა თქვენ და თქვენი მხლებლები უბედურებისაგან დაგითაროთ. დაე, ყველაფერი კარგად გქონდეთ“, — ეს სიტყვები უთხრა, თვალები დახუჭა და სული განუტევა.

თვალცრემლიანი ნეზაქედა ყურანის კითხვას განაგრძობდა.

ქალბატონი მოთქმით დაემხო მიცვალებულს.

ქალბატონმა ნევვარემ ზედა სართულიდან პირველმა მოირბინა. მიცვალებულის საწოლთან მივიდა, ჩაეჭიდა და ტირილი დაიწყო – ჩვენი მასწავლებელი აღარ არისო. ქალბატონი მუკედდეთი და ნევზადიც მოვიდნენ. ყველა გლოვობდა. იმ დროს კიდევ ერთხელ განვიცადეთ უფროსი მეგობრის დაკარგვის ტკივილი.

მეორე დღეს, დილით ადრე, დაკრძალვის ცერემონია მოეწყო. განბანვის რიტუალის შემდეგ იაპია ეფენდის სავანეში არსებულ სასაფლაოზე დამარხეს. ღმერთმა გაანათლოს მისი სული!

## რესპუბლიკის გამოცხადება

ანკარაში „დიდი ეროვნული კრება“ ჩამოყალიბდა. უდაბნოს შუაგულში არსებული ეს პატარა დაბა 1923 წლის 13 ოქტომბერს ქვეყნის დედაქალაქად გამოცხადდა და წარმატებასაც მიაღწია. დიდებულ სტამბულს კი სახელი და დიდება ჩამოერთვა.

ქვეყანაში დამყარდა რესპუბლიკური მმართველობა.

ცხადი იყო, რომ ეს მოხდებოდა. ბოლო რამდენიმე თვე მისი უდიდებულესობა ქალბატონი ხელფასს არ იღებდა. ვინ იცის, ეს ფული ვის ჯიბეში მიდიოდა! ვერც ერთ სახელმწიფო ინსტანციას ვერ მივმართავდით. გარე სამყაროსთან კავშირი განყვეტილი გვერდა.

ერთხელ ვცადე ჩვენი მდგომარეობა მაპტურეს თანაშემწისოვის, ფილიზისათვის, ამეხსანა. ვიფიქრე, რომ დახმარებას შეძლებდა, მაგრამ შევცდი. თქვენ საკმარისად გქონდათ ოქრო და ძვირფასეულობა, რა სწრაფად გიჭამიათო, თავხედურად მიპასუხა.

ადგილზე გავშეშდი, თვითონაც არ ესმოდა, რასაც ამბობდა. მე რისი გაკეთება შემეძლო. ოთახში ავედი და ტირილი დავიწყე.

იმავე საღამოს ქალბატონმა ყველანი დიდ დარბაზში შეგვკრიბა. დავსხედით, ცოტა ვისაუბრეთ. შემდეგ ქალბატონმა ბაილამწიგნი წაგვიკითხა, ძალიან სასიამოვნო ხმა ჰქონდა. ბაილას გულისყურით ვუსმენდით, როცა უეცრად ხმაური შემოგვესმა. ფანჯარასთან მივირბინეთ და შემაძრნუნებელი სურათი ვიხილეთ. ჯარისკაცები ქუჩაში გამოსულიყვნენ და რესპუბლიკის გამოცხადებას ულოცავდნენ ერთმანეთს. მუსტაფა ქემალ ფაშას გაუმარჯოსო, – გაიძახოდნე...

1 ქალბატონი შემსინური აფხაზთა წარჩინებული გვარის, ეშბას, წარმომადგენელი იყო.



სტამბული

— ოჰ, მონ დიეუ<sup>1</sup>, — თქვა ქალბატონმა დილფირიბმა და გონება დაკარგა. მის დასახმარებლად ერთ-ერთმა საჭურისმა მიირბინა.

ქალბატონმა ბრძანა, ფანჯრებს მოვშორებოდით. მაშინვე დავუბრუნდით ადგილებს. ერთხანს ჩუმად ვისხდით, მწუხარებისგან ერთმანეთსაც ვერ ვუყურებდით. მისი ბრწყინვალება ბაილას მიუბრუნდა და გთხოვთ, ნაიკითხეთო, უთხრა. ბაილამაც კითხვა განაგრძო. საბრალო ქალი შეუსვენებლივ ორი საათის განმავლობაში კითხულობდა. ბოლოს უხმოდ ავდექით და დასაძინებლად წავედით.

\* \* \*

რესპუბლიკის გამოცხადების პერიოდში ქალბატონი ულვიეს მეორე ქორწინებით ვიყავით დაკავებული. ულვიე ძალიან იყო დანაღვლიანებული. ქორწინებამდე ერთი დღით ადრე ფერიეს სასახლეში მოვიდა. სანამ ქალბატონს ეახლებოდა, მე გავესაუბრე. ცარიელ ოთახში შევიდა თუ არა, მაშინვე ტირილი დაიწყო. მის დამშვიდებას შევეცადე.

1 ღმერთო ჩემო (ფრანგ.).

— ქალბატონო, გთხოვთ ნუ ტირით-მეთქი, — ვუთხარი. ულვიე ცოტათი დამშვიდდა და მიპასუხა:

— ჩემო ლეილა, ხვალ ვქორწინდები, თან ეს ამბავი მოხდა. ხვალ თუ გამარჯვების ზეიმები გაიმართება, ჩვენებს სხვა მხარეს მოუწევთ დგომა. ჩვენი ბატონი რას იტყვის, ამას ჩემი გული ვერ გაუძლებს.

მართალიც იყო. ოსმალეთის იმპერია გაუქმდა, სულთანი უცხო მხარეში გადაიხვენა, მმართველობის ფორმად რესპუბლიკა გამოცხადდა. მსგავს სიტუაციაში ქორწინება ნამდვილად უადგილო იყო. მაგრამ თარიღი დიდი ხნის წინ ჰქონდათ დათვემული, ერთმანეთი უყვარდათ. ვიფიქრე, რომ ქორწინების გადადება კარგი არ იქნებოდა. სიტყვებს კარგად დავუკერდი და ისე ვუპასუხ:

— ჩემო ქალბატონო, სანამ ეს ამბები მოხდებოდა, ქორწილის დღე მანამ დანიშნეთ. თარიღის გადაწევა არც თქვენთვის და არც თქვენი მეუღლისთვის არ იქნება კარგი. იქნებ ვცდები, არ მინდა, უგუნური მოახლის სიტყვებს აყვეთ, ამ თემაზე ქალბატონს დაელაპარაკეთ. შემდეგ მუხლი მოვიყარე და ხელზე ვეამბორე.

ქალბატონმა ულვიემ ფეხზე წამომაყენა, გადამეხვია და მითხრა — ლეილა, თქვენ განათლებული და წარჩინებული ქალი ხართ, თქვენ მე ახლა იმედი ჩამისახეთ, ღმერთმა დაგლოცოთ! შემდეგ ქალბატონთან შესახვედრად გაემართა.

## სულთნის ასულ ულვიეს ქორწილი

დიდი ძალისხმევით მივალწიეთ ნიშანთაშის სასახლემდე. ამ წვეულებაზე არც ერთ ჩვენგანს განსაკუთრებულად არ გვეცვა, ყველანი უბრალო ტანსაცმლით ვიყავით. დიდი წვეულება არ გამართულა, მხოლოდ ოჯახის რამდენიმე ახლობელი ქალი, მისი უდიდებულესობა ქალბატონი, რუმეისა, შაჰინდე, შაჰესერი, ბაილა და მე დავვესარით.

ქორწილში ქალბატონი ულვიეს ხელისმომყიდის ვინაობამ გაგვაოცა. ეს იყო რეფერტ ფაშა. ადამიანი, რომელიც ზუსტად ერთი წლის წინ ესტუმრა სულთანს და იმპერიის გაუქმების შესახებ აცნობა.

ამ კაცის დანახვაზე შაჰინდემ მისი თანდასწრებით თქვა, ეს ის მოღალატე რეფერტი არ არისო. ფაშამ არ შეიმჩნია და გვერდით ჩაგვიარა. ბაილამ ჩამჩურჩულა: ნეტავ, მოწმედ რატომ აირჩიესო.

არ ვიცი-მეთქი, ვუპასუხე გაკვირვებულმა და ცერემონიის ცქერა განვაგრძე.

პატარა წვეულების შემდეგ მალევე დავბრუნდით ფერიეში. მოწყენილები და დაქანცულები დასასვენებლად დავიფანტეთ. ზუსტად

ამ დროს მაპმურემ ქალბატონს უთხრა – როცა თქვენი ბატონი შორსაა, რა გექორნილებათ. თუმცა, თქვენგან ყველაფერია მოსალოდნელი.

აშკარა იყო, რომ მისმა სიტყვებმა ქალბატონს გული ატყინა. თუმცა, მის უდიდებულესობას პასუხი არ გაუცია, უხმოდ ავიდა თავის ოთახში. შაჰესერმა თავი ვერ შეიკავა, ღმერთმა დაგწყვევლოთო, მაპმურეს უთხრა და სწრაფი ნაბიჯებით ჩაუარა. მაპმურე მაშინვე გაჩუმდა და თავის ოთახში ავიდა.

მე და რუმეისა ქალბატონის დამშვიდებას შევეცადეთ. ქალბატონმა გვითხრა: „ნუ დელავთ, არ დავმწუხრებულვარ. ეს საბრალო ქალი მეცოდება. მალე თავისი საქციელის გამო სინდისის ქენჯნას იგრძნობს, საკუთარ თავს თვითონვე აყენებს ზიანს“. იმსახურებსო, დასძინა რუმეისამ.

– ნუ იტყვით ამას, ისიც ამ ხალხის ნაწილია. მისთვის ვლოცულობ, ღმერთმა ის და მთელი ოსმალო ხალხი დაიფაროს, – თქვა ქალბატონმა ნაზიქედამ და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ნამდვილი დედოფალი იყო.

## ამბავი ქალბატონ შაჰესერზე

ქალბატონი ულვიეს ქორნინებიდან ზუსტად ორი კვირის შემდეგ ფერიეს სასახლეში კვლავ უბედურება დატრიალდა. ქალბატონის ერთ-ერთმა ერთგულმა სეფექალმა, თავადის ქალმა შაჰესერმა, სიცოცხლე თვითმევლელობით დაასრულა. საბრალო ადრეულ ასაკში გამოემშვიდობა წუთისოფელს.

14 ნოემბერს საღამოს ნერილი დაწერა და სასახლის ბალში გამავალი ფანჯრიდან გადახტა. ვერ გაუძლო ფერიეს გაუსაძლის ცხოვრებას, ქალბატონს მატერიალურად ვერ ეხმარებოდა და არ სურდა მას ტვირთად დასწოლოდა, ამიტომაც მოიკლა თავი.

როცა ეს ამბავი მოხდა, ქალბატონი დილნეზის ნერილის ტექსტს კარნახობდა, მე კი ხათირნევაზთან ერთად წიგნს ვკითხულობდი.

უეცრად ყვირილი გავიგეთ. ფანჯარასთან მივირბინეთ და გადავიხედეთ. თავადის ქალი შაჰესერი სისხლის გუბეში იწვა. მისი უდიდებულესობით დაწყებული ყველანი ეზოში ჩავედით. ბატონმა შუქრუმ წინააღმდეგობა გაგვინია, მაგრამ გზიდან ჩამოვიცილეთ და გარეთ გაუცვიდით.

ბოლოს მივედით იმ ადგილთან, სადაც შეჰესერი იწვა. ქალბატონი ტირილით დაემხო სეფექალს. ექიმს დაუძახეთ, სწრაფად მოვიდეს, კვდება, კვდებაო, დაიყვირა.



კონსტანტინოპოლი. გალათას სანაპირო

ყველა ტიროდა. იმის ნაცვლად, რომ დაგვხმარებოდა, ბატონი შუქრუ გაშეშებული ერთ ადგილზე იდგა. თითქოს მომაკვდავი პირველად ენახა. არადა, ამბობდნენ, რომ ფრონტის წინა ხაზზე იბრძოდა.

მელიქნურმა შუქრუს საყელოში ხელი ჩავლო და დაუყვირა: ექ-იმის დაუძახე, არ გესმის? წადი და მოყვანეო.

როგორც იქნა, კაცი გონს მოეგო. გაიქცა და ექიმი ირთანი მო-აყვანინა. სამწუხაროდ, ექიმის მოსვლამდე შაჰესერი გარდაიცვალა.

შაჰესერის ლამაზი და გაბრწყინებული სახე სისხლში იყო ამოს-ვრილი. ოქროსფერი თმები გაჭალარავებოდა, საბრალომ ლურჯი თვალები, რომელთა სილამაზეზეც ასობით სტრიქონი დაიწერებოდა, უკანასკნელად გაახილა, აკანკალებული ბაგეებით წარმოთქმული ბოლო სიტყვებით ქალბატონ ნაზიქედას მიმართა – გთხოვთ, მაპატიეთ, ვეღარ გავუძღლიო და სული განუტევა.

სამხედროებმა ცხედარი შიგნით შეიტანეს. ქალბატონი ოთახში დილამდე იჯდა. არავის გასაუბრებია, ლაპარაკის ძალა აღარ ჰქონდა.

ქალბატონი ბაილა ყველაზე გამძლე აღმოჩნდა. მოლა უნდა მოვიყვანოთ, საბრალოს ისე ვერ დავმარხავთო, თქვა. მართალიც იყო, მაგრამ რომელი მოლა გადაიხდიდა სულის მოსახსენებელს თვითმკვლელი ქალისთვის. ქალბატონი შაჰესერი უსამართლობის, ძალადობისა და ჩაგვრის მსხვერპლი გახლდათ. ჯერი მიცვალებულის განბანვაზე მიდგა. ჩვენ შორის ამ საქმის მცოდნე მხოლოდ ქალბატონი მელიქნური იყო. სულთნის მრავალი ახალგაზრდა

ასულისა და ვაჟის ცხედარი ჰყავდა გაპატიოსნებული. საბრალო ფეხზე ძლივს იდგა. მიუხედავად ამისა, ცხედარი დაბანა და სუ-დარაში გაახვია. მიცვალებული კუბოში ჩანვინეს და ორთაქოს მეჩეთში გადაასვენეს. იქ კი ერთმა დიდსულოვანმა მოლამ ნამაზი შეასრულა.

შაჰესერის თვითმკვლელობა მხოლოდ დასაწყისი იყო, ნამდვილი უბედურება წინ გველოდა.

## სასახლის ქალების დაფანტვა

ერთ დღეს, თუ არ ვცდები, 3 დეკემბერი იყო, მაჰმურე ქალბატონთან მივიდა და აცნობა, რომ სასახლის რამდენიმე ქალს სასწრაფოდ უნდა დაეტოვებინა ფერიე. მიზეზად სიდუხჭირე დაასახელა. ყველას შესანახად საკმარისი თანხები არ ყოფილა დარჩენილი.

ქალბატონმა მკაცრად განუცხადა უარი:

– შეუძლებელია. ამდენი ქალი სად ნავა? თავის დროზე ოჯახებმა ისინი ჩვენ ჩაგვაბარა. მათი მოვლა და მფარველობა ჩემი ვალია.

– ეს საკითხი მე არ მაინტერესებს, მათი მუცლების გასაძლომად ფული აღარ დარჩა, იძულებული არიან ნავიდნენ, – უპასუხა მოღუშულმა მაჰმურემ.

ნათქვამი შეასრულეს. ათი მსახური გარეთ გაუძახეს და ქუჩაში დატოვეს. აი ის, რაც ხდებოდა რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ. ამ ამბებზე ზოგიერთებმა თვალი დახუჭეს. მაგრამ ერთ დღეს ყველაფერს ფარდა აეხდება.

დალოცვილმა ულვიერ გაჭირვებულები იხსნა. ქალები თავის სასახლეში ნაიყვანა და სანამ ოჯახები წასაყვანად მოაკითხავდნენ, თავისთან ჰყავდა.

მოგითხობთ, რა მოხდა იმ დღეს, როცა გოგონები ფერიედან გააგდეს. ათი სააათი იყო. წასავლელად გამზადებული ქალები დიდ დარბაზში შეკრებილიყვნენ, ეტლის მოსვლას ელოდნენ.

ყველა ტიროდა, განსაკუთრებით პატარა ლიბასი დატანჯა ბედმა. მის გვერდით მყოფი თერჯანი გოგონას დასამშვიდებლად ტკბილ სიტყვებად იღვრებოდა. მაგრამ ასეთ დროს წარმოთქმული ყველა სიტყვა ფუჭი იყო.

მაჰმურე დარბაზში სწრაფი ნაბიჯით შემოვიდა და ეტლები მოვიდაო, გვამცნო. წამსვლელი ქალები კუთხეში მდგომ ქალბატონს ხელზე ეამბორებოდნენ და დარბაზიდან გადიოდნენ. ჯერი ლიბასზე მიდგა. საბრალო გოგო ქალბატონს ფეხებში ჩაუვარდა და ყვირილი

დაიწყო – ნუ მიმატოვებთ, არ მიმატოვოთო. მაჰმურემ მოირჩინა, გოგონას მკლავში ხელი ჩავლო და გარეთ გაიყვანა. საბრალო გოგოს ვედრება დღესაც ყურში ჩამესმის<sup>1</sup>.

ქალბატონი ამ ფაქტმა ძალიან დაამწუხერა. დარდისგან ავად გახდა. ის საშინელი დილა არასოდეს დამავიწყდება. მაჯიდე სირბილით შემოვიდა ჩემს ოთახში. იჩქარე, ქალბატონს რაღაც სჭირსო, დაიბლავლა. ჩავიკეცე, ცოტაც და გული შემიღონდებოდა.

ძალა მოვიკრიბე და ქალბატონის ოთახისკენ გავიქეცი. დედოფალი მაგიდასთან იჯდა. ოთახის ერთ კუთხეში რუმეისა და ბაილა უხმოდ ტიროდნენ. ქალბატონის ძმისშვილი შაპინდე კი დედოფალს მუხლებში ჩავარდნოდა და ნახევრად გონიხილი ცრემლებად იღვრებოდა. რა ატირებდათ?

ქალბატონმა ჩემს დანახვაზე გაიღიმა და მითხრა – მოდი, ნახე შენი ქალბატონი რა დღეშიაო. შემდეგ შავი თავსაბურავი გადაიძრო. ის ლამაზი და მბზინავი ხუჭუჭი თმა მთლიანად გასთეოთრებოდა.

ატირებული მივუახლოვდი და მის ნინ მუხლი მოვიყარე. თავზე ხელი გადამისვა და თქვა:


– თმა გამიჭალარავდეს, სხეული დაიტანჯოს. თქვენ და ჩემს ქვეყანას არაფერი დაემართოს, მე ყველაფერზე თანახმა ვარ. რაც უნდა მოხდეს, ყველაფერი ალაპის ნებაა!

ეს სიტყვები არასოდეს ამომივარდება გონებიდან.

\* \* \*

ამ ამბების შემდეგ ჩემი და, ფერიდე, მამაჩემთან სოფიაში გავუშვი. ისედაც საბრალო გოგო ამ რთულ ცხოვრებას ვერ ეგუებოდა. ყოველდღე ტანჯვა ემატებოდა. ამას ჩემი გული ვერ უძლებდა, ქალბატონიც არ იყო მომხრე, რომ ფერიდე ჩვენ შორის დამჭკნარიყო. თავად ფერიდეს დედოფლის მიტოვება არ სურდა. უფრო მეტიც, ქალბატონს შეეხვენა, დაეტოვებინა. მაგრამ მე დავარწმუნე, ნასულიყო. ჩემს საბრალო დას ციხის მსგავსი ცხოვრება თავიდან ავაცილე.

1 ლიბასი, ოსმალეთის პოლო დედოფლის ყველაზე ახალგაზრდა სეფექალი, აფხაზეთის ნარჩინებული გვარის, სუოუმის (შესაძლებელია, აქ ივულისხმება შიოუმის გვარი, გამ. შენ.) ოჯახის ნევრი იყო. 1908 წელს დაიბადა. 1919 წელს სასახლეში დაწყო მსახურობა. სასახლეში მოხვედროდნერი ერთი წლის შემდეგ ქალბატონ მუვედდეთის ვაჟს, უფლისნულ ერთულრულს, სულიერი დობა გაუნია. ამიტომაც სასახლეში ყველას ძალიან უყვარდა. სულთანმა ვაპიდედედინ ხანმა მას მესამე ხარისხის ორდენი უბოძა. ოსმალეთის დინასტიის გადასახლების შემდეგ თავის ოჯახს დაუბრუნდა დარიჯაში და იქ 1940 წელს გარდაიცვალა.



ემინე ნაზიქედა  
გადასახლებისას კაიროში

1923 წლის 10 დეკემბერს ფერიდემ მატარებლით სტამბული დატოვა. მას შემდეგ მასზე არაფერი შემიტყვია. საზღვარგარეთ-იდან, მით უმეტეს რუმელიაში ჩამოყალიბებული ახალი სახელმწიფოებიდან, ამბის მიღება წარმოუდგენელი იყო.

## გადასახლება

1924 წლის 3 მარტს ანკარაში მეტად მნიშვნელოვანი კანონი მიღეს ოსმალეთის დინასტიის გადასახლების შესახებ. თავდაპირველად, 4 მარტს, ხალიფა აბდულმეჯიდი და მისი ოჯახი მალულად მატარებელში ჩასვეს და საზღვარგარეთ გაუშვეს.

რა თქმა უნდა, ამის შესახებ არაფერი ვიცოდით. ერთ დღეს, დილის რვა საათზე, ბატონმა შუქრუმ მთელი სასახლე ფეხზე დააყენა. გაკვირვებული ქალბატონი შაჰინდეს მიუბრუნდა და ჰკითხა, ხომ მშვიდობა, შუქრუს რა დაემართაო.

შაჰინდემაც არაფერი იცოდა. — არ ვიცი, ქალბატონო, ისედაც უცნაური ადამიანი იყო, ახლა კიდევ უფრო უცნაურია, — თქვა და მხრები აიჩეჩა.

ამასობაში მთელი სასახლის ხალხი დიდ დარბაზში შეკრებილიყო. ქალბატონის დარბაზში შესვლისთანავე მაჰმურე სიტყვით გამოვიდა – გუშინ დიდმა ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონი ძველი ოსმალო დინასტიის სამუდამოდ გადასახლების შესახებ.

უფლისწერულები, სულთნის ასულები, ვაჟები, სიძეები, ყველა ქალი და ქალბატონი იძულებული იყო, თურქეთის ტერიტორია დაეტოვებინა. მამაკაცებს 24 საათი, ქალებს კი ათდღიანი ვადა მისცეს. თუკი მოცემულ ვადებში არ გადავკვეთდით საზღვარს, ძალით გადაგვასახლებდნენ.

იმ წამს თითქოს სამყარო თავზე დამემხო. ამ ამბის გამგონე ქალბატონ მუვედდეთს გული შეუღონდა. ნევვარე ასლუკუნდა. ნევზადი გაფითორდა. დედოფალი კი გაგონილს არ უჯერებდა. – შეუძლებელია, ჩვენ მოლალატეები არ ვართ, ამას როგორ აკეთებენ, – მაჰმურეს უთხრა.

– თქვენ წარმოსახვით სამყაროში ცხოვრობთ? თქვენი ხვედრი თავიდანვე ნათელი იყო. თუ სხვა იმედებს ეპოტინებოდით, საკუთარ თავს დააბრალეთ, – მხიარულად უპასუხა მაჰმურემ და დარბაზიდან გავიდა.

ქალბატონმა ხელი გამომიწოდა. – ღვთის გულისათვის დამიჭირეთ, – თქვა და მკლავზე შემომეხვია. შემდეგ წონასწორობა დაკარგა და მიწაზე დაეცა. მაშინვე წამოყენებას შევეცადეთ. ამასობაში პუსნუავერმა ჭიქით წყალი მოარბენინა. ქალბატონმა ერთი ყლუპი მოსვა და ნელ-ნელა ფეხზე წამოდგა. სხვა მსახურების დახმარებით ოთახში ავიყვანეთ და დავაწვინეთ. დასვენება სჭირდებოდა.

შუადღის ოთხ საათზე სასახლეში სულთნის ასული საბიჟა მოვიდა. სირბილით შევიდა ქალბატონის ოთახში და დედას გულში ჩაეკრა. საბრალო ხალიფას გადასახლების ამბავს ტირილით ყვებოდა – ღამით მოვიდნენ, ხალიფა წაიყვანეს. ყველანი უცხო მხარეში გადახვეწესო. ქალბატონს არაფერი უთქვამს, ცრემლები წასკდა.

ღმერთო, რა დღეში ჩავვარდით, რაღა გვეშველებოდა?!

მოსალამოებული იყო, როცა სულთნის ასული ულვიე სასახლეში მოვიდა. მისი წაამბობის მოსმენა ძალიან მტკივნეული იყო.

– შუადღისას ორი კაცი მოვიდა, ხელში რაღაც საბუთები ეჭირათ. ერთმა მითხრა, ამაზე ხელი უნდა მოაწეროთ. მეც, რა თქმა უნდა, რატომ-მეთქი, ვკითხე. ქაღალდებს რომ დავხედე, ეწერა, რომ იძულებული ვიყავით თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორია დაგვეტოვებინა და რომ ეს ფაქტი ოფიციალურად ერთიანი კრების მხრიდან იყო დამტკიცებული. იმ წამს (ოტაც და გონებას ვკარგავდი, დაუჯერებელი იყო, – თქვა ულვიემ.

